

საბრძოლო ხელოვნების სკოლა  
“მხარულა”

საბრძოლო ხელოვნების ოსტატის

ყოველდღიური

ცხოვრების სიბრძნე:

ნაწილი მეთოთხმეტე:

კიდევ ერთხელ ასტროლოგიაზე –

მთვარე და ჩვენ

(თეორია)

“მ ხ ა რ უ ლ ა”

თბილისი

2008

## სარჩევი

**თავი პირველი:** მთვარის გავლენა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე

**თავი მეორე:** მთვარე ზოდიაქოს ნიშნებში

**თავი მესამე:** კომბინირებული ზეგავლენა

**თავი მეოთხე:** მთვარის დღეები, ფაზები, რითმები, პერიოდები და სხვა

1. მთვარის დღეების კლასიფიკაცია;
2. მთვარის დღეების ზემოქმედება;
3. მთვარის და მზის რითმები.

**თავი მეხუთე:** მთვარის დღეთა ფაზები და შესაბამისი სტიქიები

**თავი მეექვსე:** დედამიწისა და მთვარის მიახლოების პერიოდები

**თავი მეშვიდე:** მთვარისა და მზის დაბნელებები

**თავი მერვე:** მთვარის რითმები და ჯანმრთელობა

1. ჯანმრთელობა და ჩვენ;
2. მთვარის რითმები და კვება.

**თავი მეცხრე:** ასტროლოგიის რჩევები

**I:** შვიდი კოსმობიოლოგიური პერიოდი;

**II:** როდის და რა ვიღონოთ:

1. რჩევები მთვარის ფაზების გათვალისწინებით;
2. ჩვენი ყოველდღიური საქმეები და მთვარის ფაზები;
3. ადამიანის შიდა ორგანოების რითმი დღე-ღამეში;
4. ზოგიერთი მნიშვნელოვანი წესი ჯანმრთელობის დაცვისათვის;
5. რჩევები სწორი კვების თაობაზე:
  - ა) შიმშილობა;
  - ბ) პროდუქტების შეხამება;
  - გ) კერძების თანმიმდევრობა;
  - დ) უარი თქვით საღამოობით ცხიმოვანი საკვების მიღებაზე;
  - ე) მარხვები ოთხშაბათობითა და პარასკევობით;
  - ვ) საკვების ჭურჭელი.
6. ურთიერთობები ექიმებთან;
7. ქირურგიული ჩარევა;
8. ვიზიტი კბილის ექიმთან;
9. ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში მყოფი მთვარის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე;
10. მავნე ჩვევებისგან გათავისუფლება;
11. საცხოვრებელი და სამუშაო (საგარჯიშო) ადგილის ხარისხის ფაქტორი;

**თავი მეათე:** მთვარე – ჩვენი დამხმარე ყოველდღიურ ცხოვრებაში:

1. საოჯახო საქმეები;
2. რეცხვა;
3. ქიმწმენდა;
4. ხის იატაკები;
5. ფანჯრები და შუშები;
6. ფაიფური;
7. ლითონები;
8. ფეხსაცმელი;
9. ობის (ხავსის) მოცილება;
10. სახლის დალაგება;
11. განიავება;
12. ზაფხულის და ზამთრის ტანსაცმლის სეზონური დალაგება;
13. დაკონსერვება და შენახვა;
14. შეღებვა და ლაქის წასმა (გაპრიალება);
15. სახლის გათბობა;
16. ოთახის ყვავილების მოვლა;
17. ამინდი და გასეირნება;
18. რჩევები ტანის (ორგანიზმის) მოვლის შესახებ:
  - ა) კანის მოვლა (ქალებისათვის);
  - ბ) თმების მოვლა;
  - გ) ფრჩხილების მოვლა;
  - დ) მასაჟი.

## **დანართები**

**დანართი I:** მთვარის დღეთა გავლენა ყოფიერებაზე;

**დანართი II :** ასტროლოგის რჩევები;

**დანართი III :** ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშანში მყოფი მთვარის გავლენა

ასტროლოგიური ნიშნების პირობითი აღნიშვნები:

სიმბოლო	ლათინურად	შემოკლებით	ქართულად	ტრანზიტი
♈	Aries	Ari	ვერძი	♈ → ♉
♉	Taurus	Tau	კურო	♉ → ♊
♊	Gemini	Gem	ტყუპები, მარჩვიბი	♊ → ♋
♋	Cancer	Cnc	კირჩხიბი, კიბო	♋ → ♌
♌	Leo	Leo	ლომი	♌ → ♍
♍	Virgo	Vir	ქალწული	♍ → ♎
♎	Libra	Lib	სასწორი	♎ → ♏
♏	Scorpio	Sco	მორიელი, ღრიანკალი	♏ → ♐
♐	Sagittarius	Sgr	მშვილდოსანი	♐ → ♑
♑	Carpicorn	Cap	თხისრქა	♑ → ♒
♒	Aquarius	Aqr	მერწყული	♒ → ♓
♓	Pisces	Psc	თევზები	♓ → ♈

პლანეტათა პირობითი აღნიშვნები:

☉	მზე
☽	მთვარე
♃	მერკური
♀	ვენერა
♂	მარსი
♄	იუპიტერი
♅	სატურნი
♆	ურანი
♇	ნეპტუნი
♁	პლუტონი

●	ასალმთვარეობა
☾	ზრდადი მთვარე
○	სავსე (ბადრი) მთვარე (მთვარის მოვანება)
☾	მილევადი მთვარე
☾➔	მთვარე ზოდიაქოს ნიშანში
☾	აღმავალი მთვარე
☾	დაღმავალი მთვარე

“ნაყოფის დღეები”:	☾➔	♈ ♉ ♊
“ფოთლის დღეები”:	☾➔	♌ ♍ ♎
“ყვავილის დღეები”:	☾➔	♏ ♐ ♑
“ფესვის დღეები”:	☾➔	♒ ♓ ♈

## თავი პირველი

### მთვარის გავლენა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე

ჩვენი წინაპრები, ყურადღებით აკვირდებოდნენ რა ბუნებას, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისათვის “საჭირო მომენტის” განსაზღვრის ოსტატები გახდნენ.

მათთვის ცნობილი გახდა, რომ:

- 1) ისეთი ბუნებრივი ფენომენები, როგორცაა ოკეანეებისა და ზღვების მიქცევა-მოქცევა, დაბადება, ბუნების ჭირვეულობები, ქალური ციკლები და ბევრი სხვა რამ, მჭიდრო კავშირშია მთვარის რითმებთან;
- 2) ბევრი ცხოველი ყოველდღიურ ცხოვრებაში, თავის მოქმედებებში ინსტინქტის დონეზე ითვალისწინებს მთვარის მდგომარეობას, მაგალითად, ფრინველები, ბუდის ასაშენებელ საგნებს მთვარის განსაზღვრულ პერიოდში აგროვებენ, ამიტომ წვიმის შემდეგ მათი ბუდეები ძალიან სწრაფად შრება.
- 3) ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებაც, მისი საქმიანობა: საკვების მომზადება, კვება, თმის შეჭრა, რეცხვა, სახლის დალაგება, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ბევრი სხვა რამის წარმატებით მოგვარება მთვარის რითმებზეა დამოკიდებული;

ერთი სიტყვით, ჩვენს მიერ რომელიმე ღონისძიების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორედ შევარჩევთ დროს.

მზე, მთვარე და ვარსკლავები “საათის” როლს ასრულებენ. მთავარია ადამიანმა იცოდეს ის, რომ მთვარე ყოველთვის გადის ერთსა და იმავე თანავარსკვლავედებს, რომლებიც ზეციური საათის ციფერბლატის “ციფრებად” გადაიქცევიან.

სამყაროდან დედამიწაზე კოსმიური ძალების ზემოქმედების თორმეტი ჯგუფი არსებობს, რომლებსაც შესაბამისი თვისებები, ხასიათი, ტემპერამენტი და “შეფერილობა” გააჩნიათ. ის თანავარსკვლავედები, რომლებსაც მზე (წელიწადში ერთხელ) და მთვარე (თვეში ერთხელ) გადის, ამ ჯგუფში შედიან. ეს ზოდიაქოს თორმეტი თანავარსკვლავედია: ვერძი, კურო, მარჩბივი (ტყუპები), კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი (მორიელი), მშვილდოსანი, თხის რქა, მერწყული და თევზები.

საბრძოლო ხელოვნებაში მოვარჯიშეს აუცილებლად უნდა გააჩნდეს “ვარსკლავური საათი”, “კოსმიური ცოდნა”, რომლის მეშვეობითაც ადვილად დაგეგმავს მნიშვნელოვან საქმეებს; უნდა იცოდეს არსებულ სიტუაციაში რომელი ზემოქმედებაა ძლიერი და რომელზე უნდა რეაგირებდეს; უნდა ჰქონდეს თავისი კეთილშობილური განზრახვების განხორციელების ნიჭიერება.

მოვარჯიშემ უნდა იცოდეს, რომ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების წესზე ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში მყოფი მთვარის ძალას უფრო მეტი ზემოქმედება გააჩნია, ვიდრე იმ ძალებს, რომლებიც თავად არიან დამოკიდებული მთვარის მდგომარეობაზე. მართლმადიდებლური საეკლესიო დღესასწაულების უმეტესობა მთვარის მდგომარეობის მიხედვითაა შერჩეული: მაგალითად, აღდგომა მუდმივად იმ პირველ კვირას აღინიშნება, რომელიც გაზაფხულის დაწყების პირველ სავსე მთვარეს მოჰყვება ხოლმე.

აქ მოყვანილი ყველა რჩევა დახელოვნებული მასწავლებლების გამოცდილებას ეყრდნობა. ბუნებაში ბევრი ისეთი რითმი და ფაქტორი არსებობს, რომელიც მოვარჯიშის ცხოვრებაზე ზემოქმედებს ადამიანის ბიორითმებთან მზის აქტიურობასთან კოსმიურ და დედამიწის გამოსხივებებთან შეხებაში.


მოვარჯიშემ უნდა იცოდეს მთვარის ზემოქმედების შვიდი სხვადასხვა ფაქტორი:

1. ● – ახალმთვარეობა ( მთვარის დაბადება, განახლება);
2. ☽ – ზრდადი მთვარე;
3. ○ – სავსე (ბადრი) მთვარე (მთვარის მოვანება);
4. ☾ – მიღევადი მთვარე;
5. ☾➔ – მთვარის ზოდიაქოს ნიშანში ყოფნა;

6. ☾ - აღმავალი მთვარე;  
7. ▲ - დაღმავალი მთვარე.

**ა) ახალმთვარეობა (მთვარის დაბადება, განახლება) - ●**

მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნვისას მუდამ ერთი მხრიდან უცქერის მას, იმ მხარით, რომელსაც სავსე მთვარის პერიოდის დროს ვხედავთ. თუ მთვარე - დედამიწიდან დანახული - დედამიწასა და მზეს შორის იმყოფება, მაშინ მისი ბრუნვის გამო დედამიწიდან მის ჩაბნელებულ მხარეს ვხედავთ. ამ პერიოდში დედამიწიდან ადამიანი მთვარეს ვერ ხედავს - მეფობს ახალმთვარეობა.



**სურათი (1-01): ახალმთვარეობა, ანუ მთვარის დაბადება**

მნიშვნელოვანია, მოვარჯიშემ იცოდეს ის, რომ მთვარე ახალმთვარეობის დროს ორი-სამი დღის განმავლობაში იმავე ზოდიაქოს ნიშანში იმყოფება, რომელშიც მზე, რაც ადვილად გასაგები გახდება მაშინ, თუ გავიხსენებთ, რომ მთვარე ახალმთვარეობის დროს მზესთან ყველაზე ახლოს იმყოფება და ამრიგად მზე, მთვარე და დედამიწაზე მყოფი დამკვირვებელი თითქოს ერთ ხაზზე იმყოფებიან (სურ 1-01).

ამრიგად, “ახალი” მთვარე სადღაც მარტის თვეში ყოველთვის თევზების ნიშანშია, ხოლო აგვისტოში - ყოველთვის ლომის ნიშანში და ა.შ.

მოვარჯიშემ სასურველია ეს წესები დაიმანსოვროს, რათა შემდგომ მთვარის ზოდიაქოს ნიშანში ყოფნა ამა თუ იმ დროს ადვილად განსაზღვროს. ასე რომ, მთვარე ზოდიაქოს ერთ-ერთ ნიშანში 2-3 დღე აუცილებლად ჩერდება. მარტში ახალმთვარეობის შემდეგ სავსე მთვარეობამდე იგი ზოდიაქოს ნახევარს, ანუ ექვს ნიშანს გადის და, შესაბამისად, 14-15 დღის შემდეგ ქალწულის ან სასწორის ნიშანში იქნება. ეს პრინციპი წლის სხვა თვეებზე ადვილი გადასატანია.

ასტროლოგიურ და ასტრონომიულ კალენდრებში ახალი მთვარე შავი წრეწირის სახით (●) არის ნაჩვენები. ახალმთვარეობის დროს ადამიანებზე, ცხოველებზე და მცენარეებზე განსაკუთრებული იმპულსი მოქმედებს: მაგალითად, თუკი ვინმე ერთი დღით შიმშილობს, ან განტვირთვის დღეს აწყობს, იგი უამრავ სნეულებას იცილებს, რადგან მისი ორგანიზმი გაწმენდისთვის (შლაკებისაგან გათავისუფლებისათვის) მზად არის; თუ ადამიანს მავნე ჩვევებისაგან უნდა გათავისუფლება ეს დღე ამ საქმის დაწყებისათვის ყველაზე ხელსაყრელია, ვიდრე რომელიმე სხვა.

ახალი მთვარის დღეების იმპულსები ისე უშუალოდ ვერ აღიქმება, როგორც სავსე მთვარის დღეებისა. ეს იმიტომ ხდება, რომ ზრდადი მთვარის ზემოქმედებას ადამიანი ისე მძაფრად ვერ აღიქვამს, როგორც მილევადი მთვარის ზემოქმედებას დროს.


**ბ) ზრდადი მთვარე - ☾**

ახალმთვარეობიდან რამოდენიმე საათის შემდეგ დედამიწაზე მყოფი დამკვირვებელი უკვე ხედავს დედამიწისაკენ მიმართული მთვარის მხარეს. ჩნდება წვრილი ნამგალი – ზრდადი მთვარე – თავისი სპეციფიკური ზემოქმედებით.

ორგანიზმის გასაძლიერებლად, გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარებას, მთვარის I და II ფაზების დროს ორმაგი ზემოქმედება გააჩნია. მთვარე რაც უფრო იზრდება, მით უფრო მეტია ალბათობა წარუმატებლად წარიმართოს ოპერაციები, ძნელად ხორცდება ჭრილობები; ზრადი მთვარის დროს გარეცხილი სარეცხი არ არის ისეთი სუფთა და თეთრი, როგორც მილევადი მთვარის დროს; ზრდადი მთვარის და სავსე მთვარის დროს უფრო მეტი ბავშვი იბადება.

**გ) სავსე (ბადრი) მთვარე (მთვარის მოვანება) - ☉**

მთვარე დედამიწის გარშემო თავისი მოგზაურობის ნახევარს როცა დაამთავრებს, მაშინ ჩვენსკენ მზის სხივებით განათებული დისკოს ნახევარს შემოატრიალებს – ეს სავსე-მთვარეობაა.



**სურათი (1-02): სავსე მთვარეობა**

ამ მდგომარეობას მზის მხრიდან თუ შევხედავთ მთვარე დედამიწის “უკან” აღმოჩნდება (სურათი 1-02). კალენდარში სავსე მთვარე ნათელი წრეწირის ფორმითაა აღნიშნული.

სავსე მთვარეობის დროს დედამიწაზე მცხოვრები არსებები – ადამიანები, ცხოველები და მცენარეები – ენერჯის მოზღვაებას გრძნობენ, რასაც ვერ ვიტყვით ახალმთვარეობის პერიოდზე, “მთვარეულები” ძილში გადაადგილდებიან (დაიარებიან), ჭრილობებიდან სისხლი უფრო ძლიერად გამოედინება, ვიდრე სხვა დროს; ამ დღეს მოკრეფილ (შეგროვილ) სამკურნალო ბალახებს განსაკუთრებულად ძლიერი სამკურნალო ძალა გააჩნიათ; ამ დროს გასხლული ხე შეიძლება დაიღუბოს; სავსემთვარეობის დროს იზრდება ძალადობა და უბედური შემთხვევა; მეანი ქალები ზეგანაკვეთური მუშაობის გრაფიკით მუშაობენ.

#### **დ) მიღვევადი მთვარე - ◐**

მთვარის III და IV ფაზების დროს მისი ნელი მოძრაობა გრძელდება, მისი ჩრდილოვანი მხარე სულ უფრო და უფრო იზრდება და ჩვენ უკვე მიღვევად მთვარეს ვხედავთ. ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ ახალმთვარეობა არ დადგება.

მიღვევადი მთვარისას ოპერაციები უფრო წარმატებულად ტარდება, ვიდრე სხვა რომელიმე დროს; ნებისმიერი საოჯახო საქმე კარგად გამოდის; ამ დროს დიდი რაოდენობის საკვების მიღების შემთხვევაში არ ხდება წონაში სწრაფი მატება; ამ პერიოდში “მიწისქვეშა” ბოსტნეულის დათესვა ძალიან კარგია, ხოლო ხეხილის კვირტით მყნობა ძალიან ცუდ შედეგს მოგვცემს.

#### **ე) მთვარის ზოდიაქოს ნიშანში ყოფნა - (→)**

მზე, თუ მას დედამიწიდან შევხედავთ, მიახლოებით ერთი თვის განმავლობაში ერთსა და იმავე ზოდიაქოს ნიშანში იმყოფება, ხოლო დედამიწის გარშემო მბრუნავი მთვარე ზოდიაქოს თითოეულ ნიშანში მიახლოებით ორნახევარი დღის განმავლობაში რჩება (სურათი 1-03).

ის თორმეტი სხვადასხვა ძალა, რომელიც მთვარის ზოდიაქოს ნიშნებში ყოფნის დროს გამოიყოფა, ისე ძლიერად ვერ ზემოქმედებს, როგორც სავსემთვარეობა, თუმცა ადამიანზე და მცენარეებზე ეს ზეგავლენა ძალიან თვალში საცემია, განსაკუთრებით ეს გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე, ასევე ბალ-ვენახებსა და ბაღებში მიმდინარე პროცესებზე (მოსავალი, მავნებლებთან ბრძოლა, განოყიერება).


მაგალითად, მთვარის ქალწულის ზოდიაქოს ნიშანში ყოფნის პერიოდში ძალზე ეფექტურია მცენარეთა ფესვების გამაგრებისა და ზრდისათვის გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენება.

უწინ მთვარის მდგომარეობას აუცილებლად ითვალისწინებდნენ სხვადასხვა სნეულების მკურნალობის დროს. თვით ჰიპოკრატეს, ყველა ექიმის დამრიგებელს, ასეთი გამონათქვამი გააჩნია: ”ის პიროვნება, რომელიც მედიცინითაა დაკავებული და ვარსკლავთა მოძრაობას არ

ითვალისწინებს – ბრიყვია”; და კიდევ: “ხელით არ შეეხოს ადამიანის ტანის იმ ნაწილს, რომელიც იმართება იმ ზოდიაქოს ნიშნით, რომლის დროსაც ამ მომენტში მთვარე იმყოფება”.

მთვარე ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში ყოფნისას სპეციფიკურ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ტანის ამა თუ იმ ნაწილზე, რადგან ადამიანის სხეულის თითოეული ნაწილი ზოდიაქოს განსაზღვრული ნიშნით “იმართება”.





**სურათი (1-03): მთვარის, დედამიწისა და მზის მოძრაობა ზოდიაქოს ნიშნებში**

ვ) აღმავალი – ☾ – და დაღმავალი – ☉ – მთვარე

მოვარჯიშებ პირველ რიგში უნდა იცოდეს, რომ “აღმავალ მთვარეს” და “დაღმავალ მთვარეს” მთვარის ფაზებთან არაფერი საერთო არა აქვს. ამ ტერმინებით გამოხატავენ მთვარის ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში ყოფნას.

იმ ზოდიაქოს ნიშნებს, რომლებსაც მზე ზამთრის ბუნიობიდან (21 დეკემბერი) ზაფხულის ბუნიობამდე (21 ივნისი), ანუ მოისრიდან (♊) მარჩბივამდე (♈) გადის, გააჩნია აღმავალი ძალა – ზამთრისა და გაზაფხულის ის ძალა, რომელიც თანდათანობით ზრდასა და ყვავილობას გვაუწყებს.

დაღმავალი ძალა, პირიქით, წლის მეორე ნახევრის ნიშნებს გააჩნიათ (მარჩბივიდან მოისრამდე) – ეს ზაფხულისა და შემოდგომის ის ძალაა, რომელიც მომწიფებულობასა და დასვენებასთანაა დაკავშირებული.

მარჩბივისა და მოისრის ნიშნები ის საკვანძო პუნქტებია, რომლებიც აღმავალ და დაღმავალ მთვარეებს შორის იმყოფებიან, ამიტომ მათ მოაქცევენ ამ ორი ძალიდან ერთ-ერთში.

ცხრილი 1

აღმავალი და დაღმავალი მთვარე და ზოდიაქოს ნიშნები

მოისარი	აღმავალი მთვარე	მარჩბივი	დაღმავალი მთვარე
თხის რქა		კირჩხიბი	
მერწყული		ქალწული	
თევზები		სასწორი	
ვერძი		ლრიანკალი	
კურო		მოისარი	
მარჩბივი			

მთვარის ერთი ზოდიაქოს ნიშნიდან მეორე ზოდიაქოს ნიშანში გადასვლის დროს ისევე შეიძლება “აღმავალი” და “დაღმავალი” მთვარის ფაქტორები, როგორც წელიწადის ოთხივე დროს პირველი და მესამე თვეების შემთხვევაში: მარტი გაზაფხულია, მაგრამ გარდაღმავალი თვეა ზამთარსა და გაზაფხულს შორის, ამიტომ აპრილის თვესთან შედარებით ცივია, ისევე, როგორც მაისი გაზაფხულის თვეებს შორის ყველაზე თბილია, რადგან გარდაღმავალი თვეა გაზაფხულსა და ზაფხულს შორის; აღმავალი და დაღმავალი მთვარის ფაქტორები ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშანს ინდივიდუალურ “ელფერს” აძლევენ და მთვარის ფაზის მიხედვით კლინდებიან, განსაკუთრებით მკურნალობის პრაქტიკაში, ასევე ბაღში, ტყეში, მინდორში.

აღმავალი მთვარის დროს “მოსავლის ჯამს “ უწოდებენ, ხოლო დაღმავალი მთვარის დროს – ”დარგვის (დათესვის) ჯამს”. სოფლის მეურნეობაში სხვა რითმების გათვალისწინების გარდა მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად მთვარის ამ ორ ფაქტორს მივაქციოთ ყურადღება. აღმავალი მთვარის დროს (მოისრიდან მარჩბივამდე) ხდება სითხის მომატება, ხილი და ბოსტნეული განსაკუთრებით წვნიანია, მცენარეთა მიწისზედა ნაწილის განვითარებაზე ეს


პერიოდი დადებითად მოქმედებს. დაღმავალი მთვარის დროს კი (მარჩბივიდან მოისრამდე)– სითხე (წვენი) მცენარეთა ფესვებისაკენ ჩაედინება და მათ ზრდას უწყობს ხელს.

ბევლ დროში შესანიშნავი “საკარნახევი” (კალენდარი) მოიგონეს, რათა ეს ორი ფაქტორი მკაფიოდ გაერჩიათ ერთმანეთისაგან. კალენდარში აღმავალი მთვარის გამოსახულებას ( ) ჯამს ადარებდნენ, – ჯამი ივსება, ანუ მოსავლის ალების დროა, ხოლო დაღმავალი მთვარის გამოსახულება ( ) ატრიალებულ ჯამს წააგავს, რაც მეურნეს მიუთითებს დათესვისა და დარგვის დროზე.

აღმავალი და დაღმავალი მთვარის დამახსოვრების კიდევ ერთი მარტივი ხერხი არსებობს, იგი ტანის ნაწილების ნიშნებით “მართვის” ცოდნას მოითხოვს. (იხ. ცხრილი 1 და 2).

ვერძისა და კუროს გავლენა – აღმავალი. ეს ზოდიაქოს ნიშნები ტანის ზედა ნაწილებს მართავენ: თავი და კისერი მხრების არემდე. ბოლო ოთხი ნიშანი: მოისარი (საკვანძო პუნქტი), თხის რქა, მერწყული და თევზები ასევე აღმავალი მთვარის ნიშნებია და ადამიანის სხეულის ქვედა ნაწილებს (თეძოები, მუხლები, კოჭები, ტერფები) მართავს (იხ.სურათი 1–04).

საშუალო ექვსი ზოდიაქოს ნიშანი (მარჩბივიდან მოისრამდე) ძირითადად შიდა ორგანოებს მართავს (ფილტვები, გული, ელენთა, კუჭი, ღვიძლი, თირკმელები). (იხ.სურათი 1–04).



სურათი 1-04: ეტლების გავლენის სქემა ადამიანის ორგანიზმზე (შუა საუკუნეების გრავიურიდან).

**ცხრილი 2**

**ზოდიაქოს ნიშანში მყოფი მთვარის გავლენის ფაქტორები**

ზოდიაქოს ნიშანი	სიმბოლო	სხეულის ნაწილი	სისტემები და ორგანოები	მცენარის ნაწილი	ელემენტი	მთვარე	კვების პროდუქტის ხარისხი	დღეთა ხარისხი
ვერძი	♈	თავი, ტვინი, თვალები, ცხვირი	გრძნობის ორგანოები	ნაყოფი	ცეცხლი	☾	ცილები	სითბოს დღეები
კურო	♉	ხორხი, კბილები, ყბა, ყელი, ?ყურები	სისხლის მიმოქცევისა და მეტყველების სისტემა ორგანოები	ფესვი	მიწა	☾	მარილი	სიცივის დღეები
მარჩბივი	♊	მხრები, წინამხარი, ხელის თითები, ფილტვები	ჯირკვალთა სუსტემა	ყვავილი	ჰაერი	☽	ცხიმები	სინათლის დღეები
კირჩხიბი	♋	მკერდი, ფილტვები, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი	ნერვული სისტემა	ფოთოლი	წყალი	☽	ნახშირწყლები	წყლის დღეები
ლომი	♌	გული, ზურგი, ღიაფრაგმა, არტერია	გრძნობების ორგანოები, სისხლმიმოქცევის სისტემა	ნაყოფი	ცეცხლი	☽	ცილები	სითბოს დღეები
ქალწული	♍	ნერვები, ელენთა, კუჭუკანა ჯირკვალი	სისხლმიმოქცევის სისტემა, საჭმლის მონელების ორგანოები	ფესვი	მიწა	☽	მარილი	სიცივის დღეები
სასწორი	♎	თეძოები, თირკმელები, შარდის ბუშტი	ჯირკვალთა სუსტემა	ყვავილი	ჰაერი	☽	ცხიმები	სინათლის დღეები
ღრიანკალი	♏	სასქესო ორგანოები, შარდგამომყოფი ნაწილი	ნერვული სისტემა	ფოთოლი	წყალი	☽	ნახშირწყლები	წყლის დღეები
მოისარი	♐	თეძოები, ვენები	გრძნობის ორგანოები	ნაყოფი	ცეცხლი	☾	ცილები	სითბოს დღეები
თხის რქა	♑	მუხლები, ძვლები, სახსრები, კანი	სისხლმიმოქცევის სისტემა	ფესვი	მიწა	☾	მარილი	სიცივის დღეები
მერწყული	♒	კოჭები, ვენები	ჯირკვალთა სუსტემა	ყვავილი	ჰაერი	☾	ცხიმები	სინათლის დღეები
თევზები	♓	ტერფები, ფეხის ?	ნერვული სისტემა	ფოთოლი	წყალი	☾	ნახშირწყლები	წყლის დღეები

# თავი მეორე

## მთვარე ზოდიაქოს ნიშნებში


### 1. მთვარე ვერძის ნიშანში ♈

ამ პერიოდში ადამიანებს ენთუზიაზმი და ენერგო-აქტიურობა ეუფლებათ; მათ ხშირად მოიცავს პატივმოყვარეობა, აგრესიულობა და ეგოიზმი. აგრესიულობა მაშინ მატულობს, როდესაც ვერძის ნიშანი სავსემთვარეობაზე მოდის. ამ დროს ადამიანის ქმედებები უფრო აღტკინებას ეფუძნება, ვიდრე გონიერებას. მოვარჯიშებ, ქარბუქისმსგავსი ჟინიანი მისწრაფების გაჩენის მიუხედავად სხვების ზნეზე, ხასიათებზე უნდა იფიქროს და პატივი მიაგოს მათ.













მოვარჯიშებ თავი უნდა აარიდოს კამათს. ამ პერიოდში იზრდება თავის არეში ტრამვის მიღების რისკი, სასურველია ადამიანმა კბილები არ ამოიღოს, არ ჩაიტაროს პლასტიკური ოპერაციები, სახიდან მუწუკი არ მოიშოროს.

ეს პერიოდი კ ა რ გ ი ა ისეთი საქმეებისათვის, რომლებიც ძალიან სწრაფად უნდა მოგვარდეს, ხელსაყრელია იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც ტექნიკასთან, ინდუსტრიასთან, რკინასთან, ცეცხლთან, მექანიზმებთან, ინსტრუმენტებთანა და ქიმიკატებთანაა დაკავშირებული.

### ვარსკვლავიერი ცის მოძრაობა რუკა



სურათი - 2-01: ვარსკვლავური ცის მოძრაობა რუკა

 ვერძი	21 მარტი - 20 აპრილი	 სასწორი	24 სექტემბერი - 23 ოქტომბერი
 კურო	21 აპრილი - 21 მაისი	 ღრიანკალი	24 ოქტომბერი - 22 ნოემბერი
 მარჩბივი	22 მაისი - 21 ივნისი	 მოისარი	23 ნოემბერი - 21 დეკემბერი
 კირჩხიბი	22 ივნისი - 22 ივლისი	 თხის რქა	22 დეკემბერი - 20 იანვარი
 ლომი	23 ივლისი - 23 აგვისტო	 მერწყული	23 იანვარი - 19 თებერვალი
 ქალწული	24 აგვისტო - 23 სექტემბერი	 თევზები	20 თებერვალი - 20 მარტი

**სურათი 2-02: ზოდიაქოს ნიშნები და მათი სიმბოლოები**

ასევე კარგი პერიოდია უფროსობასთან ურთიერთობებისათვის, დაგეგმილი მოგზაურობებისათვის, საფეიქრო ნაწარმის, სამკაულების და საოჯახო ნივთების შეძენისათვის.

ც უ დ ი ა იმ ყველაფრისათვის, რისი მოგვარებაც ბევრ დროს ითხოვს. არახელსაყრელია დაქორწინებისათვის, ფულთან დაკავშირებული ოპერაციებისათვის, ხანგრძლივი კაპიტალდაბანდებისათვის, ხელშეკრულებების გაფორმებისათვის.

**2. მთვარე კუროს ნიშანში ო**

მთვარის ამ ზოდიაქოს ნიშანში ყოფნის დროს ადამიანი მატერიალიზმისკენ მიდრეკილი ხდება, სიმყარისადმი ტენდენცია, მუდმივობისადმი ლტოლვა ეუფლება, მატულობს სიჯიუტე, ძლიერდება მოთხოვნილება მყარ ფინანსურ მდგომარეობაზე, პიროვნება დროის ამ მონაკვეთში ძალიან მგრძობიარე ხდება გარე სამყაროს მიწიერი სილამაზისადმი, ცხოვრებისეული პატარა ბედნიერებისადმი, მათ შორის საკვებისადმი და სექსისადმი. ამ პერიოდში უნდა გავუფრთხილდეთ ყელს (სწრაფად ხდება მისი გაცივება), დაუშვებელია რაიმე სახის ზემოქმედება ნუშისებრ ჯირკვლებზე, ინფექციების მკურნალობა და სისხლის გამოშვება.

კ ა რ გ ი ა ისეთი საქმის კეთება, რომელიც დიდ დროს მოითხოვს, ანდა ხანგრძლივად მნიშვნელოვანი რჩება – სიყვარული, დაქორწინება, მეგობრობა, ახალი ნაცნობობა (განსაკუთრებით ქალებთან და მხატვრებთან). მშვენიერი პერიოდია ყველაფერი იმისათვის, რაც მოდას, სამკაულებს, ქონების შეძენას, კულტურულ ღონისძიებებს და გართობებს, ადრე დაწყებული საქმეების გაგრძელებას ან მის დამთავრებას უკავშირდება. კარგი დროა მოგზაურობებისათვის, ტანსაცმლისა და საქონლის ყიდვისათვის, წვეულებების, ანდა მშვიდ ატმოსფეროში ბუხართან შეხვედრების მოწყობისათვის; ხელსაყრელი პერიოდია ფულადი ბრუნვის ოპერაციებისთვის – ძალიან დიდი შესაძლებლობები იხსნება.

ც უ დ ი ა ყველაფერი იმისათვის, რაც რისკთანაა დაკავშირებული და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებას ეხება. მოვარჯიშემ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ისეთი საბუთების დროს, რომლებიც ცეცხლთან, ლითონთან, ბასრ(მჭრელ) ხელსაწყოებთან (იარაღებთან), ასევე სახიფათო მექანიზმებთანაა დაკავშირებული. ამ პერიოდში სასურველია მოუფრთხილდეთ საფულეს, რადგან, დიდია ალბათობა იმისა, რომ იგი სხვის ხელში ჩავარდეს.

### 3. მთვარე მარჩბივის ნიშანში II

მთვარე ამ ზოდიაქოს ნიშანში ყოფნისას ადამიანის წარმოსახვის ნიჭიერებას, საზრიანობას აძლიერებს, მაგრამ ამავე დროს მატულობს ყოყმანის (ჭოჭმანის, გაუბედაობის) და ჩამოყვალბებელი სურვილების, მისწრაფებათა წინააღმდეგობრიობა. ადამიანი დროის ამ მონაკვეთში ცვლილებებს მსუბუქად ეგუება, თუ ლაპარაკის მოყვარულია, სხვა დროსთან შედარებით ბევრს ლაპარაკობს. ამ პერიოდში აზროვნების ნიჭიერება მატულობს. ამ დროს ხშირად ავლენენ დაუფიქრებლობას (ფუქსავატობას, ქარაფშუტობას), მეტია ალბათობა გადაწყვეტილებების გაუაზრებლად მიღებისა.

ამ დროს ლავიწ-მხრების არე სახიფათო ზონად იქცევა (ადვილად ტყდება ხელები), სუსტია ფილტვები (დიდია ალბათობა გაცივებისა) და ნერვული სისტემა (არ გადატვირთოთ, გაღიზიანებისას დალიეთ დამამშვიდებელი სამკურნალო ბალახების ნაყენები).

კ ა რ გ ი ა ყველაფერი იმისათვის, რაც ურთიერთობების დამყარებასთან, მცირეგადიან საქმეებთან, ახალი ამბებისა და ინფორმაციის გაცვლასთან, რეკლამასთან, რადიო-სატელევიზიო გამოსვლებთან, ინტერვიუსთანაა დაკავშირებული. ხელსაყრელია სავაჭრო საქმიანობისათვის, გაცვლითი ოპერაციებისათვის, ხელშეკრულებების დადებისათვის, აუქციონებისათვის, მოკლევადიანი შვებულებებისათვის, ავიამოგზაურობებისათვის (მაგრამ არა სავსემთვარეობის დროს), საქმიანი შეხვედრებისათვის და მიმოწერისათვის, სწავლისათვის,

ვარჯიშისათვის და ახალი თეორიებისა და პროფესიების ათვისებისათვის. კარგი პერიოდია იმისათვის, რომ ადამიანმა კალამი აიღოს ხელში და ქალაქდზე თავისი აზრები გადაიტანოს, ამოხსნას თავსატეხები, წარმოთქვას სიტყვა და იდეათა ღრუბლებში იცუროს (ილივივიკოს). კარგი დროა ქალაქგარეთ გასეირნების, საბანკო ოპერაციების, სამეცნიერო სამუშაოებისათვის, მშენებლობისათვის, ჭებისა და ორმოების თხრისათვის, საქონლის სელექციისათვის.

ც უ დ ი ა ყველა იმ საქმისათვის, რომელიც რეალიზაციისათვის ხანგრძლივ დროს მოითხოვს, ასევე ყველა იმ ღონისძიებისათვის, რომელიც ეხება სიყვარულს, შეუღლებას, პარტნიორობას. არახელსაყრელი დროა უძრავი ქონების და ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვისათვის, ახალი მოწაფეებისა და თანამშრომლების მიღებისათვის. სიფრთხილეა საჭირო შორეული მოგზაურობებისას, განსაკუთრებით მთაში მოგზაურობების დროს.

### 4. მთვარე კირჩხიბის ნიშანში ☾

— მთვარის კირჩხიბის ნიშანში შესვლისას ადამიანებს უმნიშვნელო რამ სწრაფად სწყინთ, ოჯახური საზრუნავი განსაკუთრებით აწვებათ თავზე, უძლიერდებათ დედობრივი ინსტიქტი, უჩნდებათ მფარველობის და მზრუნველობის სურვილი. ადამიანს თანაგრძნობის, მგრძნობიარობისა და გარემოსადმი სიკეთისა და ყურადღების გამოვლენის დიდი მოთხოვნილება უჩნდება. ამ პერიოდში ხდება უნდობლობის გრძნობის გაძლიერება.

ადამიანისათვის დროის ეს მონაკვეთი ინტენსიური ემოციებისა და რაციონალიზმის დათრგუნვის დროა. მოვარჯიშემ, აუცილებელია თვითკონტროლი გააძლიეროს, რათა ტრავმა (ემოციური) არ მიაყენოს არც სხვას და არც საკუთარ თავს.

მთვარის კირჩხიბის ნიშანში ყოფნისას ძალიან კარგია ბავშვის ჩასახვა. ამ დროს ქალებში ჩასახვის ნიჭიერება ძალიან ამაღლებულია, ხოლო მამაკაცის სპერმატოზოიდები განსაკუთრებულად აქტიურია.

მთვარის კირჩხიბის ნიშანში გავლისას ადამიანი მკერდის ჯირკვლებსა და კუჭს ძალიან უნდა გაუფრთხილდეს; ამ დროს საკვებით მოწამვლის ალბათობა მატულობს; სასურველი არ არის

არყისა და გაკეთებული ღვინის დაღვეა. თავი შეიკავეთ კუჭზე და გულმკერდზე ქირურგიული ჩარევისაგან.

**კ ა რ გ ი ა** იმ ყველაფრის რეალიზაციისათვის, რაც აქტუალობას ძალიან სწრაფად კარგავს ან სწრაფად გადამუშავებას მოითხოვს. კარგიდროა ყიდვისათვის, ვაჭრობისათვის, ხელოსნობისათვის, სარეწაო საქმიანობისათვის, ხალხური საბრძოლო და შემოქმედებითი ხელოვნებისათვის. ხელსაყრელი პერიოდია საოჯახო საქმიანობისათვის, ოჯახური ურთიერთობებისათვის, სასამართლო პროცესების დაწყებისათვის, სითხეების შექმნისათვის და ზღვისიქითური საქონლის ყიდვისათვის, მცენარეების დათესვისათვის და მორწყვისათვის, საქონლის ყიდვისათვის, საზღვაო და სამდინარო მოგზაურობებისათვის და სარწყავი სისტემების შენებისათვის.

**ც უ დ ი ა** დაქორწინებისათვის, სახლის აშენების დაწყებისათვის, გადასვლებისათვის და გადასახლებისათვის, ფულის სესხებისათვის. დიდი სიფრთხილეა საჭირო ბასრ საგნებთან, ცეცხლთან, შხამ-ქიმიკატებთან. არასასურველია ქირურგიული ჩარევები ღვიძლზე და ნაღვლის ბუშტზე.

## **5. მთვარე ლომის ნიშანში ძ**

მთვარის ლომის ნიშანში ყოფნის დროს ადამიანს უჩნდება სურვილი ისიამოვნოს, გააბას რომანები, ყურადღება დაუთმოს საკუთარ თავს, მოიპოვოს ხალხის აღიარება; ეს გრძნობები იმდენად ძლიერია, რომ ადამიანები ხშირად უცნაურ სიტუაციებში აღმოჩნდებიან ხოლმე. ეს პერიოდი დამოუკიდებლობის ლიდერობის დროა. ბავშვები ხშირად კრიტიკულად უყურებენ მშობლების დამოკიდებულებას მათი მისამართით. ადამიანს ხშირად აზარტული ემოციები

უჩნდება, იგი რისკზე წასასვლელად მზადაა, თუ კი მოგების ალბათობა უჩნდება. ადამიანებს მოსწონთ დინამიურობა საქმეებსა და კონტაქტებში, ისინი სიკეთისა და კეთილშობილების გამოვლინებებს კეთილგანწყობილებით ღებულობენ.

ამ პერიოდში ადამიანი გულსა და ხერხემლის სვეტის ზედა ნაწილს უნდა გაუფრთხილდეს. გულზე, ზურგის ტვინზე, ხერხემალზე, დიაფრაგმაზე და ნეკნებზე ქირურგიულ ჩარევები არაა რეკომენდირებული.

**კ ა რ გ ი ა** ყველა იურიდიული და ოფიციალური საქმეების მოსაგვარებლად, ხელსაყრელი დროა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და გავლენიან ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ასევე თანამდებობის დაკავებისათვის და ახალ სამსახურში გადასვლისათვის, მეგობრული ურთიერთობების დაწყებისათვის, საჩუქრების ბოძებისათვის, ტანსაცმლის, ძვირფასეულობისა და კოსმეტიკის შექმნისათვის.

ასევე კარგი დროა თამაშებისათვის, ვარჯიშებისათვის, სპორტისათვის, იბლბიანი ლატარის ბილეთის ყიდვისათვის, ლითონის საგნებისა და საფეიქრო ნაწარმის ყიდვისათვის.

ამ პერიოდში წარმატებულია არდადეგები, გართობა, დასვენება, შვებულება, მშენებლობის დაწყება, ახალი თემატიკის სამეცნიერო შრომების დამუშავება, ვიზიტები და სტუმრების მიღება, მუზეუმების, გამოფენების დათვალიერება, თეატრებსა და კინოებში სიარული, კონცერტებზე დასწრება, პრესტიჟული ღონისძიებების ჩატარება და ახლო წრეში ავტორიტეტის მოპოვება.

**ც უ დ ი ა** ფინანსური გარიგებებისათვის, გადაადგილებებისათვის და გადასახადების გადახდისათვის, მცენარეთა დათესვისა და გადარგვისათვის.

არასასურველია ნიშნობებისათვის და შეუღლებისათვის, ცხოველებით ვაჭრობისათვის, კოლექტიური სამუშაოებისათვის და წილობრივი საქმიანობისათვის, ფინანსური დოკუმენტების გაფორმებისათვის, ხელმძღვანელი პირების მიმართ კრიტიკული გამოსვლისათვის, კოპერატიული ქმედებებისათვის, კომერციული გადაზიდვებისათვის, ბინების გაცვლისათვის.

## **6. მთვარე ქალწულის ნიშანში მ**



მთვარის ამ ზოდიაქოს ნიშანში ყოფნის დროს ადამიანებს საქმიანი განწყობა, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის სურვილი უჩნდებათ. პიროვნება ამ პერიოდში მოკრძალებულია და ბრძანებების სურვილი უქრება, მაგრამ ამავდროს დისკრიმინაციულ გამოვლინებებსა და თავისი მნიშვნელობის დაკნინების ყოველგვარი მცდელობებისადმი ძლიერ კრიტიკულია. ადამიანი საკუთარი კვებისა და ჯანმრთელობის პრობლემებზე ახდენს კონცენტრაციას; ბევრს სახლის დალაგების სურვილი უჩნდება.

ადამიანი ამ დროს ყურადღების მოკრებას მიმდინარე საქმეებზე ახდენს, მას სხვის საქმეებში ჩარევის სურვილიც უჩნდება, თუმცა ეს მისთვის არავის უთხოვია, შედეგად – ურთიერთობები კოლეგებთან და ახლო წრესთან იძაბება.

ამ დროს ადამიანის ორგანიზმში შესაძლებელია კუჭ-ნაწლავის მუშაობაში თავი იჩინოს რაიმე დარღვევამ, დიდია საკვებით მოწამვლის ალბათობა. ამ პერიოდში არყის და “გაკეთებული” ღვინის დაღვევა სახიფათოა, ნერვულ სისტემაზე უარყოფითად მოქმედებს.

**კ ა რ გ ი ა** იმ საქმეებისათვის, რომლებიც სიზუსტეს და ყურადღების კონცენტრირებას ითხოვს: საკანცელარიო სამუშაო, ფინანსური საქმიანობა, მოგზაურობა რკინიგზით, ხელოვნების ნიმუშების ყიდვა-გაყიდვა, კოლექტიური სამუშაოები და ყველა სახის პარტნიორული საქმიანობა.

კარგი დროა შენობების შეღებვისათვის (შელამაზებისათვის), ქალის ტუალეტისათვის საჭირო საგნების ყიდვისათვის, პარფიუმერიისა და კოსმეტიკური საგნების შეძენისათვის, ავეჯისა და მუსიკალური აპარატურის ყიდვისათვის.

ხელსაყრელი დროა ვალების უკან მოთხოვნისათვის და რაიმე კლუბში ან ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის, ექიმებთან კონსულტაციისათვის, სამკურნალო და გამაჯანსაღებელ

კურსებზე ან ამგვარი სისტემებით ვარჯიშის დაწყებისათვის, სადღესასწაულო საღამოების ჩატარებისათვის, კოცონთან ან ბუნხართან მეგობრების ან თანამოაზრეების წრეში დასხდომისათვის.

**ც უ დ ი ა** ყოველგვარი ჭუჭყიანი და არაესთეტიური სამუშაოებისათვის (ბოცების, კასრების თუ ცისტერნების გაწმენდა-გარეცხვა), ძველი მექანიზმების დაშლა-აწყობა, გომის (ბოსელის, გომურის, ფარხის) დასუფთავება და ა.შ. ასევე ისეთი სახის სამუშაოებისათვის, რომლებიც ცეცხლთან, ლითონის კონსტრუქციებთან და ადვილად აალებად სითხეებთანაა დაკავშირებული.

ეს დრო არახელსაყრელია მოძრავი ქონებით ვაჭრობისათვის, კავეულის (ლითონის ნაკეთობების) ყიდვისათვის, ცხოველთა კასტრაციისათვის (დაკოდვა). განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენაა საჭირო ისეთ მაგისტრალებზე, სადაც გაცხოველებული მოძრაობაა, ასევე ყურადღებით უნდა ვიყოთ ცეცხლსასროლ იარაღთან და ფეთქებად ნივთიერებებთან.

მთვარის მიერ ქალწულის ნიშნის გავლის დროს არასასურველია ქირურგიული ოპერაციების კეთება მუცლის ღრუსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე (კუჭუკანა ჯირვალი, ღვიძლი, ელენთა, ნაღვლის ბუშტი) გარდა გადაუღებელი შემთხვევებისა.

## **7. მთვარე სასწორის ნიშანში ♄**

მთვარის ამ ზოდიაქოს ნიშანში ყოფნის დროს ადამიანები მშვიდობიანები ხდებიან და უსიამოვნებებისადმი მიდრეკილება უქრებათ; ავლენენ მზადყოფნას პარტნიორობისათვის, კონტრაქტების გაფორმებისათვის, მოლაპარაკებებისათვის. უძლირდებთ ლტოლვა სილამაზისადმი და მშვენივრად უგებენ იმ ადამიანებს, რომლებიც მათ დახმარებისათვის მიმართავენ.

ამ დროს ადამიანი ცდილობს იყოს მომხიბვლელი და ახლო გარემოცვაზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენის ძლიერი სურვილი უჩნდება.

მოვარჯიშემ ამ პერიოდში თავი უნდა აარილოს წელის გაცივებას (რადიკულიტი) და თირკმელების გადატვირთვას (არ უნდა მიირთვათ ხორცის ნახარში, ხაში, ა. შ.).

ამ პერიოდში ქირურგიული ჩარევები თირკმელზე და შარდის ბუშტზე, ელენთასა და საშვილოსნოზე არაა სასურველი.

**კ ა რ გ ი ა** სწრაფად მოსაგვარებელი საქმეებისათვის და ყველაფერი იმისათვის, რაც მოკლე დროში კარგავს აქტუალურობას. ხელსაყრელი დროა შეუღლებისათვის, მეგობრებთან ურთიერთობისათვის, საბრძოლო ხელოვნებებში ვარჯიშისათვის, კულტურული და გასართობი

ღონისძიებებისათვის, მგზავრობისათვის, სწავლისათვის, საგამოცდოდ მომზადებისათვის, საქმიანი მიმოწერისათვის, ვაჭრობისათვის.

ხელსაყრელი დროა ისეთი რთული ფიზიკური სამუშაოების შესასრულებლად, როგორცაა ბაღებისა და ბაღჩების მოვლა, განათლებასთან დაკავშირებული საქმეებისათვის, თანამშრომლობის დამყარებისათვის, ტექსტების რედაქტირებისათვის.

წარმატებული დროა წონაში დაკლების, დიეტების დაწყებისათვის და საპარიკმახეროში წასვლისათვის.

ც უ დ ი ა იმ საქმეებისათვის, რომლებიც ემოციურ ამაღლებასა და პერსპექტივის დანახვის ნიჭიერების ქონას ითხოვს: ქორწინება, მეგობრობა და ნაცნობობა, გამოცდებისა და ჩათვლების ჩატარება.

არასასურველი პერიოდია საწყალოსნო ტრანსპორტით მოგზაურობისათვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისათვის, ცხოველთა კასტრაციისათვის და ცხვრების კრეჭისათვის.

## 8. მთვარე ღრიანკალის ნიშანში III

ღროის ამ მონაკვეთში ადამიანებს იპყრობს მყისიერი განცდები, უჩნდება გაღიზიანება და ჩხუბისათვის მზადყოფნა. ეს მძლავრი ვნებებისა და სურვილების დროა (ტყუილად კი არ ქვია ღრიანკალის ნიშანში მთვარის ყოფნას – ფიცხი (შმაგი)).

ამ დროს ადამიანი უფრო აქტიურია, ვიდრე სხვა პერიოდების დროს, მასში იღვიძებს აგრესიულობა, კრიტიკულობა, მოუთმენლობა, ჭირვეულობა, წყენის მიმართ მაღალი მგრძნობიარობა, იგი ხდება ქმედითი და მოჩვენებითი (არანამდვილი), განსაკუთრებით ნასვამ მდგომარეობაში.

ამ დროს ადამიანმა თავი უნდა აარიდოს გართულებებს, არ გახდეს ეჭვიანობის მსხვერპლი და ამის საბაბი არავის მისცეს.

კარგი პერიოდია ერთობლივი განცხადებების გაკითხვისთვის, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს.

ღროის ეს მონაკვეთი არახელსაყრელია ქირურგიული ჩარევებისათვის, განსაკუთრებით არასასურველია აბორტების ჩატარება, საშოსა და საკვერცხეებზე რაიმე სახის ზემოქმედება. მოვარჯიშე უნდა გაუფრთხილდეს კუდუსუნს. იმ პიროვნებებმა, რომლებსაც ბუასილისადმი და ვენების გაფართოებისადმი მიდრეკილებები გააჩნიათ, ამ პერიოდში საჭიროა მკაცრი დიეტა დაიცვან. მთვარის ღრიანკალის ნიშანში ყოფნის დროს სასურველია მოვარჯიშემ ალკოჰოლური სასმელები არ დალიოს.

კ ა რ გ ი ა გვემების შესადგენად, ავტორიტეტულ ადამიანებთან შესახვედრად და საკუთარი ავტორიტეტის გასაძლიერებლად, ლექციების წასაკითხად და მოხსენებების გასაკეთებლად, აგრეთვე სამეცნიერო სამუშაოებისთვის.

ღროის ეს მონაკვეთი წარმატებულია ახალი და სრულყოფილი მოწყობილობების ყიდვა-გაყიდვისათვის, მანქანების ყიდვისათვის, დაკარგული ნივთების ძებნისათვის, ცხოვრებისა და თვითშემეცნების საკვანძო პრობლემებზე კონცენტრაციისათვის.

ხელსაყრელი დროა ნებისმიერი კულტურის დათვისისათვის კარტოფილის გარდა, ცოცხალი არსებებისა და ანტიკვარიატის შესაძენად, ნადირობისათვის, თევზაობისათვის.

ხელსაყრელია თმის შეჭრა, კოსმეტიკური პროცედურები და მასაჟი.

ც უ დ ი ა წამოწყებებისათვის, საქმიანი პარტნიორობისათვის, სამსახურში მომსახურეთა მიღებისათვის.

არახელსაყრელია მგზავრობისათვის, ადგილ-სამყოფელის გამოცვლისათვის და სადაზღვევო და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის. ხშირად რთულდება (უარესდება) მოხუცებულების მოვლა-პატრონობა, არ ხორციელდება სესხების აღება.

## 9. მთვარე მოისრის ნიშანში ✕

მივა რა მთვარე მოისრის ნიშანში, იგი ადამიანს იდეალისტურ გუნება-განწყობილებას, ფილოსოფიისადმი მიდრეკილებას, წარმატებისადმი მგრძნობიარობას, საკუთარი კომპეტენტურობის გამოვლენის სურვილს შესძენს. ადამიანს იდეალური საკითხები აღელვებთ, ძლიერდება რელიგიური ლტოლვა, ჩნდება აქტიური მოძრაობის სურვილი. სპორტით ან საბრძოლო ხელოვნებებით ვარჯიშის დაწყების, სადმე წასვლის, თავგადასავლების სურვილი. ამ პერიოდში რაიმე შეზღუდვას პიროვნება ცუდად იტანს (განსაკუთრებით ბავშვები).

ადამიანი, როგორც წესი, ამ პერიოდში მეგობრულია (გულითადია) და გულწრფელია, ხშირია ენთუზიაზმით რაიმე საქმის კეთება, მაგრამ ეს ენთუზიაზმი არახანგრძლივი და ზედაპირულია.

ამ დროს მოვარჯიშეს უძლიერდება ინტუიცია, თითქმის ყველა ადამიანი შეეცდება სხვების რაიმეში დარწმუნებას.

ამ პერიოდში ადამიანს უსუსტდება მენჯ-ბარძაყის სახსარი (კარგი იქნება თუ უსაფრთხოდ დაცემის ტექნიკას აითვისებთ!).

კ ა რ გ ი ა სულიერი და ინტელექტუალური შემოქმედებისათვის, სწავლისათვის, იურიდიულ საქმეთა გაფორმებისათვის, სასამართლო პროცესების გამართვისათვის, განცხადებების შეტანისათვის, შორეული (მათ შორის საზღვარგარეთ) მოგზაურობებისათვის ან უცხოელებთან კონტრაქტების დადებისათვის.

წარმატებულია უცხო ქვეყნებში კაპიტალ-დაბანდებები, თანამშრომელთა შერჩევა, საზოგადოების ჩამოყალიბება, პარტნიორობაში ჩაბმა.

მშვენიერი დროა სამეცნიერო მუშაობისათვის, ფოსტით მნიშვნელოვანი გზავნილების გაგზავნისათვის, საბრძოლო ხელოვნებაში სავარჯიშოდ საჭირო ინვენტარის შექმნისათვის, ასევე კარგია დარბაზებისათვის ინვენტარის შექმნა, სწავლის დაწყება და ფულის გასესხება.

შესანიშნავი დროა კბილების ამოღებისათვის, საზეიმო საღამოების მოწყობისათვის, ჯილდოების გადაცემისათვის და ბუნართან თანამოაზრეებთან ბაასისათვის.

ც უ დ ი ა იმ საქმეებისათვის, რომლებიც მშენებლობასთან, ქვების მოპოვებასთან და მიწის სამუშაოებთანაა დაკავშირებული.

ამ დროს ქუჩაში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა, ასევე განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვიყოთ მთებში ლაშქრობისას.

დროის ამ მონაკვეთში გავის ძვალზე და თეძოებზე ქირურგიული ჩარევების შემთხვევაში ხშირია გართულებები. შესაძლებელია ფეხებზე სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით ქალებში.

## 10. მთვარე თხის რქის ნიშანში ♄

მთვარის ამ ზოდიაქოს ნიშანში ყოფნის დროს ადამიანის აზრები მიმართულია ცხოვრების პრაქტიკული მხარეებისადმი, მაგრამ თუ კი იგი სწრაფ შედეგებს ვერ ხედავს, მოთმინებას კარგავს და შეცდომებს უშვებს. ადამიანებს მარტო ცხოვრებისეული პრობლემები აინტერესებთ, წუხან სამსახურის თაობაზე და რისკზე არ მიდიან, საკუთარი პრესტიჟის, ღირსების, სახელის და რეპუტაციის შენარჩუნების სურვილი უძლიერდებათ. ამ დღეების ლოზუნგი ასე გამოიყურება – ზომიერება, სიწყნარე, წესრიგი; თავისუფალი და უცნაური ქცევები საყოველთაო გაკიცხვის საგანი გახდება. ამ დროს ადამიანს შესაძლოა გაუჩნდეს ჭარბი პატივმოყვარეობა და ფულის შოვნის მოზღვავებული სურვილი.

ბავშვებს ამ პერიოდში უფროსი ასაკის ადამიანებთან ყოფნის სურვილი უჩნდებათ და მათი საუბრების მოსმენა სურთ: არ დაუშალოთ მათ თქვენთან ყოფნა, ისინი გონებრივ საზრდოს ღებულობენ.

ამ დროს ათვისების უნარი დაქვეითებულია, გონებაში რაიმე თეორია ძალიან ძნელად ჩერდება, მაგრამ თუ “გაჩერდა”, მაშინ ეს ცოდნა ძირფესვიანია, შესაძლებელია ზუსტი მეცნიერებებისა და ისტორიის კარგად ათვისება.

ადამიანებში ამ დროს სულიერი და ინტელექტუალური ინტერესები მეორე პლანზე გადადის. თავი აარიდეთ მძიმე, ძნელად მოსაწონებელ საკვებს. გაუფრთხილდით მუხლებს საბრძოლო ხელოვნებებში და სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვარჯიშისას, განსაკუთრებით თხილამურებით სრიალის დროს.

**კ ა რ გ ი ა** მნიშვნელოვანი, კარგად მოფიქრებული საქმეების მოგვარება.

ხელსაყრელი დროა სპეციალისტებთან ურთიერთობისათვის, ყველაფერი იმისათვის, რაც სამთო საქმესთან და მიწათმოქმედებასთანაა დაკავშირებული, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის და მნიშვნელოვანი სამეცნიერო სამუშაოების დაწყებისათვის.

სასურველი დროა კოლექციის შეგროვებისათვის, ვალების მოთხოვნისათვის, ექიმთან კონსულტაციისათვის, ნადირობისათვის და თევზაობისათვის, მანქანისა და მექანიზმების შეძენისათვის.

ამ დროს ყველაზე ხელსაყრელია იზრუნოთ იმაზე, რომ თავი დაანებოთ თამბაქოს მოწევას და გათავისუფლდეთ სხვა მანეჟერული ჩვეულებებისაგან.

**ც უ დ ი ა** ყველა იმ საქმისათვის, რომელიც ენერჯის დიდი მარაგის ხარჯვას ითხოვს: ფინანსური ოპერაციებისათვის, ოფიციალურ პირებთან, ზემდგომ ინსტანციებთან, გავლენიან ადამიანებთან ურთიერთობებისათვის, იმ საქმეებისათვის, რომლებიც ხელისუფლებასთან, ვაჭრობასთან, გაცვლასთან არის დაკავშირებული.

არახელსაყრელი დროა შეუღლებისათვის, ახალი კავშირების დამყარებისათვის, სამსახურეობრივ კიბეზე აღმასვლისათვის, დაწესებულებებში ახალი თანამშრომლების მიღებისათვის.

ამ დროს არაა საურველი რაიმე წინადადებით მიმართოთ სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლებს.

დროის ამ მონაკვეთში ქირურგიული ჩარევა მუხლზე, ბარდაყის ძვლებზე, წვივზე სასურველი არ არის.

## **11. მთვარე მერწყულის ნიშანში ☾**

ზოდიაქოს ამ ნიშანში მთვარის ყოფნის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი ლოზუნგით: “შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი”. ეს დრო სავსეა მდიდარი წარმოსახვებით, ნატიფი იდეებით, და სამწუხაროდ, არასასურველი აზრებით.

ამ დროს ადამიანს ოპტიმიზმის უკმარისობა და პესიმიზმი, არასაკმარისი რეალიზმი ეუფლება. შესაძლებელია სერიოზული არასწორი გაანგარიშებები, რომლებიც მძიმედ აისახება კარიერაზე და საქმიან აქტიურობაზე.

დროის ამ მონაკვეთში ადამიანებს თავის მოტყუების მიდრეკილება უჩნდებათ. პიროვნება მტკიცედ უნდა ეყრდნობოდეს რეალურ ფაქტებს, რომლებიც არ უნდა გადაფარონ წარმოსახვებმა; ადამიანი, კარგად უნდა დაფიქრდეს მანამდე, სანამ რაიმეს თქმას დააპირებს.

ამ დროს მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მეგობრული ურთიერთობები.

დროის ამ მონაკვეთში ქალები უფრო რეალისტები არიან, ვიდრე მამაკაცები, ამიტომ სასურველია ყური დაეუფდეთ მათ რჩევებს, განსაკუთრებით დედების რჩევებს.

**კ ა რ გ ი ა** დროა საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, იმ ნოვატორული წამოწყებებისათვის, რომლებიც სწრაფ რეალიზაციას ექვემდებარება, კარგია ეროვნული საქმის კეთება.

მშვენიერი დროა მეცადინეობებისათვის, მედიტაციებისათვის, შეკრებებზე დასწრებისათვის, დღესასწაულების და იუბილეების მოწყობისათვის, ტექნიკასთან დაკავშირებული საქმეებისათვის, სამეცნიერო გამოკვლევებისათვის.

ხელსაყრელი დროა ლითონით, ქვით, უძრავი ქონებით, მიწის ნაკვეთით ვაჭრობისათვის, სახლების მშენებლობისათვის, საავარაკო ნაკვეთების წესრიგში მოყვანისათვის.

კარგი დროა ელექტრო და გაზმოწყობილობების, ელექტრო-აპარატურის, ბინების ყიდვისათვის, ახალ ადგილზე გადასვლისათვის, ფულის სესხად აღებისათვის, განცხადებების შეტანისათვის და რეკლამის განთავსებისათვის, რემონტისათვის, შეღებვისათვის, სახურავისა და ღობის გაკეთებისათვის.

წარმატებულია დიეტის დაწყება წონაში დასაკლებად; კარგია კბილების დაბუნვა და პროტეზირება. ამ პერიოდში კარგია გართობა.

**ც უ დ ი ა** ბალის ყვავილების და კულტურების თესვა და გადარგვა, საიდუმლოს ნურავის გაანდობთ, არ შეინახება, ხოლო ინფორმაცია ცუდად შემოგიტრიალდებათ; წერილების გაცვლისათვის და უფროსებთან სამსახურში ურთიერთობებისათვის ცუდი პერიოდია.

დროის ამ მონაკვეთში ადამიანი სხვათა მიმართ პატარ-პატარა გულაცრუებებს განიცდის.

ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მოგეთხოვებათ ელექტროობასთან, გაზის ბალონებთან და შხამ-ქიმიკატებთან.

ქირურგიული ჩარევები თვალებზე, ბარძაყის დიდ ძვალზე და კოჭებზე არ არის სასურველი.

## **12. მთვარე თევზების ნიშანში ✕**

თევზების ნიშანში მთვარის ყოფნა მოუსვენრობის (შფოთის), დაუცველობის გრძნობის გაჩენას იწვევს. ამავე დროს ადამიანი მგრძნობიარე ხდება, უმძაფრდება ინტუიცია და ნათელმხილველური ნიჭი.

ინტრიგებისათვის, საიდუმლო მოლაპარაკებებისათვის და კულისებს მიღმა მაქინაციებისათვის ძლიერ არასასურველი პერიოდია, რადგან ყველაფერი ზედაპირზე ამოტივტივდება.

ამ დროს ადამიანებს ის ნიჭიერებები ეხსნებათ, რომლებზეც არც კი უფიქრიათ, მოულოდნელად ისეთი პრობლემები უგვარდებათ, რომლებიც თითქმის დავიწყებული ჰქონდათ.

დროის ამ მონაკვეთში შესაძლებელია საინტერესო რელიგიური და ფილოსოფიური აღმოჩენები. არ მოგვარდება ის საქმე, რომელიც გასაიდუმლოებას ითხოვს.

ამ დროს სუსტდება ფეხის ტერფები, სიარულის დროს ყურადღებით დაუკვირდით თითოეულ ნაბიჯს.

**კ ა რ გ ი ა** ქალაქგარეთ გასეირნება, მოგზაურობის დაწყება, იურისტებთან კონსულტაცია, მცენარეთა გადარგვა და მორწყვა, ხელსაყრელია საქმეში კაპიტალის ჩადება.

შეგიძლიათ მიმართოთ ნებისმიერ დაწესებულებას საქმეების მოსაგვარებლად. ხელსაყრელი პერიოდია წინასწარ მომზადებული სამუშაოებისათვის, ნებისმიერი საქმის მოგვარებისათვის, კამათისათვის, შეუღლებისათვის, კონტრაქტების დადებისათვის და იმ ადამიანებთან ურთიერთობებისათვის, რომელთა პროფესია ზღვასთან, სითხეებთან, ან უბრალოდ წყალთან არის დაკავშირებული.

წარმატებული დროა სასამართლო პროცესების დაწყებისათვის, ნადირობისათვის, თევზაობისათვის, აგრეთვე შედედებისათვის, გაფუებისათვის და დამწნილებისათვის (განსაკუთრებით სავსე მთვარიანობის დროს), ლუდის დაღულებისათვის.

მშვენიერი დროა შემოქმედებითი სამუშაოებისათვის და საზოგადოების წინაშე გამოსვლისათვის.

**ც უ დ ი ა** დიდი წამოწყებებისათვის, ცეცხლსასროლ იარაღთან, ასაფეთქებელ ნივთიერებებთან ურთიერთობებისათვის, მოერიდეთ ისეთ სითხეებს, რომლებიც ცეცხლთან ახლოს არ უნდა იყოს.

არახელსაყრელი დროა გადაჭარბებული სიამოვნებისათვის, მალული სიყვარულისათვის და ღალატისათვის, ასევე არყისა და “გაკეთებული” ღვინის მიღებისათვის.

დროის ამ მონაკვეთში უნდა იზრუნოთ ჯანმრთელობაზე. ქირურგიული ჩარევები ფეხის ტერფებზე და თითებზე არ არის სასურველი. პიროვნებამ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ფსიქოტროპული პრეპარატების მიღების დროს.

## თავი მესამე

### კომბინირებული ზეგავლენა

მთვარის გავლენის ზემოთ განხილული შვიდი ფაქტორი (ახალმთვარეობა, ზრდადი მთავრე, სავსემთვარეობა, მილევადი მთავრე, მთავრე ზოდიაქოს ნიშნებში, აღმავალი მთავრე და დაღმავალი მთავრე) ერთმანეთს ხან აძლიერებს, ხან კი ასუსტებს და ამით ზემოქმედების თვისებებს ცვლის.

მაგალითად, ადამიანის ორგანიზმის გაწმენდისათვის გამიზნული ყველა ღონისძიება (საშუალება) ყველაზე ხელსაყრელია ჩატარდეს მილევადი მთვარის დროს, როდესაც მთავრე დაღმავალ ზოდიაქოს ნიშანში იმყოფება (იხ.ცხრილები 1,2,3,4 და 5). აქ მოვარჯიშემ უნდა გაიხსენოს, რომ ყველა შიდა ორგანო, მათ შორის ისინიც, რომლებიც ორგანიზმის გაწმენდაზე აგებენ პასუხს, მთვარის დაღმავალი ძალების მიერ იმართებიან.

თუ მთავრე ღომის ნიშანში ( ბ ) იმყოფება, ეს უკვე მიგვანიშნებს, რომ რაიმე სამედიცინო ზემოქმედება გულზე არაეფექტურია და სახიფათოც იქნება. ამავე დროს ზრდადი მთვარის ნეგატიური ძალების ზემოქმედება მრავალჯერ მატულობს, რაც თებერვლიდან აგვისტომდე ხდება ხოლმე. სამაგიეროდ, გულის გამაკაჟებელი საშუალებები, რომლებიც მთვარის აღმავალი ძალის პერიოდის რომელიმე ნიშანში ზრდადი მთავრის დროს ხორციელდება, უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ის საშუალებები, რომლებიც დაღმავალი მთვარის დაღმავალი ძალის მქონე ნიშანში სრულდება.

მოვარჯიშეებმა, განსაკუთრებით ექიმებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ცხრილ №2-ზე და №4-ზე.

თუ მოვარჯიშეს ცხრილში ჩახედვის დრო არ გააჩნია, შეუძლია შემდეგი უბრალო ემპირიული ფორმულები დაიმანსოვროს:

თუ მოვარჯიშე გამოიყენებს ადამიანის ტანის ნაწილებზე ზოდიაქოს ნიშნების ზემოქმედების შესახებ ცოდნასა და ზემოთგანხილულ მთვარის ზოდიაქოს ნიშნებში წლიური გადაადგილების მონაცემებს, ორნახევარი წლის პერიოდში განსაზღვრული ორგანოებისა და ტანის ნაწილების განკურნებისა და გაკაჟების შესაბამისი სხვადასხვა ზემოქმედების გრაფიკი გამოიკვეთება.

მოვიყვანოთ მაგალითი აღმოსავლური მედიცინიდან: სამედიცინო ზემოქმედება თეძოს არეზე (თეძოს არე სასწორის ნიშნით იმართება) ოქტომბრიდან აპრილამდე უფრო კარგ შედეგებს იძლევა, ვიდრე წლის მეორე ნახევარში, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამედიცინო ჩარევა მთვარის სასწორის ზოდიაქოს ნიშანში ყოფნას არ დაემთხვევა.

თუ მოვარჯიშემ ამ პრინციპს ალღო აუღო, ტანის სხვა ნაწილებზე მისი გადატანა ძალიან გაუადვილდება. ეს პრინციპები შემდეგია:

თითოეულ ზოდიაქოს ნიშანს, რომელიც ერთი თვის ხანგრძლივობით მოძრაობს (გადაადგილდება), ნახევარი წლის განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში განწმენდითი პროცესების ხელშემწყობი ძალა გააჩნია, ხოლო შემდეგი ნახევარი წლის განმავლობაში – აღდგენითი პროცესების ხელშემწყობის უნარი გააჩნია.

ექიმმა მოვარჯიშემ, სასურველია, ჩაინიშნოს ის თარიღები, როდესაც რომელიმე საშუალება კარგ დახმარებას გაუწევს პაციენტს და მკურნალობა შედეგიანი იქნება. მან უნდა ჩაიწეროს ის შემთხვევები, როდესაც მთვარის ხელსაყრელი ფაზების ან ზოდიაქოს ნიშნების მიერ მართვად ნიშანში მიღებულმა სამკურნალო აბმა კარგი ზეგავლენა მოახდინა პაციენტზე; ზოგი წამალი უფრო ეფექტურია შემოდგომაზე, ვიდრე გაზაფხულზე, სხვები კი – პირიქით.

სამედიცინო ქირურგიული ჩარევა, სასურველია, მილევადი მთვარის პერიოდში ჩატარდეს! (თუ არ არის საჭირო სასწრაფო ოპერაცია).

ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა – “რაიმესთან შეხების იღუპალი ძალა”. ეს გაკაჟების, მკურნალობის, შექმენების, რაიმეში ჩაწვდომის და ა.შ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და თანაბრად ვრცელდება ადამიანზე, ცხოველსა თუ მცენარეზე.

ბუნებაში, ამა თუ იმ დროს ვეხებით რა რაიმეს, იქნება ეს შეხება აზრით თუ ხელით, მას შიდა თუ გარე ზრახვებით გადავცემთ ნატიფ ენერგიებს – იმ განსაკუთრებულ ძალებს, რომლებიც ზუსტად იმ დროს მთვარის შესაბამის ფაზასა და მისი ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში ყოფნით

გამოწვეულ ზეგავლენას შეესაბამება და როგორც ორმხრივად გამობერილი შუშის ლინზა, ყველა ჩვენ გაბნეულობას ერთ წერტილში შეაგროვებს და გამოასხივებს, ამით ძლიერად ზემოქმედებს როგორც ადამიანზე, ასევე ცხოველებზე, მცენარეებზე, მისაღებ წამლებსა და აბებზე.

ერთი შეხედვით, ბევრ იმ შეუსაბამობას, რომელსაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით, ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ ახსნა მოეპოვება.

### **ცხრილი 3**

#### **ზოდიაქოს ნიშნების მახასიათებლები**

ზოდიაქოს ნიშანი	ნიშნის სიმბოლო	მზის მდებარეობის თარიღები			ზოდიაქოს ელემენტი	ზოდიაქოს ხარისხი (სახეობა)	მმართველი პლანეტა
		ტროპიკული ზოდიაქო	ვარსკლავური ზოდიაქო (სიდერული)	თანავარსკლავთა ზოდიაქო			
ვერძი (ცხვარი)	♈	21 მარტი — 20 აპრილი (ივრიკაი)	14 აპრილი — 14 მაისი	ვერძი 19 აპრ. - 14 მაისი	ცეცხლი	ძირითადი	♄ მარსი (მარისი)
კურო (ხარი)	♉	21 აპრილი — 21 მაისი (ვარლობისაი)	15 მაისი — 14 ივნისი	კურო 14 მაისი — 21 ივნ.	მიწა	უძრავი	♀ ვენერა (მთიები)
მარჩბივი (ტყუპები)	♊	22 მაისი — 21 ივნისი (მარლისაი)	15 ივნისი — 16 ივლისი	მარჩბივი 21 ივნ. - 21 ივლ.	ჰაერი	ცვალებადი	♃ მერკური (ოტერიდი)
კირჩხიბი (კიბო)	♋	22 ივნ. — 22 ივლ. (ქუელთობისაი)	17 ივლისი — 16 აგვისტო	კირჩხიბი 21 ივლ. - 11 აგვისტო.	წყალი	ძირითადი	♅ მთვარე
ლომი	♌	23 ივლ. — 23 აგვ. (არდადეგისაი)	17 აგვისტო — 16 სექტემბერი	ლომი 11 აგვ. - 17 სექტ.	ცეცხლი	უძრავი	☉ მზე
ქალწული	♍	24 აგვ. — 23 სექტ. (ახალ წლისაი) — ახალი წელი 23-VIII	17 სექტემბერი — 17 ოქტომბერი	ქალწული 17 სექტ. - 31 ოქტ.	მიწა	ცვალებადი	♃ მერკური (ოტერიდი)
სასწორი	♎	24 სექტ. — 23 ოქტ. (ღვინობისაი - სუელისაი)	18 ოქტომბერი — 16 ნოემბერი	სასწორი 31 ოქტ — 23 ნოემბ.	ჰაერი	ძირითადი	♀ ვენერა (მთიები)
ღრიანკალი (მორიელი)	♏	24 ოქტ. — 22 ნოემ. (ტირისენისაი)	17 ნოემბერი — 15 დეკემბერი	ღრიანკალი 23 ნოემ — 30 ნოემ.	წყალი	უძრავი	♀ ვენერა (მთიები) ♁ პლუტონი
				გველმჭერი — 30 ნოემბ — 18 დეკემბერი			
მთისარი (მშვილდოსანი)	♐	23 ნოემ. - 21 დეკემ. (ტირისდენისაი)	16 დეკემბერი — 14 იანვარი	მთისარი 18 დეკ — 19 იანვარი	ცეცხლი	ცვალებადი	♃ იუპიტერი (მუშთარი)
თხის რქა	♑	22 დეკემ. — 20 იანვ. - (სურწყუნისისაი)	15 იანვარი — 12 თებერვალი	თხის რქა 19 იანვ. — 16 თებერვ.	მიწა	ძირითადი	♃ სატურნი (ზუალი)
მერწყული	♒	21 იანვ. — 19 თებერვ. (აპნისისაი)	13 თებერვალი — 14 მარტი	მერწყული 16 თებ. - 12 მარტი	ჰაერი	უძრავი	♃ ურანი ♃ სატურნი (ზუალი)
თევზები	♓	20 თებერვ. — 20 მარტი (მიპრაკანისაი)	15 მარტი — 13 აპრილი	თევზები 12 მარტი — 19 აპრილი	წყალი	ცვალებადი	♃ ნეპტუნი ♃ იუპიტერი (მუშთარი)

**ცხრილი 4****მთვარის ფაზების ურთიერთკავშირი და მისი მდგომარეობა ზოდიაქოს ნიშანში**

ზოდიაქოს ნიშანი	სიმბოლო	მიღევადი მთვარე	მზარდი მთვარე
ვერძი	♈	აპრილი - ოქტომბერი	ოქტომბერი - აპრილი
კურო	♉	მაისი - ნოემბერი	ნოემბერი - მაისი
მარჩბივი	♊	ივნისი — დეკემბერი	დეკემბერი - ივნისი
კირჩხიბი	♋	ივლისი - იანვარი	იანვარი - ივლისი
ლომი	♌	აგვისტო - თებერვალი	თებერვალი - აგვისტო
ქალწული	♍	სექტემბერი - მარტი	მარტი - სექტემბერი
სასწორი	♎	ოქტომბერი - აპრილი	აპრილი - ოქტომბერი
ღრიანკალი	♏	ნოემბერი - მაისი	მაისი - ნოემბერი
მთისარი	♐	დეკემბერი - ივნისი	ივნისი — დეკემბერი
თხის რქა	♑	იანვარი - ივლისი	ივლისი - იანვარი
მერწყული	♒	თებერვალი - აგვისტო	აგვისტო - თებერვალი
თევზები	♓	მარტი - სექტემბერი	სექტემბერი - მარტი



# თავი მეოთხე

## მთვარის დღეები, ფაზები

### 1. მთვარის დღეების კლასიფიკაცია

ადამიანის ორგანიზმზე მოქმედებს როგორც მზის, ასევე მთვარის დღე-ღამეები – მთვარის ამოსვლიდან ჩასვლამდე.

მთვარის დღე-ღამის პერიოდი მზის დღეებზე ერთი საათით გრძელდება, იმის გამო, რომ მთვარის მოძრაობა მზის გარშემო ძალიან რთულია (რადგან მთვარეზე მოქმედებს არამარტო დედამიწის მიზიდულობა, არამედ მზის მიზიდულობაც). ეს განსხვავება 10-15 წუთში გამოიხატება.

ჩვეულებრივ პირობებში, განსაკუთრებით დღის განმავლობაში, მთვარის რითმი ნელდება მზის სხივებით, ღამით კი იმის გამო, რომ მზის სინათლე არაა, მთვარის რითმი თავის ბუნებრივ სიჩქარეს ავლენს.

მეცნიერებმა უკვე აღიარეს, რომ წარმოშობით მთვარის რითმები მზის რითმებზე ძველია. მაგალითად, დედამიწაზე მცხოვრები მიკროორგანიზმები (კირჩხიბი და სხვა) არა “მზის” არამედ “მთვარის” რითმით ცხოვრობენ. ხოლო ადამიანის ბიოლოგიური საათი მომართულია არა 24 საათზე, არამედ 25 საათზე – მთვარის დღე-ღამის პერიოდის შესაბამისად.

მთვარის რითმი მზის რითმის საპარისპიროა: მთვარის აქტიური ფაზები ღამეზე მოდის. მთვარის ამოსვლა და ჩასვლა არც ისე მკაფიოდ ჩანს მზის ამოსვლისა და ჩასვლის ფონზე. ამ დროს ჩვენს ორგანიზმში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროცესები, ჩვენი გუნებაგანწყობილება უარესდება, თავს სხვაგვარად ვგრძნობთ, როგორც ფიზიკურად, ასევე ემოციურად განსაკუთრებით სავსემთვარეობის დროს.

აღმოჩნდა, რომ ყოველ 29,5 დღის განმავლობაში, ახალმთვარეობიდან მომდევნო ახალმთვარეობამდე (მთვარის ფაზათა ციკლის ხანგრძლივობა) ადამიანი ემოციურად და ფიზიკურად გაივლის წელიწადის ოთხივე დროს – ზამთარს, გაზაფხულს, ზაფხულსა და შემოდგომას.

მთვარის “ზამთარი” – ეს ის შვიდი დღეა, რომლის ცენტრიც ახალმთვარეობაა. ესაა სასიცოცხლო აქტიურობის შემცირების, ბიორითმების დაქვეითების პერიოდი, რომლის ყველაზე დაქვეითებულ წერტილს – ახალმთვარეობა წარმოადგენს.

მთვარის “გაზაფხული” – ყოველი ცოცხალი არსების გამოღვიძების და ზრდის პერიოდია, მათ შორის ჩვენი ოპტიმიზმისაც. ამ 7 დღის ცენტრს პირველი მეოთხედი წარმოადგენს.

მთვარის “ზაფხული” – ეს ის 7 დღეა, რომლის ცენტრს სავსემთვარეობა წარმოადგენს. ამ დროს ხდება სოცოცხლისუნარიანობის გაფურჩქვნის მაქსიმალური ამაღლება და “ზაფხულის კინკრიხოს” შეესაბამება.

ბოლოს კი მთვარის “შემოდგომა” – ეს სიცოცხლისუნარიანობის დაცემის (დაქვეითების), ორგანიზმის “ზამთრის ძილისათვის” მომზადების პერიოდია. ეს ის 7 დღეა, რომლის ცენტრს მთვარის ბოლო მეოთხედი წარმოადგენს.

ამასთან, ამ გათვლაში იკარგება 1,5 დღე – რომელიც თანაბრად ემატება ამ ციკლის ორ მნიშვნელოვან წერტილს – ახალმთვარეობასა და სავსემთვარეობას.

ოსტატების ცნობით, მთვარე პირველ მეოთხედში (მთვარის გაზაფხული) – ატენიანებს, მეორე მეოთხედში (სავსემთვარეობა, მთვარის ზაფხული) – ათბობს, მესამე მეოთხედში (ბოლო მეოთხედი, მთვარის შემოდგომა) – აშრობს და მეოთხე მეოთხედში (ახალმთვარეობა, მთვარის ზამთარი) – აცივებს (აგრილებს).

მთვარის ფაზები გავლენას ახდენს ადამიანის თვალეზზეც: მთვარის “ზაფხულსა” და ყოველი სავსემთვარეობის დროს თვალის მგრძნობიარე ბადე მოწითალოა, ლურჯი ფერი

აღიქმება, როგორც უფრო ნათელი, ვიდრე ყვითელი. მთვარის “ზამთარში” და ახალმთვარეობის დროს კი – პირიქით.

ამრიგად, ადამიანის ორგანიზმის ბიორითმიდან გამომდინარე, მთვარე-მზიური ციკლი იყოფა ორ ნაწილად; თითოეული კი მიახლოებით 14 დღედ: ზრდადი მთვარის პერიოდი – ახალმთვარეობიდან

სავსე მთავრობამდე და მთავრის დაქვეითების პერიოდი – სავსე- მთავრობიდან ახალმთავრობამდე.

მთავრის მზარდი პერიოდის განმავლობაში ადამიანი უფრო აქტიურია, ენერგიული. მისი ბიორითმი აწეულია და იგი უფრო იღბლიანია თავის წამოწყებებში.

მთავრის მიღების (დაქვეითების) პერიოდში ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობა ქვეითდება, ადამიანი ნაკლებად აქტიურია, ჩქარა იღლებს, მისი რეაქციაც ქვეითდება, საქმეები “ღრჭიალით” მიდის წინ.

## 2. მთავრის დღეების ზემოქმედება

თითოეული მთავრის დღე მთავრის ამოსვლით იწყება; თითოეულ დღეს მთავრის ამოსვლისა და ჩასვლის საკუთარი დრო გააჩნია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებობს მთავრის დღე და მთავრის ღამე.

მთავრის პირველი ორი დღე ყოველთვის მზის ამოსვლისას იწყება, მთავრის პირველი დღეები გრძელდება თითქმის მთელი ნათელი დღის განმავლობაში. სავსემთავრობის შემდეგ მთავრის დღე მზის ჩასვლის შემდგომ იწყება, ხოლო მთავრის ღამე დღეზე მოდის, რაც დიდ ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე.

ვნახოთ, რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე მთავრის დღე და მთავრის ღამე?

როდესაც მთავრე ამოდის და ეს ამოსვლა დღის ნათელ დროს ემთხვევა, ადამიანს უჩნდება მალული ნეგატიური ემოციები—იმას, რასაც აიგი სხვა პერიოდის დროს მოითმენდა, ამ შემთხვევაში ვერ შეძლებს. ასე მაგალითად, მთავრის დღის ზეგავლენა კარგად ჩანს ფსიქოლოგიურად სუსტ ადამიანებზე.

მთავრის დღე (ამოსვლა) თუ ღამეს ემთხვევა (სავსემთავრობის დროს), ადამიანის მალული ნეგატიური ემოციები უძილობაში გამოიხატება. ფსიქოლოგიურად ძლიერი ადამიანების ემოციების პიკი, განსაკუთრებით ზედა კულმინაცია, ე.წ. მთავრის შუადღეზე მოდის. მთავრის შუადღე – მთავრის ამოსვლისა და ჩასვლის არითმეტიკულ შუალედს წარმოადგენს, თუ მთავრის შუადღე დღის ნათელ პერიოდზე მოდის, ადამიანი აკონტროლებს საკუთარ ემოციებს, ხოლო მთავრის ცუდი ასპექტების დროს ადამიანის ემოციების ყველაზე დიდი გამოვლინება ხდება ღამე – ამ დროს ემოციების დაოკება რთულია.

მთავრის დღის განმავლობაში, გარდა ემოციური პიკისა, თავს იჩენს ასევე სნეულებებიც, რასაც გათვალისწინება სჭირდება.

აღმოსავლელი ექიმების აზრით, მთავრის დღის განმავლობაში ვლინდება ის სნეულებები, რომლებიც ადამიანს ფარულად გააჩნდა.

“მთავრის ღამის” პერიოდში ადამიანს ეუფლება არამოტივირებული სევდა, მარტოობისა და საკუთარი სისუსტის შეგრძნება. თუ “მთავრის ღამე” ემთხვევა მზიან დღეს, მაშინ ადამიანები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ემოციურად მთავრეზე ძლიერ არიან დამოკიდებულები, ამ გრძნობებს დღის განმავლობაშიც განიცდიან. მათ ყველაფერი აღიზიანებთ, მაგრამ განმარტოება არ შეუძლიათ.

მთავრის დღის პერიოდში შესაძლებელია სნეულებები გააქტიურდეს, ამიტომ საჭიროა მათი კორექცია. ეს პერიოდი საკუთარ თავზე მუშაობის დროა.

მთავრის დღე თუ ღამეს ემთხვევა, სიზმრებს მოაქვთ პოზიტიური ინფორმაცია. მთავრის ღამის პერიოდში რეკომენდირებულია შეიზღუდოს კონტაქტები, საჭიროა რამოდენიმეჯერ მოახდინოთ მოღუნება.

**ქალები** – სავსემთავრობის დროს უფრო აქტიურები არიან, ვიდრე მამაკაცები. ალკოჰოლური სასმელების მიღება სავსემთავრობის პერიოდში სასურველი არ არის, რადგან ადამიანმა ზუსტად ამ დროს თავისი ბიორითმების პიკის მომენტში არ იცის რა უყოს თავის მამოძრავებელ ენერგიას და ამას კიდევ ალკოჰოლის უდიდესი ძალაც თუ დაემატა... ამიტომ ქორწილებისა და სხვა დღესასწაულების მოწყობას სავსემთავრობის დროს ერიდებიან ხოლმე.

ადამიანის ბევრი ბიორითმი შეთავსებულია მთვარის ფაზებთან. ყველასათვის ცნობილია მთვარის დაახლოებით 28 დღიანი ციკლი. ქალებთან ქალური წესის ციკლი ჩვეულებრივ მთვარის იმ ფაზის დროს იწყება, როდესაც თვით ეს ადამიანია დაბადებული.

მთვარის ფაზებს სხვადასხვა შეფერილობა გააჩნია. მთვარის დღეების გამოთვლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ახალმთვარეობის მომენტიდან მთვარის შემდეგ ამოსვლამდე – მთვარის პირველი დღეა. იგი შეიძლება იყოს მოკლეც და გრძელიც.

ახალმთვარეობიდან პირველი მთვარის დღის შემდეგ უკვე მთვარის მეორე დღე მოდის და ა. შ. ბოლო, 30-ე მთვარის დღედ ითვლება ახალმთვარეობამდე ბოლო მთვარის ამოსვლა და, როგორც პირველი მთვარის დღე, იგი შეიძლება მოკლე იყოს. მთვარის კალენდრის ფურცლებზე ან მთვარის ცხრილებში ყოველთვის მოცემულია მთვარის ამოსვლისა და ჩასვლის დრო. ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს იმ ქვეყნაში გამოცემული ცხრილით, რომელშიც ცხოვრობს.

### **3. მთვარისა და მზის რითმები, ანუ როგორ უნდა ვიხელმძღვანელოთ ასტროლოგიური ცხრილებით**

იმ ზღვა რითმებში, რომელშიც ადამიანი დაბადებიდან მოყოლებული ხან ცურავს, ხან უწესრიგოდ ფართხალებს, გამოიკვეთა მთვარისა და მზის ციკლების ტალღები. ისინი ორ დიდ ჯგუფად იყოფა. ერთი მათგანი მთვარისა და მზის ყოველდღიურ ამოსვლისა და ჩასვლასთანაა დაკავშირებული, ანუ დედამიწის ღერძების გარშემო დღე-ღამურ ბრუნვასთან, მეორე კი გამოხატავს ორბიტალურ ციკლს – ბრუნვა დედამიწისა მზის გარშემო და მთვარისა დედამიწის გარშემო.

ადამიანმა თავისი ძილი საკმაოდ კარგად შეისწავლა, მაგრამ მაინც ძალიან ცოტა რამ ვიცით ჩვენი ძილის რითმის თაობაზე! გამოძინების მიზნით ადამიანი ხანდახან ადრე წვეება დასაძინებლად, მაგრამ მოსალოდნელი 10 საათი შესაძლოა, უცბად ნახტომით 4 საათამდე შემცირდეს, რადგან იგი მოხვდა მთვარის “არა ფაზაში”.

ადამიანის ძილი რითმის მსგავსი პროცესია, როგორც მისი ორგანიზმის დანარჩენი ფუნქციები. ძილის პროცესში არის ისეთი ფაზები, როდესაც ადამიანი ადვილად იღვიძებს, მაგრამ არის ე.წ. “მკვდარი ძილის პერიოდიც” – მას “სატურნის დროს” უწოდებენ ასტროლოგიურად. უძილობას ასტროლოგიურ მცნებებში – რითმიდან ამოვარდნას უწოდებენ. მთავარია ადამიანმა შეისწავლოს საკუთარი ძილის რითმი, დაუკავშიროს იგი მთვარის ფაზების ცვლის ციკლს (29.5=472 “ნაბიჯს”) და მთვარის დედამიწის გარშემო ბრუნვის პერიოდს (27.32 დღე + 437 “ნაბიჯს”) და უძილობაც გაქრება.

თუ გსურთ მოხვდეთ “მკვდარი ძილის ფაზაში”, ასე მოიქცით: საკუთარ მალვიძარას ისეთი რეჟიმი მიეცით, რომ მან “გადაზომოს” თქვენთვის დროის შუალედები, მოკლე 1.5/1.5 საათიანი, 3 საათიანი, 6 საათიანი, 7.5 საათიანი ძილის ხანგრძლივობით. მაგრამ არა 6.5 ან 7 საათიანი – მხოლოდ და მხოლოდ 6.5-7 სთ-ს შემდეგ მოხვდებით მთვარის “მკვდარი ძილის” და შესაბამისად “გამოღვიძების” ფაზაში.

ჯანმრთელობისათვის ძალიან კარგია მზის ამოსვლასთან ერთად გაღვიძება და ადგომა, ხოლო დაძინება სასურველია მზის ჩასვლის შემდეგ. დასაძინებლად ან უბრალოდ, ცოტა ჩასათვლემად დაწოლა მზის ჩასვლის პროცესში მავნეა, ამ დროს რამოდენიმე საათით ჩათვლემამ, შეიძლება ადამიანი ძლიერ მოთენთოს, ხანდახან თავის ტკივილის შეგრძნებაც კი გაუჩინოს.

დროის ათვლა მეტად არახელსაყრელია შუალამიდან–00:00 საათიდან. ამ დროს არავითარი ბუნებრივი რითმი არ იწყება. ბუნებისთვის შუალამე არ არსებობს, იგი ადამიანის მოგონილია. ბუნებაში თითოეულ რითმს თავისი დროის სვლა გააჩნია და რითმების ერთმანეთთან შედარება ხორციელდება ანალოგიური (შესაბამისი) ფაზების მეშვეობით.

მთავარია დავიმახსოვროთ, რომ ნებისმიერი ბუნებრივი რითმი, რომელ პროცესსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი – იქნება ეს ყველაზე დიდი გალაქტიკის განვითარება თუ ჩვენი ორგანიზმის ყველაზე პატარა უჯვრედის ფუნქციონირება – ვითარდება ერთი და იმავე კანონით, გადის ერთი

და იგივე ფაზებს. ბუნების სამი ფაზა ადვილად შესამჩნევია: დასაწყისი, გამოვლინების მაქსიმუმი (აკროფაზა) და დასასრული.

იღუმალ მეცნიერებაში არჩევნ თითოეულ რითმში 7-დან 12-მდე ფაზას (დასახული ამოცანის შესაბამისად) და ადარებენ ერთმანეთთან რითმებს არა სამოქალაქო “საათის” მიხედვით, არამედ ფაზების საშუალებით – ერთი რითმის პირველ ფაზას ადარებენ მეორე რითმის პირველ ფაზასთან და ა.შ.

დროის მხოლოდ ამნაირი გამოთვლით ხორციელდება რითმული ბუნებრივი კანონების რელიეფი.

ადამიანის მცდელობა – გაიანგარიშოს ბუნებრივი რითმები სამოქალაქო საათის მეშვეობით (მაგ: აითვისოს რაიმე პროცესი ზუსტად 17 საათისათვის) არასწორია, რადგან შეუძლებელია ბუნებრივი – ღვთაებრივი გაიანგარიშო ხელოვნურით – ადამიანის გონების გამონაგონით.

## თავი მეხუთე

### მთვარის დღეთა ფაზები

და

### შესაბამისი სტიქიები

მთვარის დღეები განეკუთვნება განსაზღვრულ სტიქიებს და შეესაბამება განსაზღვრულ პლანეტურ ენერგიებს.

მთვარის 1,8,15,22 დღეები – განეკუთვნება მზის (კვირა) დღეებს.

მთვარის 2,6,23,24 დღეები – განეკუთვნება მთვარის (ორშაბათი) დღეებს.

მთვარის 3,10,17,24 დღეები – განეკუთვნება მარსის (სამშაბათი) დღეებს.

მთვარის 4,11,18,25 დღეები – განეკუთვნება მერკურის (ოთხშაბათი) დღეებს.

მთვარის 5,12,19,26 დღეები – განეკუთვნება იუპიტერის (ხუთშაბათი) დღეებს.

მთვარის 6,13,20,27 დღეები – განეკუთვნება ვენერას (პარასკევი) დღეებს.

მთვარის 7,14,21,28 დღეები – განეკუთვნება სატურნის (შაბათი) დღეებს.

მთვარის 30-ე და 29-ე დღეები – კი წარმოადგენს მხოლოდ შემადგენელ დღეებს.

მთვარის ზოდიაქალური წრე 28 სადგურისაგან შედგება, 29-ე დღე მთვარის ზოდიაქალური წრის გარე დღეა, მძიმე დღეა და მის საპირისპიროდ არსებობს – მთვარის 30-ე დღე. სამწუხაროდ, მთვარის 29-ე დღე ყოველ თვე არსებობს, 30-ე კი ყოველთვის არ არის.

30-ე დღეს უზენაესის ნებით გვიმსუბუქდება ჩვენი ცოდვები და ვთავისუფლდებით გავლილი მთვარის თვის დაძაბულობებისაგან. ამ დღეს ჯამდება განვლილი თვე და ადამიანი თავისუფლდება იმ ყველაფრისაგან, რაც ზედმეტია.

მთვარის ის თვე, რომელიც მთვარის 30 –ე დღიდან იწყება, სასურველ და ბედნიერ თვედ ითვლება.

როგორც ვთქვით, მთვარეს გააჩნია ოთხი ფაზა, თითოეული მთვარის ფაზა განსაზღვრულ სტიქიას შეესაბამება:

მთვარის I ფაზა (ახალმთვარეობა) – მიწის სტიქიას;

მთვარის II ფაზა (პირველი მეოთხედი) – წყლის სტიქიას;

მთვარის III ფაზა (სავსემთვარეობა) – ჰაერის სტიქიას;


მთვარის IV ფაზა (ბოლო მეოთხედი) – ცეცხლის სტიქიას.

## თავი მეექვსე

### დედამიწისა და მთვარის მიახლოების პერიოდები

მთვარე პერიოდულად ძალიან უახლოვდება ჩვენს დედამიწას. ამ დროს ასტროლოგები პერიგეის უწოდებენ. პერიგეი ხასიათდება ადამიანის ორგანიზმში მოძრაობების კოორდინაციის დარღვევით, ადამიანი უშვებს უფრო მეტ შეცდომებს, ასევე ხდება ჰორმონების ჭარბად კარგვა (სურ.6-01)

სამწუხაროდ ეს ყველაფერი იწვევს ავარიების, ტრავმების მეტ ალბათობას. მთვარის პერიგეიში ყოფნისას ოსტატები გვირჩევენ სიმშვიდეს, მათი აზრით, სჯობს თავი შევიკავოთ თვითმფრინავით ფრენისგან, შორი მოგზაურობებისგან, ისინი არ გვირჩევენ სახიფათო საქმეებში, ორთაბრძოლებში თუ სპორტულ შეჯიბრებებში ჩაბმას.



სურათი 6-01. დედამიწისა და მთვარის მიახლოების პერიოდები


## თავი მეშვიდე

### მთვარისა და მზის დაბნელებები

ყველა ნეგატიური მოვლენა, რომელიც თავს იჩენს ახალმთვარეობისა და სავსემთავრეობისას, მთვარის ან მზის დაბნელების დროს ათმავდება.

ამ მოვლენამდე მიახლოებით ერთი კვირით ადრე, თავად იმ დღეს და დაბნელებიდან ერთი კვირის შემდეგ, ოსტატების რჩევით, სასურველია არ გადავუხვიოთ ჩვეულ ცხოვრებისეულ რითმს.

მთვარის დაბნელება ქალის ფსიქიკაზე უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე მამაკაცისაზე, მზის დაბნელება კი – პირიქით. ამ დროს ძლიერ დატვირთვას განიცდის ადამიანის გული. უნდა ვიყოთ გონიერნი, მშვიდნი, მოსიყვარულენი და არ გადავტვირთოთ ამ პერიოდში ორგანიზმი (სურ.7-01).



სურათი 7-01. მთვარისა და მზის დაბნელებები

## თავი მერვე

### მთვარის რითმები და ჯანმრთელობა

“მოვლენები ხან წინ გვისწრებენ, ხან კი ძლიერ ჩამორჩებიან;  
ხან თავისუფლად ვსუნთქავთ, ხან – გვიჭირს;  
ხან სავსე ვართ ენერჯით, ხან კი უენერჯიანი ვართ;  
ადამიანი ხან ამალღებულია, ხან კი – დათრგუნულია...  
ამ ყველაფრის შემხედვარე ბრძენი ადამიანი თავს არიდებს გადამეტებებს, უსაზღვროებასა და თვითკმაყოფილების გრძობას”.

ცნობილი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო ძი  
ძვ. წ. აღ. VI ს.

### ჯანმრთელობა და ჩვენ

ჯანმრთელობის წყალობით ადამიანს საშუალება ეძლევა თავის თავში გახსნას უზენაესისა და ბუნების მიერ ჩადებული ნიჭიერება. ჯანმრთელობა ეს ის ძალაა, რომელიც ადამიანს იმის გადალახვის საშუალებას აძლევს, რაც მას ხელ უშლის; ჯანმრთელობა ისეთი მდგომარეობაა, რომელიც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებს ჰარმონიულს ხდის და ისეთი ჩანაფიქრების განხორციელებაში ეხმარება, რომელიც მისი ცხოვრების არსს წარმოადგენს.

მოვარჯიშე ამ პროცესების ურთიერთკავშირში ჩახედული უნდა იყოს; ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ადამიანის ტანს, სულსა და წმინდა სულს შორის არსებობს კავშირი ისინი ახდენენ ზემოქმედებას, როგორც ერთმანეთზე, ასევე იმაზე, რაც მათ ირგვლივა: ადამიანები, ბუნება, პლანეტები, ვარსკლავები, თანავარსკლავედები, გალაქტიკები... ეს ყველაფერი უწყვეტ და ჰარმონიულ ერთიანობაში იმყოფება.

სწეულება მაშინ იბადება, როდესაც ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში დინამიურ წონასწორობას ვეღარ ინარჩუნებს.

ბუნებაში ყველაფერი ჟღერადობის, რხევების და რითმების არსია. ამიტომ ამ რითმების ხანგრძლივი პერიოდით უგულებელყოფა და დინების მიმართულების საწინააღმდეგოდ ცურვა არ არის კარგი შედეგის მომტანი.

ადამიანის ტანი მოვლას ითხოვს და წლოვანების თითოეულ ეტაპს თავისი სპეციფიკა გააჩნია. ასეთივე ყურადღება ესაჭიროება ადამიანის სულსა და წმინდა სულსაც – აქ იკვეთება ადამიანის ცნობიერების (გონიერების) უდიდესი მნიშვნელობა. ადამიანის ცნობიერების როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი მდგომარეობა ყოველთვის გარე სამყაროს ზუსტ ანარეკლს წარმოადგენს.

ადამიანის ტანი – ნამდვილი საოცრებაა, იგი მრავალი ათწლეულების განმავლობაში თითქოსდა ადამიანს ყველაფერს “პატიებს”: არასწორ კვებას, არასაკმარის მოძრაობებს, ნიკოტინს, სტრესებს და მრავალწლიან გულგრილ დამოკიდებულებას ორგანიზმის შიდა ბიორითმების მიმართ. ამ მავნე ჩვევებისაგან გათავისუფლება ძალიან რთულია, ზოგს არც კი სურს მათზე უარის თქმა. სამწუხაროდ თვით ადამიანმა ნაკლებად იცის თავისი ტანის ნამდვილი მოთხოვნები და რითმები, ჩვენი ცხოვრება ხომ რითმებს, რითმების ტალღებს ექვემდებარება.

მოვარჯიშემ უნდა იცოდეს, თუ როგორ ფუნქციონირებს მისი ტანი. უნდა ერკვეოდეს, რა დონემდე დატვირთოს იგი. სამწუხაროდ, ადამიანი იმკის იმას, რასაც თესავს – სწეულებები ნათელ დღეს ციდან არ აცვივდება ადამიანს.

### ა) სწეულებების მიზეზები და მათი მკურნალობა

ჯანმრთელი ცხოვრების წესს მთვარის რითმების კუთხით უნდა შევხედოთ.

იმისათვის, რომ მთვარის რითმები ადამიანის ჯანმრთელობის გაკაუების, გაჯანსაღების და სნეულებებთან ბრძოლის საქმეში ჩაებას, საჭიროა სნეულებების მიზეზი ვეძებოთ არა ტანში, არამედ აზროვნებაში, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს ხდება სნეულებების ძირითადი მიზეზი.

## **ბ) სწორი კვება – ჯანმრთელობის საფუძველია**

ნათქვამია – “რასაც მიირთმევ, ის ხარ შენ” – ამაში ჭეშმარიტების მარცვლი ძევს. ის, რაც ადამიანის ორგანიზმში ხვდება, შეიძლება იქცეს, როგორც სამკურნალო საშუალებად, ასევე – საწამლავად, იმისდა მიხედვით თუ რა ნივთიერებებია, რა რაოდენობით არის და რა დროს მივიღებთ.

ერთფეროვანი საკვების მიღება, ნებისმიერი დიეტა მავნებელია. ერთფეროვნება იმ შემთხვევაშიც კი, როცა საკვები სასარგებლოა, დაუშვებელია, ადამიანის ტანს იმაზე მეტი სჭირდება, ვიდრე “მარგებელი” (სასარგებლო) მარცვლები ან “ბალასტური ნივთიერებები”. რასაკვირველია, საჭიროა სასარგებლო მარცვლოვანებშიც, ბალასტური ნივთიერებებშიც, მაგრამ ასევე საჭიროა განსაზღვრული ნაირსახეობებიც, რათა ადამიანს ტონუსში ჰქონდეს ორგანოები, საჭმლის მომნელებელი სისტემა, ისევე, როგორც ნებისმიერი კუნთს ესაჭიროება მოძრაობა, რათა შრომისუნარიანობა შეინარჩუნოს.

არსებობს მეორე მნიშვნელოვანი პუნქტიც:

ადამიანები, რომლებსაც საჭმლის მომნელებელი სისტემა არაჯანსაღი აქვთ, თვლიან, რომ მკურნალობის საშუალებით სწრაფად მიიღებენ სასურველ შედეგს, თუმცა წლების განმავლობაში გამომუშავებულ ჩვევებსა და ქცევებს (იგულისხმება სწორი კვება) ერთი ღამის განმავლობაში ვერ გამოცვლი – ორგანიზმი ცვლილებებზე ნელა რეაგირებს. საჭიროა დრო, რათა საჭმლის მომნელებელი ტრაქტი ბუნებრივ რითმებს დაუბრუნდეს.

საჭმლის მომნელებელ სისტემაში გაჩენილი პრობლემების შემთხვევაში, თითქმის ყოველთვის საჭირო ხდება სერიოზული ცვლილებები შევიტანოთ, როგორც კვების რაციონში, ასევე დღის წესრიგში.

საჭმლის მომნელებელი სისტემის გასაჯანსაღებლად საჭიროა ყური მივუგდოთ ჩვენს სხეულს, რომელიც ყოველთვის გვაძლევს ნიშანს, მაგრამ თუ ამას ყურადღება არ მივაქციეთ,

შესაძლოა მორიგი სივანალი რამოდენიმე საათის შემდეგ განმეორდეს, ამ შუალედში კი სწორი ნაწლავიდან ხდება შხამების შეწოვა ორგანიზმში.

## **2. მთვარის რითმები და კვება**

ა) ზრდადი მთვარე:

კვებავს, გეგმავს, აღიქვამს, ქმნის, აბსორბციას (სინათლეს შთანთქავს) ახდენს, ისუნთქავს, ენერჯიას აგროვებს, ძალის სათუთ დახარჯვას მოითხოვს, ითხოვს დასვენებას;

ბ) მიღევადი მთვარე:

ჩამორეცხს, ამოისუნთქავს, აშრობს, მოითხოვს აქტიურობას და ენერჯიის ხარჯვას.

მოვარჯიშემ, რომელიც მთვარის ფაზების სხვადასხვა ზემოქმედებას აღიქვამს, უნდა შეძლოს ამ რითმების ჰარმონიული ინტეგრირება თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში და გამოიკვლიოს ისინი.

საკვების მონელება და შეწოვა მთვარის ფაზებზეა დამოკიდებული. მზარდი მთვარის დროს კუჭში სიმძიმეს ნაკლებად ვგრძნობთ და წონაში ნაკლებად ვიმატებთ, ვიდრე მიღევადი მთვარის დროს, მეორე მხრივ, მიღევადი მთვარის დროს ადამიანს შეუძლია უფრო მეტი საკვები მიიღოს, ვიდრე ჩვეულებრივად და სწრაფად არ მოიმატოს წონაში.

კვებაზე ასევე დიდი გავლენა აქვს მთვარის ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში ყოფნას. ჩვეულებრივ, კვების ბალანსირებას გვთავაზობენ ასტროლოგები, მაგრამ მათ ტექსტებში ქვეტექსტებიც არსებობს – ყველა საკვების ნოყიერი ნივთიერება: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალები და ვიტამინები – თეფშზე ერთდროულად უნდა მოხვდესო... საქმე სხვაგვარადაა:



დავუკვირდეთ პატარა ბავშვებს, მათ საოცარი “კვების პერიოდები” გააჩნიათ – ხან მსუყე ბუტერბროდებს შთანთქავენ, ხან კი ხილსა და ბოსტნეულს ვერ შორდებიან; ეს გამძაფრებული მოთხოვნილება რომელიმე პროდუქტზე ჩვეულებრივ, რამოდენიმე დღე გრძელდება.

ნებისმიერი ერთფეროვნება კვებაში, რასაკვირველია, ცუდია მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საკვები ყველაფერ იმას უნდა შეიცავდეს, რაც მარგებელია. ერთფეროვნებითა და უბრალოებით მომზადებულ საკვებებს შორის დიდი განსხვავებაა.

წარმოდგენილ ცხრილ №6 კვების პროდუქტების მიღების ის რეკომენდაციებია მოცემული, რომლებიც მთვარის ზოდიაქოს ნიშანში ყოფნას ითვალისწინებს.

ცხრილი № 5

**ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში მყოფი მთვარის გავლენა კვების პროდუქტებზე.  
ანუ მთვარის რითმების გავლენა კვებაზე**

სითბოს დღეები ელემენტი: ცეცხლი მცენარის ნაწილი: ნაყოფი  
ვერძი  
ლომი კვების პროდუქტის სახე: ცილები  
მოისარი  
ამ დღეებში ცილების საუკეთესო თვისებები ვლინდება, რაც ადამიანის ფსიქიკაზე და გრძნობათა ორგანოებზე დადებითად მოქმედებს.

სიცვიის დღეები ელემენტი: მიწა მცენარის ნაწილი: ფესვი  
კურო  
ქალწული კვების პროდუქტის სახე: მარილი  
თხის რქა  
ამ დღეებში მარილის საუკეთესო თვისებები ვლინდება, რაც ადამიანის სისხლს კვებავს.

სინათლის დღეები ელემენტი: ჰაერი მცენარის ნაწილი: ყვავილი  
მარჩბივი  
სასწორი კვების პროდუქტის სახე: ცხიმები  
მერწყული  
ამ დღეებში ცხიმის საუკეთესო თვისებები ვლინდება, რაც ადამიანის ჯირკვლებზე დადებითად მოქმედებს.

წყლის დღეები ელემენტი: წყალი მცენარის ნაწილი: ფოთოლი  
კირჩხიბი  
ღრიანკალი კვების პროდუქტის სახე: ნახშირწყლები  
თევზები  
ამ დღეებში ნახშირწყლების საუკეთესო თვისებები ვლინდება, რაც ადამიანის ნერვულ სისტემაზე დადებითად მოქმედებს.

რას ნიშნავს სიტყვა: ”კვების პროდუქტის სახე”, მაგალითად სინათლის დღეებში, როცა მთვარე მარჩბივის, სასწორის ან მერწყულის ნიშანში იმყოფება, ზეთის ხილის ნაყოფისაგან უფრო მეტი ზეთის გამოწურვაა შესაძლებელი, ვიდრე სხვა დღეებში. ხოლო წყლის დღეებში, როდესაც მთვარე კირჩხიბის, ღრიანკალისა და თევზების ნიშანში იმყოფება, პურის მცხობელი (მეპურე, ხაბაზი) ძალიან კმაყოფილი და ბედნიერია, რადგან მისი მალაზიის თაროები, სხვა დღეებთან შედარებით,

ძალიან სწრაფად ცარიელდება (პურსა და ფუნთუშებზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა მოსახლეობაში).

მთვარის ზოდიაქოს ნიშნებში სვლა შეიძლება შევადაროთ საათის ისრის მოძრაობას, რომელიც აღნუსხავს მთვარის ორ-სამ დღიანი ცვალებადი ზეგავლენის ფაქტორებს, რომელიც ადამიანის საკვებზე და ორგანიზმის მიერ მის ნორმალურ თვისებაზე ზემოქმედებს. ზეთისხილში არსებული ზეთი სინათლის დღეებში სხვა დღეებთან შედარებით სხვანაირია და ადამიანის ტანში მისი ოპტიმალური მონელების ნიჭიერებაც შესაბამისად იცვლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკვებ მცენარესა და ადამიანის ტანს შორის ჰარმონიული ურთიერთკავშირი საკვების მიღების დროზეც არის დამოკიდებული.

## თავი მეცხრე

### ასტროლოგის რჩევები

#### I. შვიდი კოსმობიოლოგიური პერიოდი

შვიდი კოსმობიოლოგიური პერიოდი თავის ციკლს დღე-ღამის განმავლობაში გადის. თითოეულ მათგანს თავისი განსაზღვრული მნიშვნელობა გააჩნია. ერთი ციკლის ხანგრძლივობა დაახლოებით სამი საათი გრძელდება.

შვიდი კოსმობიოლოგიური პერიოდის ცოდნა მოვარჯიშეს ხელს შეუწყობს ცხოვრებისეული მოვლენების გონივრულად მართვაში. მისი გავლენა მთელი რიგი კოსმიური ფაქტორების გამო ცვლილებებს განიცდის, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ახალმთვარეობა და სავსემთვარეობა – ამ შემთხვევაში მისი გავლენის შედეგი ან ძლიერდება ან სუსტდება, ანდა საერთოდ ნეიტრალური ხდება.

როგორც წესი, ეს პერიოდები მყისიერად იწყება და როცა მთავრდება, ერთმანეთში ნელა, თანდათან გადადის. საკმარისი პრაქტიკის მქონე მოვარჯიშე ადვილად აფიქსირებს ამ პერიოდების ცვლას; თითოეული მათგანი გავლენას ახდენს ადამიანის ქვეცნობიერებაზე, გრძნობებზე და ქცევებზე.

ამ კოსმიური პერიოდების აქტიურობა და სისავსე თავს იჩენს ახალი პერიოდის დაწყებამდე საათნახევართ ადრე. ამ კოსმიური პერიოდების შესწავლით იღუმალი, შემეცნების გზაზე მიმავალი მოვარჯიშე კიდევ ერთ “ჯადოსნურ კვერთხს” შეიძენს. (იხ.ცხრილი 6).

ცხრილი 6

დრო	კვირა	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბათი
0:00-3:30	7	3	6	2	5	1	4
3:30-7:00	1	4	7	3	6	2	5
7:00-10:30	2	5	1	4	7	3	6
10:30-13:45	3	6	2	5	1	4	7
13:45-17:15	4	7	3	6	2	5	1
17:15-20:45	5	1	4	7	3	6	2
20:45-24:00	6	2	5	1	4	7	3

## პირველი პერიოდი

ამ პერიოდში ადვილია ნებისმიერი საქმის სრულყოფილად შესრულება, შემოქმედებითი მოუშაობა, ახალი ნაცნობობა და მეგობრობა ადვილად მყარდება. ადვილად და სწრაფად ფორმდება ყველანაირი ნოტარული დოკუმენტი.

ამ პერიოდში არასასურველია ყოველნაირი ახალი წამოწყება, სასურველია ცოტა ვილაპარაკოთ, არავის ვაწყენინოთ; დაუშვებელია ქირურგიული ჩარევა. არ შეიძლება მოგზაურობა ( მივლინება, ტურისტული ტურნე...) არაა სასურველი ერთი ბინიდან მეორე ბინაში გადასვლა, ახალ სამსახურში მისვლა, ახალი თანამდებობის დაკავება.

მოვარჯიშემ თავი უნდა აარიდოს ყოველნაირ კანონდარღვევას და კანონდარღვევებთან კავშირს.

ამ პერიოდში სასურველია საქორწილო ცერემონიების (ნიშნობა, ქორწინება) გადაღება. არაა სასურველი შინაური ცხოველების ყიდვა!

## მეორე პერიოდი

მეორე პერიოდი დადებითად ზემოქმედებს ყველაფერზე, რაც იბადება თეატრალურ და საესტრადო სცენაზე, კინოხელოვნებაში, ლიტერატურაში, დრამატურგიასა და პოეზიაში, სახვით ხელოვნებასა და ქანდაკებაში, მუსიკაში, ბალეტში, საბრძოლო ხელოვნებებში და ა.შ. ეს ზემოქმედება ძლიერია, თუ ეს პერიოდი სავსემთავრობას დაემთხვევა. ის მხატვრული ნაწარმოები, რომლის შექმნაც მეორე პერიოდის სავსემთავრობის დროს დაიწყო – შემდეგ სავსემთავრობამდე წარმატებით გაგრძელდება, ასევე, ახალმთავრობის დროს რასაც დაგეგმავთ შემდეგ ახალმთავრობამდე წარმატებით სრულდება.

მეორე პერიოდის დროს სასურველია გაისტუმროთ ვალები, წესრიგში მოიყვანოთ ფინანსური საქმეები, დაკავდეთ ბიზნესით ან შემოქმედებითი სამუშაოთი, რადგან ამ საქმეებს წარმატების მოტანა შეუძლიათ. სასურველია შინაური ცხოველების ყიდვა.

ამ პერიოდში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არასასურველი ზემოქმედებები არ არის აღრიცხული.

## მესამე პერიოდი

ეს პერიოდი ხელსაყრელია იმისათვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთს გაუზიარონ აზრები, კარგია აგრეთვე თანამოაზრეებთან ურთიერთობა.

ეს პერიოდი ბიძგის მიმცემია ინტელექტუალური ხასიათის შემოქმედებისათვის (სამეცნიერო კვლევა, სწავლა, სწავლება...), ახალი იდეების განხორციელებისათვის, ცოდნის გაღრმავებისათვის.

ამ პერიოდის დროს ადამიანები მეტად აქტიურები არიან, რაც განსაკუთრებით შესაძინებელია მარჩბივისა და ქალწულის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებში; კარგია დროსტარება და ხანმოკლე მოგზაურობები.

ამ პერიოდის დროს სამკურნალო საშუალებები აქტიურად მოქმედებს სწრაფად ადამიანზე, უმჯობესდება ჯანმრთელობა.

ამ პერიოდის არასასურველი ზემოქმედება მაშინ იჩენს თავს, როდესაც სხვა პიროვნებებს მოუფიქრებელ, ბუნდოვან წინადადებებს შევთავაზებთ. თავი უნდა ავარიდოთ ისეთ სიტუაციებს, რომლებიც მტრობასთან, დაძაბულობასთან და უსიამოვნებასთანაა დაკავშირებული.

## მეოთხე პერიოდი

ეს პერიოდი დადებით ზემოქმედებას ახდენს პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, სასურველია ლექციების წაკითხვა, პროპაგანდა, კონკრეტული ცოდნის მიღება (განსაკუთრებით იდუმალი

ხასიათის (ცოდნისა). ამ პერიოდის დროს ადამიანს ფსიქოლოგიური ხასიათის და სხვა სახის ნიჭიერებები ეხსნება.

ამ პერიოდში სასურველია ადამიანი სასულიერო შემოქმედებითი ხასიათის საქმეებით იყოს დაკავებული.

ეს პერიოდი კარგია ქირურგიული ჩარევებისათვის, ასევე ფილოსოფიური მსჯელობებისათვის, შემოქმედებითი წვისთვის (იგულისხმება ლიტერატურა), საბრძოლო ხელოვნებების საიდუმლოებებში გარკვევისათვის.

ამ პერიოდში ხელსაყრელია იმ საქმეთა მოგვარება, რომლებიც ზღვასთანაა დაკავშირებული.

ეს პერიოდი არასასურველია ყოველგვარი ახალი წამოწყებისათვის. სასურველია მოვარჯიშემ ყველანაირი ახალი საქმე, ახალი იდეა გვერდზე გადადოს და მხოლოდ ადრე დაწყებულ საქმეებზე იფიქროს.

ამ პერიოდში არაა სასურველი ფულის სესხება! საქმიანი დოკუმენტების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების გაფორმება და არც ხელის მოწერა, აგრეთვე ახარტული თამაშებით თავის შექცევა, ნიშნობის ანდა ქორწილის მოწყობა.

### **მესამე პერიოდი**

ეს პერიოდი სულიერად განვითარებულ ადამიანებს ძლიერ დახმარებას გაუწევს.

ამ დროს სასურველია ყოველნაირი ახალი საქმის ან ღონისძიების დაწყება. იღბლიანობა ძლიერ მოიმატებს, თუ კი ეს პერიოდი ახალმთავრობას ან სავსემთავრობას დაემთხვევა. ამ დროს მოვარჯიშეს ყოველნაირ ხანგრძლივადიან გეგმებზეც შეუძლია იფიქროს, კარგია ნებისმიერი სახის იურიდიული აქციების და ნოტარიული გაფორმებისათვის.

ამ პერიოდის არასასურველი შემოქმედებები, იშვიათი გამონაკლისების გამოკლებით, არ არის აღნიშნული.

### **მეექვსე პერიოდი**

ეს პერიოდი ხელს უწყობს შიდა “მე“-ს გაძლიერებას და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დადებითად ზემოქმედებს. ამ პერიოდში ადამიანი გრძნობს ენერჯის მოზღვაებას, უჩნდება ბედნიერების შეგრძნება, ოპტიმისტურადაა განწყობილი, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება.

საზოგადოებრივი, კოოპერატიული, სამეწარმეო საქმიანობისათვის და ხელშეკრულების დადებისათვის ეს პერიოდი საუკეთესო დროა. ამ პერიოდის სამი საათი მოცალეობისათვის სრულფასოვანი დროა.

ამ პერიოდში ადამიანი თუ თავის სასიცოცხლო ძალებს არაგონივრულად ხარჯავს ანდა ძლიერ მოქმედ სამკურნალო წამლებს ან ნარკოტიკებს იღებს, სექსუალურ ენერჯიას გადამეტებით ხარჯავს, მისთვის ყველაფერი სავალალო შედეგებით შეიძლება დასრულდეს.

### **მეშვიდე პერიოდი**

ამ პერიოდში ადამიანმა მხოლოდ ფიზიკური სამუშაო უნდა შეასრულოს, კარგია აგრეთვე გონებრივი შრომა, სამეცნიერო გამოკვლევების ან ექსპერიმენტების ჩატარება.

ეს პერიოდი დადებითად არ მოქმედებს ადამიანის ტანზე და ორგანიზმზე. ამ დროს მიღებული ფიზიკური ტრამვა დაზარალებულს ძალიან დიდხანს ემახსოვრება. ამ პერიოდში მოვარჯიშემ თავი უნდა აარიდოს საჩუქრების მიღებას. ამ პერიოდში უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი ურთიერთობა

კონკურენტებთან და ოპონენტებთან, სასურველი არაა იურიდიულ დაწესებულებებთან, ნოტარიუსთან ან ადვოკატურასთან კავშირის დამყარება.

## II. როდის და რა ვიღონოთ:

### 1. რჩევები მთვარის ფაზების გათვალისწინებით:

ა) მთვარის თვე – მთვარის ერთი გარშემოვლაა დედამიწის გარშემო.

მთვარის I ფაზაში, როდესაც მთვარე იზრდება, ადამიანში ხორციელდება დაგროვების პროცესი: დედამიწაზე ჯერ მოდის უარყოფითი ნახევარტალა, შემდეგ კი დადებითი ტალა – რელიზაციის პროცესი.

სასურველია ადამიანმა თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში გაითვალისწინოს ეს რითმი. თუ საჭიროა რაიმეს შეგროვება (დაგროვება), ეს უნდა მოხდეს ზრდად მთვარეზე.

განწმენდისა და სამკურნალო შიმშილობის პრაქტიკა უნდა ხორციელდებოდეს მანვე მთვარის დროს. ამ დროს ადამიანის ორგანიზმიდან შლაკების გამოყოფა მთვარის რითმის შესაბამისად ხორციელდება.

ამრიგად, არსებობს “მთვარის მოქცევის” 2 კვირა და “მთვარის მიქცევის” 2 კვირა. თუ ადამიანი შიმშილობის დროს შთააგონებს თავს, რომ მისი ორგანიზმიდან მთვარესთან ერთად გადის შლაკები, მარილები, სნეული უჯრედები, ზედმეტი ქსოვილები და ა.შ. ეს მართლაც ასე მოხდება. რასაკვირველია ამის მიღწევა მოკლე დროში არ მოხდება, მაგრამ მთვარის ამ ფაზაზე ასეთი პრაქტიკები მეტად კარგ შედეგს გამოიღებს და მრავალი სნეულებისაგან გათავისუფლებით. ხოლო ზრდადი მთვარის დროს ყოველთვის იფიქრეთ და წარმოიდგინეთ რომ ხართ ისევე ჯანმრთელი და ახალგაზრდა, ასევე იფიქრეთ თქვენს ახლობელ ადამიანებზე და ამით თქვენ ხელს შეუწყობთ თქვენი და თქვენი ახლობლების ჯანმრთელობის გაკაჟების საქმეს.

ბ) პროგორი საკვები უნდა მივიროთ მთვარის ფაზების გათვალისწინებით:

მთვარის I ფაზის დროს არაა სასურველი მივილოთ ცხარე და ხორციანი საკვები. სასურველია თევზის მიღება.

მთვარის III ფაზის დროს – სასურველია შიმშილის დაწყება. არაა რეკომენდირებული უმი ხილის ჭამა, რადგან მისი გადამუშავება და ათვისება უჭირს ორგანიზმს. საერთოდ ამ ფაზის დროს მიირთვით რაც შეიძლება ცოტა, რადგან ორგანიზმში გათავისუფლების პროცესი მიმდინარეობს.

მთვარის IV ფაზის დროს – ტყის ნობათის შეგროვება (მაგ. სოკო) და მისგან სადილის დამზადება არ არის სასურველი, რადგან ამგვარი პროდუქტი ბევრ ტოქსინებს შეიცავს და მანვე (სახიფათო) ხდება.

ასევე არასასურველია მძიმე საკვების (ხორცი) მიღება, მაგრამ ამავე დროს შიმშილიც არ არის მიზანშეწონილი. კარგი იქნება ისეთი საკვების მიღება, რომელიც ნატურალურ შაქარს შეიცავს.

### 2. ჩვენი ყოველდღიური საქმეები და მთვარის ფაზები

1. ახალი წამოწყებები, განსაკუთრებით, რომლებსაც ოჯახური და მეგობრული წრის მხარდაჭერა სჭირდება სჯობს დაიწყოთ მთვარის I მეოთხედიდან სავსე მთვარემდე;
2. ის საქმეები, რომლების დროსაც საჭიროა მშვიდი გაანალიზება (ინფორმაციის შეგროვება, მომზადება) სჯობს დაიწყოთ მთვარის ბოლო მეოთხედიდან ახალ მთვარემდე;
3. დაქორწინება, დოკუმენტთა გაფორმება სჯობს დაიწყოთ მთვარის პირველი მეოთხედიდან სავსე მთვარემდე;
4. საკუთარი საქმეების რეკლამა, გახმაურება, საზოგადოების წინაშე გამოსვლა (გაზეთის, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით) სჯობს დაიწყოთ სავსემთვარეობის დროს, როცა მთვარე იმყოფება კირჩხიბის, მოისრის, თევზების ზოდიაქოში.

5. მოგზაურობა, საცხოვრებელი ადგილის, სამსახურის შეცვლა სჯობს დაიწყოს მთვარის პირველი მეოთხედში ან სავსე მთვარემდე (უკეთესია, როდესაც მთვარე იმყოფება მარჩბის, მოისრისა და თევზების ზოდიაქალურ ნიშნებში);
6. სამსახურში მოწყობა სჯობს მოხდეს მზარდი მთვარის პერიოდში.
7. კორესპონდენცია, წერილების გაგზავნა, სახლის შეღებვა, კედლების მოწესრიგება, მოპირკეთება უმჯობესია დაიწყოს მთვარის უკანასკნელ მეოთხედში და ახალმთვარეობის დროს;
8. სილამაზის სალონებში, საპარიკმახეროში წასვლა სჯობს გადაწყვიტოს მთვარის პირველ მეოთხედში და სავსემთვარეობის დროს (უკეთესია თუ მთვარე იმყოფება კუროს, ლომის, სასწორის, ღრიანკალისა და მერწყულის ზოდიაქალურ ნიშნებში).

### **3. ადამიანის შიდა ორგანოების რითმი დღე-ღამეში**

ადამიანის თითოეული შიდა ორგანო დღე-ღამის განმავლობაში ერთ იმ უმაღლეს ფაზას გადის, რომელშიც იგი ორი საათის განმავლობაში განსაკუთრებით კარგად და ეფექტურად მუშაობს, ხოლო შემდეგ, როგორც ეს №7 ცხრილიდან ჩანს მისი “შემოქმედებითი პაუზის” პერიოდი იწყება.

საბრძოლო ხელოვნების გამოცდილმა ოსტატმა იცის, რომ სუნთქვითი ხელოვნების ვარჯიშებს დილის 3 საათზე უფრო მეტი ეფექტი ექნება, ვიდრე 5 საათზე, რადგან მოვარჯიშის ფილტვები დილის 3 საათიდან ორი საათის განმავლობაში ძალიან კარგად მუშაობენ და სუფთა კოსმიურ ენერჯისა და მთლიანად ითვისებენ...

მშობლემაც იცის, რომ თუკი პატარა ბავშვს დასაძინებლად 19 საათამდე დააწვენენ, ისინი მეტწილად ადვილად იძინებენ. თუკი მშობელმა ამ ზღვარს ძლიერ გადააცილა, ბავშვის დაძინება ორმაგად რთულდება. 19 საათიდან 21 საათამდე სისხლის მიმოქცევის სისტემა ადამიანში ყველაზე უკეთესად მუშაობს, განსაკუთრებით საჭმლის მიღების შემდეგ. ზშირად ადამიანის ორგანიზმი დროის ამ მონაკვეთში ძილისთვის სრულებით არ არის განწყობილი.

მიახლოებით 13 საათზე ადამიანი ნაკლებად აქტიურია, განსაკუთრებით, სადილის შემდეგ. წერილი ნაწლავი, რომელიც საჭმლის მონელების ძირითად დატვირთვას საკუთარ თავზე იღებს, თავის ძალაუფლებას იმტკიცებს, მუშაობს ძალიან კარგად და ამ დროს დანარჩენი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად სურს ყოფნა (იხ. ცხრილი 7).

მოვარჯიშემ თუ იცის ამა თუ იმ ორგანოს უმაღლესი აქტიურობის დრო, შესაბამისი ორგანოს შხამებისაგან გათავისუფლების პროცესსაც და ამ ორგანოსათვის განკუთვნილ ენერგო-ვარჯიშების ჩატარების დროსაც ამ პერიოდს დაუკავშირებს; ამ ცხრილის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ამა თუ იმ ორგანოსათვის სასარგებლო სამკურნალო საშუალების მიღებაც; ასევე უნდა შესრულდეს ორგანიზმის გამაკაჟებელი სპეციფიკური სისტემები, რომლებიც მთვარის მდგომარეობის მიუხედავად, ზუსტად ამ დროისათვის არის სასარგებლო.

### **4. ზოგიერთი მნიშვნელოვანი წესი ჯანმრთელობის დაცვისათვის**

მთვარის რითმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, ამიტომ გავიხსენოთ მთვარის ფაზების ძირითადი თვისებები:

**ზრდადი მთვარე:** კვება, გეგმავს, აღიქვამს, ქმნის, აბსორბციას ახდენს (შთანთქავს, შეიწოვს), ისუნთქავს, ენერჯიას აგროვებს, ენერჯიის სათუთად დახარჯვისაკენ და დასვენებისაკენ მოუწოდებს.

**მიღევადი მთვარე:** ჩამორეცხავს (გამოხრავს), ამოისუნთქავს, აშრობს, აქტიურობისაკენ და ენერჯიის ხარჯვისაკენ მოუწოდებს.

ადამიანი უამრავ დაბრკოლებას გადალახავდა, თუ კარგად გაიცნობიერებდა და ყოველთვის ეხსომებოდა, რომ ჯანმრთელობისათვის საზიანო სტრესებს თვითონ უწყობს საკუთარ თავს. ეს სტრესები მხოლოდ მაშინ აღმოცენდება, როდესაც თვითონ ადამიანი თავს ვერ ართმევს იმ ამოცანას, რომელიც მასზეა დაკისრებული.

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმი რეაგირებს ბუნებრივ რითმებზე – მთვარის რითმებზე, ბიორითმებზე და ა.შ. ის, ვინც წლების განმავლობაში მათ იგნორირებას ახდენს, სანამ

ახალგაზრდა ნეგატიურ გამოვლინებებს მისი ორგანიზმი წამლების მეშვეობით ისე შეიბერტყავს, როგორც ძალი წყლის წვეთებს, მაგრამ თანდათან, ზოგიერთი მცირე იმპულსის დაგროვება სხვადასხვა სნეულებას იწვევს, მიზეზის აღმოჩენა კი ძალიან ძნელია.

ამიტომ, საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის, რომ ბუნებრივი რითმების დარღვევები ნელ-ნელა გროვდება, ნელ-ნელა ვლინდება; ადამიანზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ რითმებთან ჰარმონიულ ურთიერთობა.

ნებისმიერი საქმის წამოწყებამდე, სასურველია გავითვალისწინოთ მთვარის რითმები. ყველაზე დამქანცველი სამუშაოს შესრულება მიღევადი მთვარის ფაზებისკენ უნდა გადავიტანოთ, მაგრამ გადაადგილების პროცესი თანდათან ხდება და აუცილებელია დაკვირვება შედეგებზეც.

საოჯახო საქმეები (სახლის დალაგება, დარეცხვა...) მიღევადი მთვარის კვირეულისკენ უნდა გადავიტანოთ.

ამ ყველაფრის გათვალისწინების შემთხვევაში, თქვენ იგრძნობთ, თუ რა სიამოვნებაა მიღევადი მთვარის დროს ენერჯის დაზოგვა, ყოველგვარი დაძაბულობის შემცირება, ხოლო ზრდადი მთვარის დროს, როცა ენერჯის მოზღვაება ხდება – ახალი საქმეების წამოწყება, მძიმე სამუშაოების შესრულება.

## **5. რჩევები სწორი კვების თაობაზე**

### **ა) შიმშილობა**

შიმშილობა ხელს უწყობს ორგანიზმიდან შლაკების გამოდევნას, სასარგებლოა სამკურნალოდ, პროფილაქტიკისათვის, მაგრამ ბოლო ხანებში შიმშილობის საშუალებით წონაში დაკლების მსურველთა რაოდენობამ მოიმატა, რაც არაა რეკომენდირებული. კვებაში ადამიანის მანე ჩვევების ძალისმიერად აღმოფხვრა ძალიან ძნელია.

ქრისტიანული მარხვები მნიშვნელოვნად ამცირებს მიღებული საკვების რაოდენობას და მშვენიერად ზემოქმედებს ორგანიზმზე. ტყუილად კი არ მოსდევს ყველიერს დიდი მარხვა, ანუ ის პერიოდი, რომელიც მთვარეზეა დამოკიდებული. ამ პერიოდში ზომიერება ჭამაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ორგანიზმი კარგად იწმინდება (თავისუფლდება შლაკებისაგან) და მიმდინარეობს რეგენერაციის პროცესი, რომელიც ადამიანს დამცველი ძალების შექმნითა და მშვენიერი გუნება-განწყობილებით დააჯილდოვებს.

შობის მარხვის დროსაც ცხოვრების წესი მოკრძალებული უნდა იყოს. სასურველია ადამიანმა იცოდეს, რომ შობის დღემდე მიღებული გამომცხვარი და შემწვარი საკვები წონაში მომატებას ძალიან უწყობს ხელს, ხოლო თვით შობის დღეს მიღებული იგივე საკვები ნაკლებ გავლენას ახდენს წონაზე.

შიმშილობა ახალმთვარეობის პერიოდში: შიმშილობა ახალმთვარეობის დროს გვიცავს ზოგიერთი სნეულებისაგან, ამ დღეს ორგანიზმი ეფექტურად იწმინდება, მაგრამ საკვების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ამ პროცესის დამუხრუჭება ან შეჩერება.

ასევე ძლიერ სასარგებლოა მწირი კვება სავსემთვარეობის წინ და სავსემთვარეობის დროს.

### **ბ) პროდუქტების შეხამება**

მოვარჯიშე ყოველთვის უნდა დაუკვირდეს იმას, რომ კვების დროს მიწისქვეშა და მიწისზედა პროდუქტები ერთმანეთს აბალანსირებდნენ. მათ შორის წონასწორობის ნებისმიერ დარღვევას შესაბამისი შედეგი მოჰყვება, რაც იმოქმედებს როგორც ორგანიზმზე, ასევე ფსიქიკაზე. ამ ზემოქმედების აღწერა ძალიან რთული საქმეა. მოვარჯიშემ თვითონ უნდა მოახდინოს დაკვირვება, ყურადღება მიაქციოს იმ ქვეყნების საბრძოლო ხელოვნებების მიმდევრებს, რომლებიც იკვებებიან უფრო მეტად მიწისქვეშა მცენარეებით და შეადაროს ისინი იმ ქვეყნების მებრძოლებს, რომელთა ეროვნული საკვები უმეტესად მიწისზედა ხილი და ბოსტნეულია.

ოსტატები გვირჩევენ, რომ კარტოფილს ყოველთვის ოხრაზუმში, მწვანე ხახვი და სხვა მწვანელი დაუმატოთ. მწვანელობას გააჩნია ის ძალა, რომლითაც “მიწისქვეშა” პროდუქტის აქცენტს დააბალანსირებს.

სხვადასხვა ბოსტნეულის ერთდროულად მიღება ყველასთვის არაა სასარგებლო, განსაკუთრებით თუ ადამიანს მგრძობიარე კუჭი გააჩნია, ამ შემთხვევაში მან უარი უნდა თქვას ბოსტნეულის სალათებზე, მის ერთ ულუფაში ბოსტნეულის ერთი სახეობა უნდა შედიოდეს.

ოსტატები გვაფრთხილებენ, რომ უხეშად დაფქული მარცვლეულობისა და კოფეინის ერთად მიღება ჯანმრთელობისათვის საზიანოა, როგორც ორგანიზმისათვის, ასევე ფსიქიკისათვის – მატულობს თავის ტკივილი და შაკიკის გამოვლინებები...

### გ) კერძების თანმიმდევრობა

ნელდი პროდუქტები მოხარშულ (მომზადებულ) საკვებამდე უნდა მივირთვათ, ხილი და კაკალი კი – სალათისა და ნელდი ბოსტნეულის წინ, შემდეგ, მაგალითად, მაწონი და პური. მხოლოდ ამის შემდეგაა სასურველი ძნელად გადასამუშავებელი საკვების მიღება, ისეთების როგორიცაა ხორცი, რაიმე ცხიმოვანი, კვერცხი, ყველი და, ბოლოს, დესერტი. თქვენი კუჭი თქვენი მადლიერი იქნება, თუ კი ამ თანმიმდევრობას დაიცავთ.

### დ) უარი თქვით სალამოობით ცხიმოვანი საკვების მიღებაზე

სალამოს, 21 საათზე ადამიანის სისხლის მიმოქცევის სისტემაში აქტიურობის ყველაზე დაბალი ფაზა დგება (იხ. ცხრილი 7). ამ დროს ცხიმოვანი საკვები ამ სისტემისათვის დამატებით დატვირთვას წარმოადგენს და ხელს უშლის მას ოპტიმალურად მუშაობაში.

### ე) მარხვები ოთხშაბათობით და პარასკევობით

ქრისტიანული წესის მიხედვით ოთხშაბათობითა და პარასკევობით ხორციანი პროდუქტის მიღება არ შეიძლება.

### ვ) საკვების მოსამზადებელი ჭურჭელი

დღეისათვის საკვების მოსამზადებელ ჭურჭელს (ქვაბებს) სხვადასხვა მასალისაგან ამზადებენ, მაგალითად ისეთი, როგორიცაა ფოლადი, ალუმინი, სპილენძი, კერამიკა და სხვა.

რეკომენდირებულია მომინანქრებული ჭურჭელი, იგი საუკეთესო მასალაა.

თავი აარიდეთ ფოლადის ჭურჭლის ძლიერ გადახურებას, ამით საკვებზე ზოგიერთი მავნე (ნეგატიური) ზემოქმედება მცირდება.

## 6. ურთიერთობები ექიმებთან

ალბათ, არც ისე სწრაფად დადგება ის დრო, როდესაც მედიცინა ბუნების რითმების ფართოდ გამოყენებას დაიწყებს. როგორ უნდა მოიქცეს ის მოვარჯიშე, რომელიც საკუთარი გამოცდილების წყალობით ბუნების რითმების მიმართ ნდობით განიმსჭვალა, მაგრამ მისმა მკურნალმა ექიმმა ბუნების რითმების შესახებ არაფერი იცის და აპირებს ისეთი მკურნალობის ჩატარებას, რომელის დროსაც არ არის გათვალისწინებული მთვარის რითმები.

თუ თქვენ გრძობთ, რომ თქვენს ექიმს “ყურები ღია აქვს”, შეგიძლიათ ჰიპოკრატეს ცნობილი ციტატა წაუკითხოთ: “რკინით ნუ შეეხებით ტანის იმ ნაწილს, რომელშიც ამ დროს მთვარე იმყოფება”... თუკი ექიმმა სამკურნალო ვადები მაინც არ გადაწია, ახსნა-გარმატებამ არ გაჭრა, მაშინ პაციენტმა შეიძლება რაიმე მოიმიზეზოს (ამის გამო სინდისის ქეჯნამ არ უნდა შეაწუხოს), რადგან საქმე ეხება მის ჯანმრთელობას. ყოველთვის გახსოვდეთ! ექიმს მხოლოდ დახმარება შეუძლია, მთავარი სამუშაო გაჯანსაღების საქმეში თქვენ თვითონ უნდა



შეასრულოთ. სულის სიღრმეში თითოეული ადამიანი მშვენივრად გრძნობს, მისთვის რა არის კარგი და რა – არა. ხშირად, პაციენტმა საკუთარი სწეულებების მიზეზები მშვენივრად იცის, რადგანაც ადამიანი “იმას მოიძიოს, რასაც თესავს”, მაგრამ უმრავლესობას უჭირს სიმართლის აღიარება – უფრო ადვილი არის პასუხისმგებლობის ექიმზე დაკისრება. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ექიმი ძალიან მძიმე ამოცანის წინაშე აღმოჩნდება – თავდაპირველად იგი შეძლებს თქვენს დახმარებას, მაგრამ მხოლოდ მცირე ხანს.

## 7. ქირურგიული ჩარევები

ნებისმიერი სახის ქირურგიული ჩარევისათვის, გარდა ექსტრემალური შემთხვევებისა, სავსემთვარეობას მიახლოებული პერიოდი არახელსაყრელია, სავსემთვარეობის დღე ყველაზე ნეგატიურად მოქმედებს. სასურველია ქირურგიული ჩარევის დღე მიღევად მთვარეს დაამთხვიოთ, – გვასწავლიან ასტროლოგები.

ცნობილია, რომ სხეულის ნებისმიერ ნაწილსა თუ ორგანოს ესა თუ ის ზოდიაქოს ნიშანი შეესაბამება, მთვარე რიგ-რიგობით იმყოფება თითოეულ ზოდიაქოს ნიშანში, ამიტომ მისი ძლიერი ზეგავლენის ქვეშ არის და განსაკუთრებულადაა დატვირთული ტანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება იმ ზოდიაქოს ნიშანს, რომელშიც მთვარე იმყოფება, აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მასზე ქირურგიული ჩარევა.

ადამიანის ორგანიზმზე ზოდიაქოს ნიშნების გავლენის სქემა მოცემულია სურ. № 4-ზე.

შესაძლოა ადამიანს დაეხადოს ასეთი კითხვა: როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს მავნე ზეგავლენასთან, მაგალითად, თუ ქირურგიული ჩარევა ესჭიროება გულს, უნდა გვანსოვდეს, რომ ასეთი რამ არ უნდა დაგუშვათ იმ შემთხვევაში, როცა სავსე მთვარე ან ზრდადი მთვარეა ლომის ზოდიაქოს ნიშანში, ხოლო თუ ლომის ზოდიაქოში მიღევადი მთვარეა, მისი დადებითი ზეგავლენა უფრო ძლიერია, ვიდრე ლომის ზოდიაქოს ნეგატიური ზეგავლენა. თუკი ამ კუთხით მივუდგებით ზემოთხსენებულ პრობლემას, მაშინ გულზე ქირურგიული ჩარევის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენები ასე გამოიყურება:

ყველაზე არასასურველი: სავსე მთვარე თუ იმყოფება ლომში;

ძალიან ცუდი: ზრდადი მთვარე თუ იმყოფება ლომში;

ცუდი: ზრდადი მთვარეთუ იმყოფება ლომის გარდა სხვა ზოდიაქოს ნიშნებში;

საშუალო: მიღევადი მთვარეთუ იმყოფება ლომში;

კარგი: მიღევადი მთვარე თუ იმყოფება ლომის გარდა სხვა ზოდიაქოს ნიშნებში;

ყველაზე ხელსაყრელი: მიღევადი მთვარე თუ იმყოფება ლომის ზოდიაქოს საპირისპირო ნიშანში – მერწყულში.

## 8. ვიზიტი კბილის ექიმთან

მთვარის მდგომარეობის გათვალისწინება საჭიროა სტომატოლოგთან წასვლის შემთხვევაშიც.

სტომატოლოგს უნდა მიემართოთ მიღევადი მთვარის დღეებში, ამ დროს მიზანშეწონილია პირის ღრუსთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცედურის ჩატარება, განსაკუთრებით კბილის დაბეჭენვა ან ამოღება.

სტომატოლოგთან მისვლას თავი უნდა ავარიდოთ იმ შემთხვევაში, თუ მთვარე იმყოფება მარჩბივის, მერწყულის ან სასწორის ზოდიაქოს ნიშნებში. ყბაზე ქირურგიული ჩარევა არაა სასურველი აგრეთვე მთვარის კუროს ზოდიაქოს ნიშანში ყოფნის დროსაც.

## 9. ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში მყოფი მთვარის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე

ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში მყოფი მთვარე სხვადასხვა ძალებს აღვიძებს, რაც ყველგან და ყველაფერში იგრძნობა.

მთვარის ზემოქმედების სურათი ადამიანზე ასეთია:

1. თავისი ორგანიზმის გასაკაჟებლად სხეულის იმ ნაწილზე მუშაობს, რომელიც ზოლიაქოს იმ ნიშნით იმართება, რომელშიც იმ დროს მთვარე იმყოფება მოვარჯიშე ორმაგ ეფექტს მიიღებს (თუ ქირურგიული ჩარევა ამ ორგანოზე დაუშვებელია).

ზოლიაქოს ნიშანი	ზოლიაქოს ნიშნით მართვადი სისიტემები და ორგანოები	
	შიდა ორგანოები	სისიტემები
ვერძი	თავი, გრძნობის ორგანოები	-
კურო	ხორხი, მეტყველების ორგანოები, კბილები, ყბები, კეფა, ნუშისებრი ჯირკვლები, ყურები	სისხლის მიმოქცევის სისტემა
მარჩბივი	მხრები, ხელები, ხელის თითები, ფილტვები	ჯირკვალთა სისტემა
კირჩხიბი	მკერდი, ფილტვები, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი	ნერვული სისტემა
ღლმი	გული, ზურგი, დიაფრაგმა, გრძნობათა ორგანოები, არტერია	სისხლის მიმოქცევის სისტემა
ქალწული	საჭმლის მომნელებელი სისიტემა, ნერვები, ელენთა, კუჭუკანა ჯირკვალი	სისხლის მიმოქცევის სისტემა
სასწორი	თეძოების არე, თირკმელები, შარდის ბუშტი	ჯირკვალთა სისტემა
ღრიანკალი	სასქესო ორგანოები, საშარდე ორგანოები	ნერვული სისტემა
მოისარი	თეძოები, ვენები, გრძნობების ორგანოები	-
თხის რქა	მუხლები, ძვლები, სახსრები, კანი	სისხლის მიმოქცევის სისტემა
მერწყული	წვივები, კოჭი, ვენები	ჯირკვალთა სისტემა
თევზები	ტერფები, ფეხის თითები	ნერვული სისტემა

2. თუ თირკმელები სუსტია, მთვარის სასწორში ყოფნის დროს, ის, რაც ამ ორგანოზე სხვა დროსაც უარყოფითად მოქმედებს, ამ პერიოდში ორმაგად ახდენს ზემოქმედებას. ყველაფერი, რაც ტვირთავს და ცვეთს ტანის იმ ნაწილს, რომლის შესაბამის ნიშანშიც ამ პერიოდში მთვარე იმყოფება, ორმაგად საზიანოა (მაგნეა). ამ დღეებში ქირურგიული ჩარევა შესაბამის ორგანოზე არ შეიძლება (რასაკვირველია, გადაუღებელი შემთხვევების გარდა).

3. ზრდადი მთვარის დროს, გამაჯანსაღებელი საშუალებები უფრო ეფექტურია იმ ორგანოებზე, რომელთა მმართველ ნიშანშიც ამ პერიოდში მთვარე იმყოფება.

4. მიღევადი მთვარის შემთხვევაში კი უფრო ეფექტურია ამა თუ იმ ზოლიაქოს ნიშანში მყოფი მთვარის შესაბამისი ორგანოებისათვის განკუთვნილი განმზანი და განმწმენდი ღონისძიებები.

ამავე დროს ვარჯიში, სუნთქვა, ტანვარჯიში, მედიკამენტების მიღება, წყლის პროცედურები და ა.შ. არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც საბოლოო მიზანი.

## **10. მაგნე ჩვევებისაგან გათავისუფლება**

მაგნე ჩვევებისაგან გასათავისუფლებლად უნდა შეარჩიოთ ახალმთვარეობა, განსაკუთრებით კი მარტის თვის ახალმთვარეობა. ამ დროს მზე თევზების ზოლიაქოდან ვერძის ზოლიაქოში გადადის (მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მაინც და მაინც მარტის თვის ამ დღეს უნდა დაველოდოთ).

აღამიანს თუ მართლა სურს რაიმე მაგნე ჩვევისაგან გათავისუფლება, ამ ჩვევას წყნარად და მშვიდად უნდა შეხედოს, ყოველმხრივ გააანალიზოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს მისგან გათავისუფლება, რაც ნებისყოფის დახმარებით ხდება. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეირჩეს ამ საქმის დაწყებისათვის ახალმთვარეობის დღე.

## 11. საცხოვრებელი და სამუშაო(სავარჯიშო) ადგილის ხარისხის ფაქტორი

თითოეულ სახლში არსებობს ცუდი და კარგი ადგილები, იმისდა მიუხედავად, თუ რა იმყოფება ამ ადგილას: კედელი, მაგიდა, სკამები, საწოლი თუ სამზარეულო ნივთები.

ამ ადგილების გამოვლენა სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირად შეუძლია, როგორც წესი, ბავშვებს და ახალგაზრდებს ამ კუთხით მგრძობილობა უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე ხანში შესულებს; ინდივიდუალური რეაქციებიც ასევე “სხვადასხვა” არის – ზოგს მრავალი წლის განმავლობაში ისეთ საწოლში სძინავს, რომელიც ცუდ ადგილზე დგას, მაგრამ არ სნეულდება, ზოგი კი რამოდენიმე წუთითაც რომ მოხვდეს ცუდ ადგილზე, ნერვიული და მოუსვენარი ხდება.

ბოლომდე არაა შესწავლილი, თუ რა განსაზღვრავს ადგილის ხარისხს, თუმცა სხვადასხვა სახის გამოსხივება, მიწისქვეშა ნაკადები, დედამიწის გამოსხივება და მსგავსი რამ ამაში მონაწილეობას ღებულობს.

ჩვენი უძველესი წინაპრები ადგილის ვარჯისიანობას მთელი რიგი ინსტრუმენტებით – ვახის, ქანქარის და ა.შ. – მეშვეობით ახორციელებდნენ; ისინი აკვირდებოდნენ აგრეთვე ცხოველების, ფრინველების, მწერების ქცევას და მცენარეების მდგომარეობას ამა თუ იმ ადგილზე. მაგალითად, კატები, ჭიანჭველები და ფუტკრები “გამოსხივების” მაძიებლები

არიან. მათ მიერ საცხოვრებლად ან დასასვენებლად არჩეულ ადგილზე ყოფნა ადამიანისთვის საზიანოა, ჭიანჭველები და ფუტკრები მიწისქვეშა ნაკადების გადაკვეთაზე იშენებენ ბინას. საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მიხედვით, ბენიერების მომტანია ის ადგილი, სადაც მერცხლები და წიროები ბუდეს იკეთებენ და ბარტყებს ჩეკენ; როგორც ჩანს ისინი შეგნებულად არჩევენ ისეთ ადგილს, სადაც უარყოფითი გამოსხივება არ არის. არა მარტო ფრინველები, არამედ ძაღვები, ცხენები და ძროხებიც გაურბიან გამოსხივებას: ის ადგილი, სადაც ისინი წვებიან ადამიანის ორგანიზმზეც კარგად მოქმედებს.

ბევრ მშობელს ექნება შენიშნული, რომ ზოგი ჩვილი ბავშვი საწოლში ტრიალებს, მოუსვენრდაა, ბევრს ტირის და განთიადისას საწოლის კუთხეში მიიკუნჭება; მშობლებთან ან ძმასთან თუ დასთან გადახიზდება.

საშუალო სკოლის ის მოწაფეები, რომლებიც სკოლაში ცუდ ადგილზე სხედან, ერთი შეხედვით, უმიზეზოდ ჩამორჩებიან ათვისების უნარით სხვა ბავშვებს, თუმცა ადრე, სხვა ადგილზე ჯდომისას საქმე ძალიან კარგად მიდიოდა. ხშირად მდიდარი მშობლები საბავშვო ოთახს მშვენიერად აწყობენ, დგამენ მშვენიერ საწერ მაგიდას, მაგრამ ბავშვი გაკვეთილების მოსამზადებლად სამზარეულოში მიდის. ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ საწერი მაგიდისათვის არასახარბიელო ადგილია შერჩეული. მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს ნებისმიერ სახლში.

იმის გაცნობიერება, რომ არსებობს კარგი და ცუდი ადგილები, რომლებმაც შეიძლება ჩვენს ჯანმრთელობაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინონ, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. მრავალი წლის განმავლობაში ცუდ ადგილზე ძილი ან ჯდომა სხვადასხვა ქრონიკული სნეულების მიზეზი შეიძლება გახდეს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ თვითმკვლელობაა, ოპერაციის ან ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დაბრუნდე სახლში და ისევ იმ ადგილზე გააგრძელო ძილი ან ჯდომა, რომელიც სახიფათოა ჯანმრთელობისათვის. თითოეულმა ადამიანმა, რომელიც ქრონიკული დაავადებებისაგან იტანჯება, საკუთარ საძინებელ ან სამუშაო ოთახში ენერჯის შესამოწმებლად ისეთი ადამიანი უნდა მიიწვიოს, რომელიც ენერჯო ხელოვნებების სახეებს ფლობს.

ბუნებრივია, თვით ადამიანი ჰკითხავს საკუთარ თავს, ძალუძს თუ არა მას რომელიმე ადგილის ხარისხის განსაზღვრა? სამწუხაროდ ჩვეულებრივი ადამიანისათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებული ცნებები არ არსებობს. თუ თქვენ სახლში რაიმე ადგილის მიმართ ეჭვი გაგაჩნიათ, გადაადგილეთ ავეჯი, უმეტეს შემთხვევაში, მათი 1-2 მეტრით გადაადგილება შეეძლოს საქმეს.

**ცხრილი 7**

**შიდა ორგანოების აქტიურობის საათები დღე-ღამის განმავლობაში**

შიდა ორგანოები	უმაღლესი აქტიურობა	დაბალი აქტიურობა
ღვიძლი	1 – 3	3 – 5
ფილტვები	3 – 5	5 – 7
მსხვილი ნაწლავი	5 – 7	7 – 9
კუჭი	7 – 9	9 – 11
ელენტა და კუჭუკანა ჯირკვალი	9 – 11	11 – 13
გული	11 – 13	13 – 15
წერილი ნაწლავი	13 – 15	15 – 17
შარდის ბუშტი	15 – 17	17 – 19
თირკმელები	17 – 19	19 – 21
სისხლის მიმოქცევის სისტემა	19 – 21	21 – 23
ენერჯის საერთო კონცენტრაცია	21 – 23	23 – 1
ნაღვლის ბუშტი	23 – 1	1 – 3

\* ასტრონომიული საათი

მაგალითად, სისხლის გასაწმენდი ჩაის მიღება სასარგებლოა 15-დან 19 საათამდე, საუზმე – არა უგვიანეს დილის 9 საათისა, არ უნდა მოწიოთ სიგარეტი და არ უნდა დალიოთ ღამის 1 საათიდან დილის 5 საათამდე და ა.შ.

მოვარჯიშემ კარგად უნდა შეისწავლოს ცხრილი №7: იცოდეს შიდა ორგანოების აქტიურობისა და პასიურობის პერიოდები, გამოიკვლიოს და საკუთარ თავზე მოსინჯოს საბრძოლო ხელოვნებების სკოლებში შესწავლილი მასალა და მეთოდები – გამოცდილება ინფორმაციაზე უკეთესია. ინფორმაცია მხოლოდ იარაღია. იმ ხელს, რომელიც ამ იარაღს გამოიყენებს, ვარჯიში ესაჭიროება. ასევე მნიშვნელოვანია გულის როლი, რომელიც ამ ხელს მართავს.

## თავი მეათე

### მთვარე – ჩვენი დამხმარე ყოველდღიურ ცხოვრებაში

#### 1. საოჯახო საქმეები

საოჯახო საქმეების მთვარის რითმებთან ჰარმონიაში შესრულება უფრო მსუბუქსა და სასიამოვნოს ხდის სამუშაოს და მცირდება სტრესული მდგომარეობები, რითაც ბევრი ადამიანი იტანჯება.

თითქმის ყველა საოჯახო საქმე, რომელიც ჭუჭყის წყლით მოშორებასთან არის დაკავშირებული, მიღვევადი მთვარის დროს უნდა წამოიწყოს.

რასაკვირველია, დიასახლისისათვის ყველა საქმის მიღვევადი მთვარის პერიოდისათვის (მთვარის III და IV ფაზები) გადაწევა ძალიან ძნელია, მაგრამ თუ იგი ასტროლოგთა ამ რჩევას გაითვალისწინებს, შედეგებით გაკვირვებული დარჩება.

#### 2. რეცხვა

იმ ოჯახებში, სადაც ბევრი ბავშვია, შეუძლებელია დაგროვილი თეთრეულის მხოლოდ მიღვევადი მთვარის პერიოდში რეცხვა, მაგრამ დიასახლისმა სჯობს, ამ საქმის უმეტესი ნაწილი მაინც მიღვევადი მთვარის პერიოდში შეასრულოს, რადგან:

ა) თუ პიროვნება მიღვევადი მთვარის პერიოდში რეცხავს, მისი თეთრეული უფრო თეთრი იქნება, განსაკუთრებით თეთრეული ქათქათაა მთვარის წყლის ზოლიაქოს ნიშნებში (განსაკუთრებით თევზებში) ყოფნისას.

ბ) ზრდადი მთვარე თუმცა მძლავრი ქაფის წარმოქმნას უწყობს ხელს, მაგრამ თეთრეულში მძიმედ გამოსაყვან ლაქებს ვერ ერევა.

მიღვევადი მთვარის დროს რეცხვა ხელს უწყობს საპნისა და სარეცხი ფხვნილის ეკონომიას, იცავს ქსოვილს: თეთრეული უფრო დიდხანს ემსახურება ადამიანს და ძნელად მოსაცილებელი ლაქა ადვილად ამოდის.

#### 3. ქიმწმენდა

ის ძვირფასი ტანსაცმელი, რომელიც კრაველისაგან (ყარაყულისაგან), ტყავისაგან, აბრეშუმისაგან, ბუმბულისაგან და ა.შ. არის დამზადებული, ქიმწმენდის დაწესებულებას სჯობს მიღვევადი მთვარის პერიოდის დროს ჩავაბაროთ გასაწმენდად.

ამ დროს მატერია არ ზიანდება, საგანი მტკიცე რჩება და ფერები არ იცვლება.

ქიმწმენდის დროს ეცადეთ თავი აარიდოთ მთვარის თხის რქის ზოლიაქოში ყოფნის პერიოდს – ეს ნიშანი ქიმწმენდაში ჩაბარებულ ყველა ნივთს არასასურველ ბრწყინვალებას აძლევს.

სეზონური ტანსაცმლის წმენდა, სანამ მას ხანგრძლივი დროით კარადაში შეინახავთ, უმჯობესია მიღვევადი მთვარის პერიოდში.

#### 4. ხის იატაკები

ხის (ფიცრის) იატაკი კარგად ირეცხება მხოლოდ მიღვევადი მთვარის პერიოდში, ზრდადი მთვარის დროს კი სასურველია მხოლოდ დაგავით ან სველი ტილოთი მოწმინდოთ იატაკი (სასურველია ამ დროს მთვარე იმყოფებოდეს მარჩბივის, სასწორის ან მერწყულის ზოლიაქოს ნიშნებში). დიასახლისი იატაკს თუ მზარდი მთვარის დროს რეცხავს წყლის ნიშნებში (კირჩხიბი, ღრიანკალი, თევზები), სინესტე იატაკის ღრეჩობებში აღწევს, ხე იბრიცება ანდა რამოდენიმე ხნის შემდეგ ობი ჩნდება.

## **5. ფანჯრები და შუშები**

ხშირად ფანჯრების წმენდის დროს სუფთა სპირტის გამოყენების შემთხვევაშიც კი რჩება შუშებზე ხაზები, მაგრამ თუ ღიასახლისი ამ საქმიანობას დაამთხვევს მთვარის ჰაერის ან ცეცხლის ზოდიაქოს ნიშნებში ყოფნის დროს, წყალში სულ ცოტაოდენი სპირტის დამატებაა საჭირო, რათა შუშები გაკრიალდეს.

## **6. ფაიფური**

ჩინელები თავიანთ ჩაიდნებს ზედაპირიდან არასოდეს აცილებენ მუქ ნაფიფქს (ნადებს). ისინი ამბობენ, რომ ამ ნაფიფქში ჩაის “სული” ცხოვრობს და მხოლოდ იგი გადააქცევს სასმელს ნამდვილ ჩაიდ. ამიტომ ჩაის დაყენების მცოდნეები არასოდეს აცილებენ ამ ნაფიფქს ჩაიდანს.

ევროპულ ქვეყნებში არაა მიღებული სტუმრებისათვის ჩაის მიტანა მუქნაფიფქიანი ფაფიფურის ფინჯნებით, ამიტომ მიღვევადი მთვარის დროს აიღეთ ნესტიანი ტილო, ცოტაოდენი მარილი მოაყარეთ და დასვრილი ზედაპირი განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე მოსუფთავდება; ზრდადი მთვარის დროს კი ხშირად ყველაზე ძლიერი საწმენდი საშუალებებიც კი არ არის ეფექტური და მხოლოდ დაფხაჭნის ფაიფურის ზედაპირს. ამაში უმჯობესია თქვენ თვითონ დარწმუნდეთ.

## **7. ლითონები**

ლითონებთან მიმართებაში, იგივე შეიძლება ითქვას, რაც ფაიფურის შემთხვევაში: რომელიდაც დღეებში ლითონის კრიალა ზედაპირი საწმენდი საშუალებებით იკაწრება, ხოლო სხვა დღეებში უბრალო ტილოს გადასმითაც კი მზესავით ბრჭყვიალებს.

თითბერი: მიღვევადი მთვარის დროს კარგად იწმინდება ფქვილის, მარილის, წყლისა და ძმრის ნარევით.

ვერცხლი: მიღვევადი მთვარის დროს, როცა იგი იმყოფება მარჩბივის, სასწორის ან მერწყულის ზოდიაქოში, ვერცხლის ჭურჭლის ზედაპირი ნიშადურის სპირტით გაჟღენთილი ტილოთი კარგად პრიალდება.

სპილენძი: მიღვევადი მთვარის დროს ცხელ ძმარში ცოტაოდენი მარილი გააზავეთ და ამ ხსნარით გაწმინდეთ სპილენძის საგნები.

## **8. ფეხსაცმელი**

მიღვევადი მთვარის დროს გაწმენდილი ფეხსაცმელი, უფრო დიდხანს რჩება სუფთა, ტყავი ისე სწრაფად არ ცვდება და უფრო მყარი იქნება. ბუნებრივია, შეუძლებელია ფეხსაცმლის მხოლოდ მიღვევადი მთვარის პერიოდში წმენდა, მაგრამ ძლიერი ჭუჭყის მოცილება ამ პერიოდში ძალიან ადვილია. გაზაფხულობით, როდესაც ჩექმები შემდეგი ზამთრისათვის უნდა შეინახოთ, საჭიროა მათი მიღვევადი მთვარის დროს წმენდა და კრემით დამუშავება.

სრულიად ახალთახალი ფეხსაცმელების საცხით დამუშავება პირველად სასურველია, მიღვევადი მთვარის პერიოდში მოხდეს, ამ შემთხვევაში ტყავი საცხის ფერს დიდხანს ინარჩუნებს.

## **9. ობის (ხავსის) მოცილება**

ზოგიერთი სახლის კედლების ზედაპირზე, განსაკუთრებით ყველაზე ცივ ადგილებში – კუთხეებში – ჰაერის დიდი ნესტიანობის შემთხვევაში ობი (დახავსება) ჩნდება. ობი დიდი ხნის განმავლობაში აღარ ჩნდება, თუ ძმრიან წყალს მოვასხურებთ ჯაგრისით, მაგრამ ეს პროცედურა უნდა ჩავატაროთ მიღვევადი მთვარის დროს.

## 10. სახლის “გენერალური” (ძირფესვიანი) დალაგება

აღრეულ გაზაფხულზე ბაცილებისათვის მშენიერი საკვები გარემო იქმნება, ამიტომ საჭიროა ყველა ადგილის ძირფესვიანი დალაგება, იქნება ეს სახლი თუ პატარა საკუჭნაო (საწყობი) და კარადა, სარდაფი თუ მანქანის სადგომი, აუცილებელია მათი წესრიგში მოყვანა, განიავება და გაწმენდა.

ბუნებამ ისე მოაწყო, რომ ამ სამუშაოებისათვის საუკეთესო დრო მართლაც აღრეული გაზაფხულია.

სახლის დალაგების, შებათქაშებისა და განიავებისათვის ყველაზე ხელსაყრელი მილევადი მთვარის ის დღეებია, როდესაც მთვარე იმყოფება ჰაერის სტიქიის ზოდიაქოს ნიშნებში. “ჰაერის” დღეებს ყოველთვის “წყლის” დღეები მოჰყვება, ამიტომ ამ დღეებში შეებრძოლეთ ძლიერ დაჭუჭყიანებებს და ძირითადი წმენდა წყლის დღეებში განახორციელეთ.

აღრეული გაზაფხულის დროს ჰაერის ნიშანი – მერწყული ყოველთვის მილევად მთვარეში იმყოფება. ეს დღეები იდეალურია, რადგანაც მას “წყლის (თევზების ზოდიაქო) დღეები” მოჰყვება და ძირითადი დასუფთავებისათვის ყველაზე ხელსაყრელია.

## 11. განიავება

ოთახები: ოთახების რეგულარული განიავება აუცილებელია, თუმცა ამ პროცედურის შესრულების დროსაც მთვარის ზოდიაქოს ნიშანში ყოფნა უნდა გავითვალისწინოთ.

“ჰაერისა” და “ცეცხლის” დღეებში ოთახები ხანგრძლივი დროით უნდა გავანიავოთ, ხოლო მიწისა და წყლის დღეებში – ცოტა ხნით და სწრაფად.

ლოგინი (ქვეშაგები): ლოგინის (ქვეშაგების) განიავება საუკეთესო საშუალებაა ოთახის ტკიპების, იმ პატარა მწერების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რომლებიც ალერგიას იწვევენ და კანის ქერცლით იკვებებიან. განიავების შემდეგ ლოგინი (ქვეშაგები) უფრო ჰაეროვანი ხდება და ხელს უწყობს ტანის უკეთესად სუნთქვას. სასურველია გავითვალისწინოთ:

ა) ლოგინის (ქვეშაგების) განიავება საჭიროა მოხდეს მილევადი მთვარის პერიოდში “ჰაერის” ან “ცეცხლის” ნიშნების დღეებში დიდი ხნის განმავლობაში. მილევადი მთვარის დროს მთვარის “მიწისა” და “წყლის” ნიშნებში ყოფნისას ამის შესრულება ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგინში ძალიან ბევრი სინესტე რჩება. ლოგინი თუ არ მოვარიდეთ ძლიერ მზიურ დასხივებებს, ბუმბული გაფუჭდება, თავდაპირველ ხარისხს დიდხანს ვერ შეინარჩუნებს. ხანგრძლივი დროით ლოგინის განიავება შეიძლება იმ თვეებშიც, რომელთა დასახელებაშიც ასო “რ”- არ არის.

ბ) მატრასები (ღებები) მხოლოდ მილევადი მთვარის პერიოდში უნდა გაიწმინდოს და განიავდეს (უკეთესია ჰაერის ან ცეცხლის დღეებში), რაც მათ პარაზიტებისაგან დაიცავს და ნესტისაგან გაათავისუფლებს. არავითარ შემთხვევაში არ გავანიავოთ მატრასები (ღებები) ზრდადი მთვარის პერიოდში მაშინ, როცა მთვარე იმყოფება ისეთ ზოდიაქოს ნიშნებში, რომლებიც წყლის სტიქიას მიეკუთვნებიან (კირჩხიბი, მორიელი, თევზები). ამ დღეებში მატრასი სინოტივეს შეიწოვს, იგივე ხდება მიწის დღეებშიც.

## 12. ზაფხულისა და ზამთრის ტანსაცმლის სეზონური დალაგება

აღბათ დღეისათვის ჩრჩილის საწინააღმდეგო ბურთულები უკვე მოძველებულად გამოიყურება; ვინც ამ მეთოდს სკეპტიკურად უყურებდა, მათთვის ასეთი “რეცეპტი” არსებობს: თქვენი საზაფხულო ან ზამთრისთვის განკუთვნილი ტანსაცმლის შესანახად აღრეული გაზაფხულის ან შემოდგომის მილევადი მთვარის ის დღეები გამოიყენეთ, როცა

მთვარე იმყოფება იმ ზოდიაქოს ნიშნებში, რომლებიც ჰაერის სტიქიას მიეკუთვნებიან (მარჩბივი, სასწორი, მერწყული).

ამ შემთხვევაში ჩრჩილის საწინააღმდეგო არც ერთი საშუალება აღარ დაგჭირდებათ; ალტერნატიულია ასევე აღმავალი მთვარის პერიოდიც.

მიწის დღეებში გადანახულმა ტანსაცმელმა რამოდენიმე თვის შემდეგ “მძიმე” სუნი შეიძლება შეიძინოს და დაობებაც კი დაიწყოს. თუ ტანსაცმლის ხანგრძლივი დროით შენახვა წყლის დღეებს დაემთხვა, მაშინ იგი ნესტიანი იქნება.

### **13. დაკონსერვება და შენახვა**

მოსავლის წარმატებით აღებისათვის მისი შენახვისათვის დაკონსერვებისათვის დიასახლისმა შემდეგი უნდა გაითვალისწინოს:

მურაბების მოხარშვისათვის და წვენების დამზადებისათვის ხელსაყრელია აღმავალი მთვარის პერიოდი. ამ დღეებში ხილი უფრო წვნიანია, სურნელოვანია და გემრიელი.

ა) დაკონსერვებისათვის ყველაზე ხელსაყრელია აღმავალი მთვარის პერიოდი (მოისრიდან მარჩბივამდე). ამრიგად, იმ დღეებში, როდესაც თქვენ დაკონსერვებას და დახუფვას აპირებთ, უნდა გაითვალისწინოთ არა მთვარის ფაზა, არამედ ზოდიაქოს ის ნიშანი, რომელსაც ამ დღეს გადის მთვარე.

ხილეულის მოკრეფვა და დასუფთავება სასურველია მაშინ, როცა მთვარე იმყოფება ვერძის ზოდიაქოს ნიშანში (“ნაყოფის დღეები”), ხოლო ბოლქვიანი ბოსტნეულისათვის – იმ დღეებში, როცა მთვარე იმყოფება თხის რქისა და კუროს ზოდიაქოს ნიშნებში (“ფესვების დღეები”).

ხილისა და ბოსტნეულის საყინულეში გაყინვა უმჯობესია მოახდინოთ “ნაყოფის დღეებში”, რადგან გაღობის შემდეგ ინარჩუნებენ თავდაპირველ გემოს.

ხილის შესანახ სარდაფში ან საკუჭნაოში თაროები გარეცხეთ მხოლოდ მიღვეადი მთვარის განმავლობაში, მთვარის ჰაერის ან ცეცხლის ნიშნებში ყოფნის დროს, რაც უზრუნველყოფს მათ კარგად გამოშრობას და შეამცირობს სარდაფში არსებულ შმორის სუნს.

### **14. შეღებვა და ლაკის წასმა (გაპრიალება)**

შხამიანმა, მაგრამ ძვირად ღირებულმა საღებავებმა, ემულსიებმა და “ლაკებმა” დაჩრდილეს ბუნებრივი წარმოების უფრო რბილი კირიანი საღებავები და “ლაკები”, რომლებიც ბუნებრივ რითმებთან ჰარმონიაში იმყოფებიან.

აღამიანები, ალბათ სიამოვნებით გამოიყენებდნენ ბუნებრივ საღებავებს, თუ ისინი მთვარის რითმებს გაითვალისწინებდნენ: ბუნებრივი წარმოების საღებავები თავისი თვისებების და მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით სულ მცირედ ჩამორჩებიან ან სულაც თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან სწრაფად მოქმედ შხამიან საღებავებთან. ეს განსაკუთრებით ეხება შენობაში შიდა კედლების შესაღებ საღებავებს.

შესაღებად და “ლაკის” წასასმელად ყველაზე ხელსაყრელია მიღვეადი მთვარის პერიოდი, რადგან საღებავი კარგად ეფინება ზედაპირს, სწრაფად შრება და კარგ ფერს იღებს. ამ პერიოდში ფუნჯი თავისთავად სრიალებს შესაღებ ზედაპირზე. კირი, ისევე, როგორც “ლაკი”, შესაღები საგნის ზედაპირს “სუნთქვის” საშუალებას აძლევს.

მთვარის “წყლის დღეებში” ყოფნის დროს ამ სამუშაოების ჩატარება მიზანშეწონილი არ არის, რადგან საღებავი ძალიან ნელა შრება, ასევე არაა ხელსაყრელი “ლომის დღეებიც”, რადგან ამ დროს საღებავი ძალიან სწრაფად შრება და ამიტომ სკდება.

### **15. სახლის გათბობა**

ყოველ შემოდგომაზე, აცივებისთანავე ვიწყებთ ზრუნვას სახლის გათბობაზე. ამ შემთხვევაში სასურველია გავითვალისწინოთ ასტროლოგთა რჩევა:

შემოდგომით, პირველად სახლის გათბობა უმჯობესია განახორციელოთ მიღვეადი მთვარის დროს, რომელიმე ცეცხლის ნიშანში (ვერძი, ლომი, მოისარი) მთვარის ყოფნის დროს. ეს რჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ ახალ სახლში იწყებთ ცხოვრებას. ზემოთ აღნიშნულ დროს



სახლის გათბობა კედლებიდან უკანასკნელ სინოტივესაც კი აძევებს ისე, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში არ მოხდეს მათი დაობება.

## 16. ოთახის ყვავილების მოვლა

აივნისა და ოთახის მცენარეების გადარგვა ან ახლის ჩარგვა კარგია მთვარის ქალწულის ზოდიაქოში ყოფნის დღეებში მოხდეს, რადგან ფესვები სწრაფად იზრდება და ძლიერდება. მცენარეებზე წყლის დასხმა, შეძლებისდაგვარად, მხოლოდ ფოთლების ზრდისთვის ხელსაყრელ დღეებში განახორციელეთ („ფოთლის დღეებში,” როცა მთვარე კირჩხიბში, ღრიანკალში ან თევზების ზოდიაქოში იმყოფება). წვიმის დროს მცენარეების აივანზე დატოვება დაუშვებელია, რადგან მათი ფოთლები უშუალო დანესტიანებას არ არიან შეჩვეული.

მიწის განოციერება (სასუქის დაყრა, გაპოხიერება) მხოლოდ მიღვეადი მთვარის დღეებშია მიზანშეწონილი. სასურველია ეს საძუშაო ფოთლების ზრდისათვის ხელსაყრელ (“ფოთლის დღეები”) დღეებს დაემთხვეს. მიწის განოციერება შეიძლება “ფესვის დღეებშიც”(როცა მთვარე კუროში, ქალწულში ან თხის რქის ზოდიაქოში იმყოფება) – ფესვების ზრდისთვის ხელსაყრელ პერიოდში(თუ მცენარეს ფესვები ცუდად აქვს განვითარებული) ან “ყვავილის დღეებში”(მთვარე ტყუპებში, სასწორში ან მერწყულში). მავნებლებთან ბრძოლა წინა თავებში განვიხილეთ, იგივე ვრცელდება ოთახის მცენარეებზეც, “ყვავილის დღეებში” ოთახის მცენარეებს ხშირად ნუ დაასხამთ წყალს, რადგან ამით მავნებლების მოზიდვის ალბათობა ერთი-ორად იზრდება. მავნებლებთან საბრძოლველად განკუთვნილი სითხე მცენარეებს მხოლოდ ფესვებზე დაასხით და არა ღეროებზე, ფოთლებსა და ყვავილებზე!

## 17. ამინდი და ქალაქგარეთ გასეირნება

ქალაგარეთ გასეირნების დაგეგმვის შემთხვევაშიც ასტროლოგთა რჩევა უნდა გავითვალისწინოთ, რადგან თუ დავაკვირდებით, ერთი და იგივე ტემპერატურის დროს განსხვავებული შეგრძნებები ჩნდება: ღრუბლიან ამინდში, რატომღაც მზის სათვალის გამოყენება გვსურს, ხან სიამოვნებით წამოვწვებით ბალახზე, ხან კი თავს ვიკავებთ, რადგან იგი ნესტიანი და ცივი გვეჩვენება...

ეს გაურკვევლობა მაშინვე ქრება, თუ კი “დღეთა ავ-კარგიანობას” მივაქცევთ ყურადღებას, თითოეული დღე ზოდიაქოს დღეებთან არის დაკავშირებული და მათი საშუალებით იმართება.

სითბოს დღეები – ეს ის დღეებია, როდესაც მთვარე ვერძის, ლომის ან მოისრის ნიშნებში იმყოფება. ეს დღეები, ქალაქგარეთ გასეირნებისათვის მშვენიერი დროა, უფრო მძაფრად აღვიქვამთ სითბოს იმ შემთხვევაშიც კი თუ ცა ღრუბლებით არის დაფარული. ეს დღეები ადამიანზე ზემოქმედებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მთვარე ლომის ნიშანში იმყოფება; ამ დღეს ადამიანს წყურვილი უფრო მეტად აწუხებს, ვიდრე სხვა დროს. ლომის დღეებში მოსალოდნელია უცარი ჭექა-ქუხილი.

სინათლის დღეები – ეს დღეები მაშინ დგება, როდესაც მთვარე მარჩბივის, სასწორის ან მერწყულის ნიშანში იმყოფება. ამ პერიოდში მიწა და მცენარეები მეტ სინათლეს ღებულობენ, ვიდრე სხვა დროს, ეს დღეები ადამიანზე ძალიან კარგად მოქმედებს. მძლოლებს, ღრუბლიანი ამინდის მიუხედავად, ჭარბი სხივებისაგან დასაცავად სათვალის ტარების სურვილი უჩნდებათ.

სიცივის დღეები – ეს ის დღეებია, როდესაც მთვარე კუროს, ქალწულის ან თხის რქის ნიშანში იმყოფება. თერმომეტრი მაღალ ტემპერატურასაც რომ აჩვენებდეს, გასეირნების დროს მაინც სასურველია თბილი ტანსაცმელის თან წაღება. მზე მცირე დროითაც კი რომ მიიმალოს ღრუბლებში, მიწა სიცივეს გვაგრძნობინებს. ამ დროს ადამიანის ორგანიზმი სითხის მცირე რაოდენობას ითხოვს.

წყლის დღეები – ის დღეებია, როდესაც მთვარე კირჩხიბის, მორიელის ან თევზების ნიშნებში იმყოფება. ამ დღეებში მიწის მთლიანი გამოშრობა არ ხდება, რადგან ნალექიანი ამინდია, სახლიდან ქოლგის გარეშე ნუ გახვალთ, ნურც ქალაქგარეთ გახვალთ კარვის გარეშე. თუ ღამისთევით მიდიხართ ასტროლოგთა კიდევ ერთი რჩევა გაითვალისწინეთ: თუკი გსურთ ამინდის

ცვალებადობას მომზადებული შეხვედრით ახალმთვარეობისა და სავსემთვარეობის ასევე მთვარის მარჩბივისა და მოისრის ზოდიაქოს ნიშნებში ყოფნის დღეებსაც მიაქციეთ ყურადღება.

## **18. რჩევები ტანის (ორგანიზმის) მოვლასთან დაკავშირებით**

ადამიანმა ორგანიზმის გაკაჟებისათვის მთვარის რითმები აუცილებლად უნდა გამოიყენოს. მას უნდა ახსოვდეს, რომ კანის, და ფრჩხილების მდგომარეობა ყოველთვის საერთო ჯანმრთელობის მაჩვენებელია. “შიდა სილამაზის”, სწორი და ჯანმრთელი კვების, სწორი ვარჯიშის და სულიერ ცხოვრებაზე ზრუნვის გარეშე ტანის მოვლის სხვა მცდელობები მხოლოდ და მხოლოდ შენიღბავს არაჯანმრთელ კანს, თმას ან ფრჩხილებს, რომლებიც ადამიანის სწეულების ნამდვილ მიზეზს გვანიშნებენ.

### **I. კანის მოვლა (ქალებისათვის)**

კანის მოვლაზე საუბრისას ვგულისხმობთ არა ყოველიდღიურ დაბანას ან საცხის წასმას, არამედ სახის კანის მოვლას სპეციალური ნიღბებისა და შეფუთვის გამოყენებით. სასურველია ეს პროცედურები მიღევადი მთვარის პერიოდში ჩატარდეს. მიღევადი მთვარის შემთხვევაში სახეზე ნაოჭები არასოდეს წარმოიშვება. კოსმეტოლოგები ბევრ პრობლემას აიცილებდნენ თავიდან თუკი თავიანთ პროცედურებს მთვარის კალენდარის გათვალისწინებით დანიშნავდნენ.

მასაჟის საშუალებით კანის რაიმე აუცილებელი ნივთიერებით ან საცხით გაჟღენთვა არის საჭირო; ამისათვის ზრდადი მთვარის ფაზაა ხელსაყრელი.

თუკი ქალს, ამასთან ერთად ზოდიაქოს ნიშნების გათვალისწინება სურს, მან თხის რქის ნიშანი არ უნდა გამოტოვოს – ეს პერიოდი კანის მოვლისათვის მშვენიერი არის.

### **II. თმის მოვლა**

თმის მოვლის უამრავი საშუალება არსებობს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს სწორ გარემოებას. უწინ, დალაქი თავისი სადალაქოს უეცარი დაკეცვით არავის გააკვირვებდა, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ რაღაც გარკვეულ დღეებში თმის შეჭრა და წვერის გაპარსვა არასასურველია, მაგრამ თუ მთვარის ლომის ზოდიაქოში ყოფნის დღე კვირა დღეს ემთხვეოდა, დალაქთან უამრავი ადამიანი მოდიოდა. თმის შეჭრისათვის ყველაზე ხელსაყრელია მთვარის ლომის ან ქალწულის ზოდიაქოში ყოფნის დღეები, ხოლო მთვარის თევზებისა და კირჩხიბის ზოდიაქოში ყოფნის დღეებში ჯობია თმის შეკრეჭაზე უარი თქვას!

ასტროლოგები გვირჩევენ:

ა) თმის ან თმის ბოლოების შეკრეჭა სასურველია მოხდეს თებერვლის თვიდან დაწყებული აგვისტოს თვემდე მთვარის ლომის ზოდიაქოში ყოფნის დღეებში. ამ პერიოდში მთვარე ყოველთვის ზრდადია, რაც ეფექტს აძლიერებს. “ლომის თვისება” მამრ ჰორმონებზე დადებითად მოქმედებს; ალბათ ამაში მდგომარეობს “ლომის დღის” დადებითი გავლენის მიზეზი.

ბ) მთვარის ლომის ზოდიაქოში ყოფნის დღეებში კვირაში ერთხელ ან ორჯერ ბანაობის შემდეგ შეიზილეთ თმაში (კანში) ქათმის ერთი ან ორი კვერცხი (ცილაც და გულიც), დააყოვნეთ, შემდეგ წყლით რამოდენიმეჯერ დაიბანეთ.

გ) აღნიშულ პერიოდში “ფენს” ნუ გამოიყენებთ, მაგრამ თუ ეს აუცილებელი გახდა უკიდურეს შემთხვევაში თავის დაბანიდან 15 წუთი მაინც უნდა გავიდეს. “ფენს” ნუ მიმართავთ თმების საწინააღმდეგო მიმართულებით და ჰაერს ძლიერ ნუ გაახურებთ, ეს ნებისმიერ თმას ხანგრძლივ დროით აზიანებს.

გასათვალისწინებელია, რომ ზუსტად ლომის დღეებში თმის კრეჭა თმის ცვენის პრობლემას ბოლომდე ვერ გადაჭრის, რადგან მას სხვადასხვა მიზეზი იწვევს: მედიკამენტები, ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონალური ცვლილებები, ორსულობის ან კლიმაქსის პერიოდი.

ლომის დღეებში შეკრებილი თმა დიდხანს ინარჩუნებს ფორმას და სილამაზეს. ქალებმა თმის ქიმიური დახვევისათვის უნდა შეარჩიონ მთვარის ქალწულის ან ლომის ზოდიაქოში ყოფნის დღეები.

თუ შესაძლებელია, მთვარის თევზისა და კირჩხიბის ზოდიაქოში ყოფნის დღეებში სასურველია უარი ვთქვათ თავის დაბანაზეც; რასაკვირველია, ბევრი ადამიანი, თავს თითქმის ყოველ დღე იბანს, მაგრამ მათ ორგანიზმს უფრო მეტის ატანა შეუძლია, ასაკის მომატებასთან ერთად კი ზემოთთქმული რჩევა უნდა გავითვალისწინოთ.

რაიმე მიზეზის გამო თმის გადაპარსვა მიღვეადი მთვარის პერიოდში მთვარის თხის რქის ზოდიაქოში ყოფნის პერიოდს უნდა დაამთხვიოთ (ეს წლის პირველ ნახევარში ხდება); ამ დროს გადაპარსული თმა დიდი ხნის განმავლობაში არ ამოვა; იგივე შეიძლება ითქვას წარბების ამოწიწკნასთან დაკავშირებით (არ გადააჭარბოთ).

### III. ფრჩხილების მოვლა

ა) ხელის და ფეხის ფრჩხილების მოვლა, მათი მოჭრა და დაქლიბვა მთვარის თხის რქის დღეებში უნდა განხორციელდეს, რათა არ მოვექცეთ უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ. ამ შემთხვევაში ფრჩხილების მოვლისათვის საჭირო განსაკუთრებული საშუალებები ზედმეტი ხდება, იმიტომ რომ მკურნალობის დროს აქცენტია კეთდება სიმპტომებზე, შედეგზე და არა მიზეზებზე.

რასაკვირველია, ფრჩხილების მოვლა თვეში მხოლოდ ორი-სამი დღის განმავლობაში არ ხდება, მაგრამ თხის რქის დღეების გამოტოვებას არ გირჩევთ.

ბ) ხელებზე და ფეხებზე ფრჩხილების მოჭრა სასურველია ყოველ პარასკევს მზის ჩასვლის შემდეგ, რათა გქონდეთ მუდამ ჯანმრთელი ფრჩხილები.

ჩაზრდილი ფრჩხილების შესწორება ან წაჭრა მხოლოდ ზრდადი მთვარის დღეებში უნდა განახორციელოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მათი ისევ არასწორად ჩაზრდა. ფრჩხილის ფუძის გასწორება სჯობს მიღვეადი მთვარის დღეებისათვის გადაიტანოთ (ერიდეთ თევზების დღეებს). მიღვეადი მთვარის დროს ძლიერ ეფექტურია ფრჩხილის და ფეხის სოკოვანი დაავადებებისა და მეჭვტების მკურნალობაც.

ფრჩხილები ტანის იმ ძლიერ მნიშვნელოვან და მგრძობიარე ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი ძალიან უდიერად ექცევა.

ფეხისგულეებზე კუნთური დაძაბულობის ან ორგანიზმის წიღებისაგან გათავისუფლებისათვის ხელებით ზემოქმედების დროს ხელსაყრელია მიღვეადი მთვარის პერიოდი. რომელიმე ორგანოს ფუნქციის აღდგენის ან გაძლიერებისათვის ძლიერ ხელსაყრელია ზრდადი მთვარის პერიოდი.

### IV. მასაჟი

კარგი ენერჯის მქონე ადამიანის მიერ შესრულებული მასაჟი განწყობილებას არა მარტო აუმჯობესებს, არამედ სხვადასხვა სნეულების მშვენიერ პროფილაქტიკურ საშუალებასაც წარმოადგენს. მასაჟი ადამიანის ორგანიზმს აღუნებს და გულის მუშაობასა და სისხლის მიმოქცევას აწესრიგებს. შიდა ორგანოების მუშაობას არეგულირებს და მაღალი ან დაბალი წნევის მქონე პიროვნებებს დიდ დახმარებას უწევს.

ა) მოდუნების, დაძაბულობის მოსახსნელი და წიღების მოსაცილებელი მასაჟებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დრო არის მიღვეადი მთვარის დღეები.

ბ) რეგენერაციისათვის და გამაკაჟებელი მასაჟებისათვის, რომლებიც ასევე შესაბამისი სამკურნალო ზეთებისა და მალამოების სხეულზე წაცხებით ხორციელდება, ყველაზე ხელსაყრელი დროა ზრდადი მთვარის პერიოდი.

რასაკვირველია, გამაჯანსაღებელი მასაჟების შესრულება შესაბამისი მთვარის მოლოდინამდე არ უნდა გადაიდოს, რადგან ამას ზიანის მოტანა შეუძლია. ამიტომ ზემოთქმული რჩევებით უპირატესად ჯანმრთელმა ადამიანებმა უნდა იხელმძღვანელონ.

# დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

## დანართი I

### მთვარის დღეთა გავლენა ყოფიერებაზე

(ღურმიშხან ყიფიანის მიხედვით)

#### მთვარის პირველი დღე

წმინდა დღეა. დაუბრუნდით საწყის პერიოდს, გაიხსენეთ ბავშვობა, გააანალიზეთ თქვენი ნამოქმედარი. ამ დღეს რაც იქნება დაგეგმილი შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს. ეს დღე არახელსაყრელია ჯგუფური სამუშაოებისათვის. ამ დღიდან მთვარის მე-5 დღემდე ერთდღე მძიმე ფიზიკურ დატვირთვას, ალკოჰოლისა და ცხარე კერძების მიღებას. ფიზიოლოგიურად მძიმე დღეა, შემჭიდროებულია შიდა ორგანოები. თუ რეკომენდაციებს არ დაიცავთ, შიდა ორგანოებს დააწვება ენერგია, რაც გამოიწვევს კენჭების წარმოქმნას. მთვარის პირველიდან მეშვიდე ღამემდე მოსალოდნელია უძილობა. კარგია ორგანიზმის გამწმენდი ნაყენების მომზადება და მიღება.

#### მთვარის მეორე დღე

შესაფერისი დღეა შემოქმედებითი სამუშაოებისათვის, მოგზაურობისათვის, მიწასთან და მცენარეებთან მუშაობისათვის. ამ დღეს აუცილებელია ფიზიკური ვარჯიშის ციკლის დაწყება. თუ არ შეასრულებთ ზემოთ ჩამოთვლილს, შესაძლებელია ორგანიზმში წარმოიშვას მარილები და კენჭები.

ამ დღეს დაბადებული ნიშნები არიან, უყვართ ყველაფერის შთანთქმა, განურჩევლად მიერთმევენ ნებისმიერ პროდუქტს, უვითარდებათ შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, აგრესიულობა და ნივთებისადმი სიყვარული.

#### მთვარის მესამე დღე

აქტიური ბრძოლის, შიდა “მე”-ს გაძლიერებისა და აგრესიულობის დღეა. კარგია საბრძოლო ხელოვნების ათვისება. თუ ადამიანი არ არის მებრძოლი, მაშინ იგი ენერგიას აკონსერვებს და ამის შედეგად შეიძლება გახდეს საეჭვო ან ვერაგული საქციელის. მოერიდეთ ხელშეკრულებების დადებას, ნებისმიერ საბუთზე ხელის მოწერას, ანდა საქმის წამოწყებას.

დღეიდან მე-7 დღის ჩათვლით მიზანშეწონილია კანის გაწმენდა, აბაზანის მიღება სამკურნალო მცენარეთა ნაყენების ან თაფლის გამოყენებით.

ამ დღეს დაბადებული გულადი მეომარია და ჭკვიანი ადამიანია.

#### მთვარის მეოთხე დღე

ეს დღე სჯობს მარტობაში გაატაროთ, ნუ მიიღებთ სწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია ლოცვა. მიუღებელია ჯგუფური მუშაობა, ყვაილების კრეფა, ხის მოჭრა. კარგია სეირნობა სუფთა ჰაერზე. ეცადეთ არ გადატვირთოთ გული.

ამ დღეს დაბადებული შეიძლება ეგოისტი ან დამნაშავე გამოვიდეს. აღზრდას მიაქციეთ ყურადღება, რათა სწორ გზას დაადგეს და ამოხსნას კოსმიური საიდუმლოება.

#### მთვარის მეხუთე დღე

მთვარის მთელი თვის განმავლობაში ეს ერთადერთი დღეა, როდესაც ორგანიზმი საკვებს მთლიანად შთანთქავს. უნდა მიირთვათ ყველა ის საკვები, რაც მოგწონთ, ძირითადად მიიღეთ რძე,

ხაჭო, არაჟანი. კარგია მოგზაურობა, მცენარეებისაგან წამლების დამზადება. გაზარდეთ ფიზიკური დატვირთვა.

ამ დღეს დაბადებულნი არ სუქდებიან, მათთვის დამახასიათებელია მოუსვენრობა, ინფორმაციის მიღების სურვილი და სხვა. იბადებიან წმინდანები ან გოლიათები.

### **მთვარის მეექვსე დღე**

სიკეთისა და სიყვარულის, კოსმიური ენერჯის შთანთქმა-ათვისების, წინასწარმეტყველების, შემოქმედებითი საქმიანობის, აზრთა გადაცემისა და საქმის თეორიულად დაგეგმვის დღეა.

ამ დღეს ზედა სასუნთქი ორგანოებით კოსმიური ენერჯის შთანთქმა ხდება, ამიტომ საჭიროა დილით შეასრულოთ ნელი და ღრმა ჩასუნთქვები. გაზარდეთ ფიზიკური დატვირთვა. კარგი დღეა გაახალგაზრდადებისათვის. თუ ცა მთლიანად მოწმენდილი ან მთლიანად ღრუბლიანია, მაშინ ბუნებაში დარღვეულია ჰარმონია, კარგია ნაწილობრივ ღრუბლიანი ცა.

ამ დღეს დაბადებულნი ფლობენ კოსმიური ენერჯის გარდაქმნის უნარს და გამოირჩევიან გონიერებით.

### **მთვარის მეშვიდე დღე**

ლოცვის დღეა. ხელსაყრელია სტიქიებთან და აგრეთვე ბუნებაში მუშაობისათვის. ტყულის თქმა მეტად საზიანოა. ხანგრძლივმა ლაპარაკმა შეიძლება ფილტვები დაგიზიანოთ, ასევე პროვოკაციის დღეა, დიდია დანაშაულის ჩადენის ალბათობა. ნუ მიიღებთ ალკოჰოლს, ხორცს და კვერცხს, ყურადღება დაუთმეთ ფილტვებს, ამ დღეს იოლად ცივდებიან.

ამ დღეს დაბადებულნი იშვიათად გამოირჩევიან დიდი ჭკუა-გონებით, უყვართ ჭორაობა და ქურდობა.

### **მთვარის მერვე დღე**

ეს განწმენდის დღეა. კარგია ცოდვების მონანიება და წმინდა სანთლის დანთება. ეცადეთ, ეს დღე სიმშვიდეში გაატაროთ. სასარგებლოა სამკურნალო საშუალებებისა და პრეპარატების მომზადება, აგრეთვე სამოგზაუროდ წასვლა. მიზანშეწონილია შიმშილი, კუჭისა და ნაწლავების გაწმენდა. კარგი დღეა ერთკვირიანი შიმშილის დასაწყებად. ყურადღება დაუთმეთ თქვენს ნერვულ სისტემას, ერიდეთ ალკოჰოლს. ნუ გადატვირთავთ გულს ფიზიკური მუშაობით და ნერვიულობით.

ამ დღეს იბადებიან ენატკბილად მოსაუბრე ადამიანები, რომელთა უმრავლესობას მისწრაფება ექნება მეცნიერებისაკენ.

### **მთვარის მეცხრე დღე**

ცდუნების, მოჯადოების, ილუზიის, მოტყუების, მოწამვლის დღეა. ერიდეთ ცუდ ბუნებრივ ნიშნებს. თუ ამ დღეს ოჯახში კაქტუსი აყვავდება – ეს სიკეთის ნიშანია. შეგიძლიათ ჩაატაროთ ძალური ვარჯიშები და ასანები (ენერგო-პოზები ჰათჰა იოგაში).

მთვარის მე-15 დღემდე შეგიძლიათ გაზარდოთ ფიზიკური დატვირთვა.

კარგია ცხელი აბაზანის მიღება, საუნა და ორგანიზმის გაწმენდითი პროცედურები. არასასურველია ფრჩხილებისა და თმის შეჭრა, პირის გაპარსვა. ყურადღება მიაქციეთ მკერდის არეს. შეაგროვეთ სამკურნალო მცენარეები.

ამ დღეს დაბადებულნი ხშირად უიღბლონი არიან. მათ მუდმივად ესაჭიროებათ გაწმენდა, როგორც ასტრალური, ასევე ფიზიკური ლექებისაგან.

## **მთვარის მეათე დღე**

ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლის დღეა. სასიკეთოა ყოველი ახალი საქმის, ცოდნის საიდუმლოებაში ჩაწვდომის ან მშენებლობის დაწყებისათვის, მაგრამ მოერიდეთ მოგზაურობასა და ვაჭრობას.

მე-10 დღეს დაბადებულთ უნარი აქვთ მოიპოვონ ენერჯის ახალი წყაროები. ამ ადამიანებს გარშემომყოფნი ხშირად მიმართავენ დახმარებისათვის, ძირითადად ისინი მაღალი სულის მატარებელი არიან, მაგრამ მათ შორის თუ ვინმე სულიერი აღმასვლის ნაცვლად დაღმა მიექანება, ცხოვრებაში ხდება ზედაპირული, ანგარებიანი და პატივმოყვარე.

## **მთვარის მეთერთმეტე დღე**

ამ დღეს აუცილებელია ნებისმიერი საქმის კეთება, მხოლოდ დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით. საჭიროა ჩაატაროთ შინაგანი გაწმენდითი პროცედურები. კარგია შიმშილი. ყურადღება მიაქციეთ გულის მუშაობას, სტენოკარდიულ მოვლენებს. არ უნდა გადაღალტოთ ორგანიზმი ფიზიკური მუშაობით. ერიდეთ მწერებს, მათი მოკვლა არ შეიძლება. მგზავრობისათვის კარგი დღეა.

ამ დღეს დაბადებულნი ფიზიკურად ძლიერნი და მახვილგონიერნი არიან, მაგრამ არა აქვთ წინასწარმეტყველური ნიჭი; ისინი ხშირად ხვდებიან სახიფათო სიტუაციებში, ასეთ ადამიანებს ხშირად კბენენ ცხოველები და მწერები.

## **მთვარის მეთორმეტე დღე**

თანაგრძნობისა და შეწყალების დღეა. ასრულდება თქვენი დღევანდელი ლოცვები. ამ დღეს სიყვარულში ერთვება კოსმიური ენერჯია; ამ დღეს სიბრძნე იმარჯვებს გონებასა და გრძნობებზე; სულის სიძლიერისა და დამშვიდების დღეა. სასარგებლოა საჩუქრის მირთმევა, მოწყალების გაღება. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს და ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებებს. საზიანოა მოღუნება, გულმაგიწყობა, დაუძღურება, ტირილი, გულმოსულობა და გაჯავრება.

ამ დღეს ეცადეთ მიიღოთ მხოლოდ ხილი და წვენი.

კარგია ზემო სასუნთქი გზების გაწმენდა, გულისა და ფილტვებისათვის საჭირო გამაჯანსაღებელი ან სამკურნალო საშუალებების მიღება. დიდი უკუქმდება აქვს გულის დატვირთვას.

ამ დღეს გულმოწყალები იბადებიან.

## **მთვარის მეცამეტე დღე**

ეს მაგიური, აგრეთვე ინფორმაციის დაგროვების, კონტაქტებისა და წარსულის კორექციის დღეა. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს და ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებებს. კარგია კონტაქტები ჯგუფთან. აუცილებელია კარგი კვება, ორგანიზმი კარგად ითვისებს სამკურნალო, კოსმეტიკურ და გასაახალგაზრდაველ საშუალებებს.

ამ დღეს დაბადებული ადამიანი მოქმედებს დროსა და მდგომარეობის შესაფერისად, ხშირად შედის კონტაქტში სხვა სამყაროსთან. ეს ადამიანები გამოირჩევიან გონიერებით, ამიტომ კარგი მოსწავლეები არიან.

## **მთვარის მეთოთხმეტე დღე**

ყველაზე აუცილებელი საქმე, გარდა მშენებლობისა, მთვარის მე-14 დღეს უნდა დაიწყოთ. ამ დღეს დაწყებული საქმე გაგიმართლებთ, თუ ეს დღე ხელიდან გაუშვით, იცოდეთ, რომ თქვენ მთელი თვე დაკარგეთ.

კარგია “მშრალი შიმშილი”, ვინაიდან ამ დღეს ნებისმიერ სითხეს ორგანიზმში შეაქვს ნაგავი, მე-14; მე-15; მე-16 დღეებში ალკოჰოლი ადამიანებში იწვევს აგრესიულობას. კარგია მიირთვათ თხილი, ნიგოზი, ნუში. მოერიდეთ მწარე და ტკბილ საკვებს. დაიწყეთ ორგანიზმის გაწმენდითი პროცედურები. ამ დღეს თავი შეიკავეთ სექსისაგან, რადგან ენერჯის აღდგენა ძნელდება და ორგანიზმი იფიტება.

ამ დღეს დაბადებულთათვის დამახასიათებელია შიში ავტორიტეტებისადმი, დაუჯერებელი შემგუებლობა, შენიღბვა, ჭკუა და ეშმაკობა, დაინტერესება საკუთარი თავით.

### **მთვარის მეთხუთმეტე დღე**

სასიყვარულო ცდუნების დღეა. ნებისმიერ ადამიანში ხდება უარყოფითი თვისებების გააქტიურება, ამიტომ აუცილებელია უკიდურესი თავშეკავება. უნდა გაიმარჯვოთ საკუთარ მოთხოვნებებზე. ამ დღეს სასარგებლოა, როგორც ცხარე, ასევე სამარხვო კერძების მიღება, აგრეთვე პარკოსნებისა და ქერისაგან დამზადებული საკვები. ალკოჰოლს ნუ მიიღებთ. საზიანოა კანის მოვლა, ფრჩხილების დაჭრა და თმის შეჭრა, პირის გაპარსვა, აბაზანის მიღება.

გულს ნუ გადაღლით ფიზიკური მუშაობითა და ნერვიულობით.

ამ დღეს დაბადებულს აქვს გველის ნატურა, ვინაიდან იბადებიან ასტრალური გველის გავლენის ქვეშ, რაც აძლიერებს ყველა ასტრალურ ცდუნებას.

მთვარის მომდევნო დღეებში დაბადებულებს ცუდი ათვისების უნარი აქვთ.

### **მთვარის მეთექვსმეტე დღე**

ამ დღის სიმბოლოა ზომიერება, წონასწორობა და ჰარმონია.

რეკომენდირებულია ნებისმიერი ფიზიკური ვარჯიში. გაბრაზება, აგრესიულობა და შურიანობა იწვევს ადამიანის სულის დეგრადაციას. ამ დღიდან მთვარის 23-ე დღემდე უნდა შეამციროთ ფიზიკური დატვირთვა.

ეს დღე ეძღვნება ქადაგებასა და სწავლა-განათლებას. არ შეიძლება სოკოსა და ცხოველური საკვების მიღება, ფრინველის მოკვლა.

კარგი დღეა სისხლის განმაცხლებელი პროცედურის დასაწყებად.

ამ დღეს დაბადებულთ არ უყვართ სხვისი განსჯა. ისინი ადვილად იგებენ ცხოველთა ენას. აქვთ წარსულის გაანალიზების უნარი. არიან უბოროტო ფანტაზიორები. მათ მუდამ თან სდევთ ბელი.

### **მთვარის მეჩვიდმეტე დღე**

ენერჯის დაგროვების, ახალი საქმის წამოწყების, აღმოცენების, ნაყოფიერების, აღფრთოვანების, სექსუალური ურთიერთობებისათვის ხელსაყრელი დღეა. ამ დღის სიმბოლოა სიყვარული, კარგია მხიარული კონტაქტები. ნუ მიიღებთ ალკოჰოლს.

საერთოდ ქორწინებისათვის დიდებულია მე-12, მე-16 და მე-17 დღეები.

ამ დღეს დაბადებულნი ილტვიან საპირისპირო სქესისაკენ, მათ დიდი მოთხოვნილება აქვთ ჰყავდეთ მეუღლე ან საყვარელი. თუ არ ჰყავთ პარტნიორი ადამიანი, ხდებიან საცოდავები და სუსტები.

### **მთვარის მეთვრამეტე დღე**

პასიური დღეა. ზოგიერთი ადამიანისათვის მძიმეც, შეიძლება ჩადენილ იქნას ცოდვა. ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია ან არ სურს თავისი დაბალი ინსტინქტების წინააღმდეგ ბრძოლა, ძალიან იტანჯება.

სამედიცინო თვალსაზრისით, ყურადღება მიაქციეთ თირკმელებს – ამ დროს ისინი შესუსტებულია. საჭიროა კანის გასუფთავება, კუჭის გამორეცხვა, მასაჟები, აბანო,

გაახალგაზრდადებისთვის ზრუნვა და ნაკლები ძილი, რომ არ იყო მოთენთილ მდგომარეობაში. ამ დღეს ნუ მიირთმევთ ხორციან კერძებს. ამ დღეს დაბადებულთ აქვთ მსახიობობის ნიჭი, ძირითადად კომედიის ჟანრში; მათ ყველაფერი აბსურდამდე დაჰყავთ. ამ ადამიან-ფუტლიარებს უნარი აქვთ ხალხს თავი მოაჩვენონ შემოქმედად ან გენიოსად.

### **მთვარის მეცხრამეტე დღე**

განსაკუთრებით საშიში და მძიმე დღეა, დიდია ალბათობა სულიერი გაბრუების და გონებრივი დაბრმავების. საქმიანობის ან ქცევის დროს დაბნეული ადამიანი შეიძლება ადვილად მოხვდეს ემპაკისეულ ბადეში. იყავით ფრთხილად. ეს დღე დაკავშირებულია სულის ზნეობრივ გაწმენდასთან. ერიდეთ შინიდან გასვლას. მიუღებელია ქორწინება. ანთებული წმინდა სანთელით შემოიარეთ ოთახი ან სახლი. საზიანოა კანის მოვლა, ფრჩხილებისა და თმის შეჭრა, პირის გაპარსვა და აბაზანის მიღება. მიიღეთ ვეგეტარიანული საკვები და რძის ნაწარმი. ნუ გაეკარებით ალკოჰოლს და თამბაქოს.

ამ დღეს დაბადებულნი უარეს შემთხვევაში ცბიერნი, ეშმაკნი და ხშირად უხეირონი გამოდიან, ხლებიან გარემოსათვის გაურკვეველი მარტოხელა შემოქმედნი.

### **მთვარის მეოცე დღე**

სერიოზული და საინტერესო დღეა ახალი საქმის წამოწყების, გარდაქმნის, ეჭვების გადალახვის, კოსმიური კანონების შეცნობის, შიმშილობისათვის. ამ დღეს ძლიერდება სულიერი თვალთახედვა. არ შეიძლება ხორცის მიღება, მხედველობის გადატვირთვა; არ შეიძლება ექსტრასენსული მკურნალობა. მე-20 დღეს ადამიანში თავს იჩენს ხოლმე სიამაყე და ქედმაღლობა.

ამ დღეს დაბადებულნი მუდმივად ელოდებიან აღმაფრენას. საუკეთესო შემთხვევაში არიან საქმისადმი თავდადებულნი, ზოგ შემთხვევაში კი გამოდიან ცრუ მასწავლებლები, მეგობრებსა და თანამშრომლებში ყოყონი და დიქტატორნი.

### **მთვარის ოცდამეერთე დღე**

მამაცობის, თავგანწირვისა და ერთგულების ფიცის დადების დღეა. ტყუილს ნუ იტყვით, იყავით წმინდა, სამართლიანი, აქტიური. კარგია ყოველგვარი ჯგუფური საქმიანობა. ეს მეგობრობისა და ადამიანთა შეერთების დღეა. კარგია აბაზანის ან შხაპის მიღება, გაკაჟება, ვარჯიში, მოგზაურობა. თანდათან შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა. ეს დღე დაკავშირებულია ღვიძლთან, ამიტომ ამ ორგანოს გადატვირთვა ძალზე საშიშია.

ამ დღეს შრომისმოყვარე და გაბედული ადამიანი იბადება.

### **მთვარის ოცდამეორე დღე**

